საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

საქართველოში შესაძლო დემპინგური იმპორტისა და ზიანის მიმართ მოწყვლადი სექტორების შეფასება

2025

სარჩევი

მოკლე შეჯამება 3

შესავალი 6

2. მეთოდოლოგია და გამოყენებული მონაცემთა ბაზები 7

3. შესაძლო დემპინგური იმპორტისა და ზიანის მიმართ მოწყვლადი სექტორების შერჩევის კრიტერიუმები 14

4. შერჩეული სექტორების შეფასება 19

4.1. ხორცის გადამუშავება, დაკონსერვება და ხორცის პროდუქტების წარმოება 19

4.2. ხილის და ბოსტნეულის გადამუშავება და დაკონსერვება 24

4.3. პროდუქციის წარმოება ხის, კორპის, ჩალის და წნული მასალებისგან 30

4.4. სხვა არაორგანული ქიმიკატების წარმოება 36

4.5. პლასტმასის ნაწარმის წარმოება 40

4.6. მინის და მინის ნაწარმის წარმოება 47

4.7. სამშენებლო მასალები თიხისგან 53

4.8. თუჯის, ფოლადის და ფეროშენადნობების წარმოება 56

4.9. ლითონის სხვა მზა პროდუქტის წარმოება 62

4.10. ავეჯის წარმოება 69

5. კვლევის მიგნებები 74

გამოყენებული ლიტერატურა 77

დანართი 1. სექტორების განაწილება მრავალფაქტორიანი შეფასების საფუძველზე 78

მოკლე შეჯამება

ანტიდემპინგური პოლიტიკის აღსრულების პროცესში სააგენტოს საქმიანობის ეფექტიანობის ხელშეწყობისათვის მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით აქტუალური სექტორების იდენტიფიცირება და მათი შეფასება. წარმოდგენილი კვლევის მიზანია საქართველოში ადგილობრივი წარმოების ინდუსტრიებში შესაძლო დემპინგური იმპორტისა და ზიანის საფრთხის შეფასება და ამ მიმართულებით მოწყვლადი სექტორების განსაზღვრა.

მეთოდოლოგია

სექტორების შეფასების პროცესი ორ ეტაპად განხორციელდა და სექტორების სამი განზომილებით ანალიზს მოიცავდა, მათ შორის:

- **საერთაშორისო პრაქტიკა** - სექტორების/პროდუქტის ჯგუფების დონეზე მსოფლიოში გამოყენებული ანტიდემპინგური ღონისძიების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი, ინიციატორი ქვეყნების, შემოსავლების ჯგუფებისა და სამიზნე ქვეყნების მიხედვით.
- **ადგილობრივი ინდუსტრიის ტენდენციები** - ინდუსტრიის მნიშვნელობისა და შესაძლო ზიანის დასადგენად გამოყენებულია სექტორების/პროდუქტის ჯგუფების დონეზე მსხვილი და საშუალო საწარმოების რაოდენობა, ბრუნვის მაჩვენებლები და ბრუნვის განვითარების ტენდენციები.
- **იმპორტის ტენდენციები** - სექტორში/პროდუქტის ჯგუფში იმპორტის მნიშვნელობის, ასევე ქვეყნების მიხედვით იმპორტის მაჩვენებლების განვითარების ტენდენციებისა და ძირითადი ექსპორტიორი ქვეყნების წინააღმდეგ შემოღებული ანტიდემპინგური ღონისძიებების რაოდენობის შეფასება.

ძირითადი მიგნებები

კვლევის პირველ ეტაპზე შერჩეული 10 სექტორი კვლევის მეორე ეტაპზე მრავალფაქტორიანი მოწყვლადობის ანალიზის საფუძველზე შეფასდა. შერჩეული კრიტერიუმებით შეფასებული სექტორები გადანაწილდა შესაძლო დემპინგური იმპორტისა და ზიანის მიმართ მაღალი, საშუალოზე მაღალი, საშუალო და დაბალი მოწყვლადობის კატეგორიებში.

<u>ფოლადის წარმოება</u>

ქვესექტორი ანტიდემპინგური ღონისძიებების ყველაზე ხშირი სამიზნეა. საქართველოში ძირითადი ექსპორტიორი ქვეყნების რუსეთის, ირანისა და ჩინეთის წინააღმდეგ შემოღებულია 150 ანტიდემპინგური ღონისძიება. 2021-2023 წლებში იმპორტის საშუალო წლიური ზრდა 10%-ს შეადგენდა, ხოლო ადგილობრივი წარმოება 13%-ით შემცირდა, რაც სექტორის შესაძლო დემპინგური იმპორტისა და ზიანის მიმართ მაღალ მოწყვლადობაზე მიუთითებს.

<u>პლასტმასის ფილების, ფურცლების, მილების და პროფილების წარმოება</u>

ადგილობრივი მწარმოებლების ბრუნვის მაჩვენებლები ქვესექტორის მნიშვნელობაზე მიუთითებს, თუმცა 2021-2023 წლებში კლების ტენდენცია ფიქსირდება. ძირითადი ექსპორტიორების თურქეთისა და ჩინეთის წინააღმდეგ გამოყენებულია 27 ანტიდემპინგური ღონისძიება. იმპორტი კონცენტრირებულია თურქეთის ბაზარზე, რაც დემპინგური იმპორტის შემთხვევაში ქვესექტორს უფრო მოწყვლადს ხდის ზიანის მიმართ.

<u>შპონის ფურცლების და ხის პანელების წარმოება</u>

ქვესექტორი მნიშვნელოვანია ბრუნვის მოცულობის გათვალისწინებით. 2021-2023 წლებში ბრუნვის მაჩვენებლების კლების ტენდენცია დაფიქსირდა. ძირითადი ექსპორტიორი ქვეყნების წინააღმდეგ შემოღებულია 14 ანტიდემპინგური ღონისძიება. 2021-2023 წლებში რუსეთიდან

იმპორტის ღირებულების ზრდის საფუძველზე, ქვეყნის წილი მთლიან იმპორტში 12%-დან 23%-მდე გაიზარდა. აღნიშნული ფაქტორები შესაძლო დემპინგური იმპორტისა და ზიანის მიმართ სექტორის მოწყვლადობაზე მიგვანიშნებს.

მაღალი მოწყვლადობის კატეგორიის სექტორებისაგან განსხვავებით დანარჩენ ქვესექტორებში გამოვლენილი ტენდენციები ნაკლებად თანმიმდევრულია სამივე განზომილების გათვალისწინებით, კერძოდ:

<u>ლითონის სხვა მზა პროდუქტების წარმოება</u>

ქვესექტორში ექსპორტიორი ქვეყნებისა და ანტიდემპინგური ღონისძიებების განაწილება დემპინგური იმპორტის შესაძლებლობაზე მიგვანიშნებს, თუმცა ადგილობრივი ინდუსტრიის ზრდის მაჩვენებლები სექტორის მოწყვლადობის საშუალო მაჩვენებელზე მიუთითებს.

<u>ფურცლოვანი მინის დამუშავება</u>

ქვესექტორში ადგილობრივი ინდუსტრიის ბრუნვის დადებითი დინამიკის მიუხედავად, 2022-2023 წლებში ძალიან მცირე ზრდა არის დაფიქსირებული. ჩინეთი, რომელიც ანტიდემპინგური ღონისძიებების ერთ-ერთ მთავარ სამიზნეს წარმოადგენს იმპორტის ბაზრის 18%-ს შეადგენს, რაც ასევე სექტორის მოწყვლადობის საშუალო მაჩვენებელზე მიუთითებს.

<u>იზოტოპების წარმოება</u>

ქვესექტორში ადგილობრივი ინდუსტრიის ბრუნვის კლება, ხოლო იმპორტის მაჩვენებლების ზრდა ფიქსირდება. ძირითადი იმპორტიორი ქვეყანის იაპონიის წინააღმდეგ გამოყენებულია 2 ანტიდემპინგური ღონისძიება. შესაბამისად, აღნიშნული ქვესექტორიც შესაძლო დემპინგური იმპორტისა და ზიანის მიმართ მოწყვლადობის საშუალო დონეზეა.

დარჩენილი სექტორების შეფასების შედეგები დემპინგური იმპორტისა და ზიანის მიმართ დაბალი მოწყვლადობის მიმანიშნებელია. <u>შინაური ფრინველის გადამუშავების</u> მიმართულებით ყველაზე სწრაფად მზარდი ექსპორტიორი ქვეყნის წინააღმდეგ არ ფიქსირდება ანტიდემპინგური ღონისძიებების გამოყენება, <u>ავეჯის წარმოების</u> მიმართულებით ადგილობრივი ინდუსტრიის ბრუნვის დადებითი დინამიკა, ხოლო <u>კარტოფილის გადამუშავებისა</u> და <u>კერამიკული საფარების წარმოების</u> მიმართულებით ქვესექტორების იმპორტზე დამოკიდებულება ვლინდება.

შემდგომი ეტაპები

სააგენტოს საქმიანობის ეფექტიანობისა და შერჩეულ სექტორებზე ინფორმირებულობის ზრდის მიზნით, კვლევის შემდეგ ეტაპს საშუალოზე მაღალი მოწყვლადობის სექტორების დემპინგური იმპორტისა და ზიანის საფრთხის მიმართულებით უფრო სიღრმისეული შეფასება წარმოადგენს. პირველ ეტაპზე სააგენტო გეგმავს პლასტმასის წარმოების დარგის სექტორული მონიტორინგის განხორციელებას.

შენიშვნა: *დოკუმენტი ეფუძნება სააგენტოსთვის საჯაროდ ხელმისაწვდომ და შემოსავლების სამსახურიდან მოძიებულ ინფორმაციას. კვლევა არ წარმოდგენს შესაბამისი სექტორის სრულყოფილ შეფასებას. შესაბამისად, კვლევის შედეგები არ მიუთითებს იდენტიფიცირებულ სექტორებში დემპინგური იმპორტის არსებობაზე და არ გამორიცხავს დემპინგური იმპორტისა და მისგან გამომდინარე ზიანის ან ზიანის საფრთხის არსებობას წარმოების სხვა დარგებში.*

ცხრილი 1. შეფასებული სექტორების გადანაწილება შესაძლო დემპინგური იმპორტისა და ზიანის მიმართ მოწყვლადობის კატეგორიების მიხედვით

შერჩეული სექტორი	იდენტიფიცირებული პროდუქტის ჯგუფები	კატეგორია
24.1 - თუჯის, ფოლადის და ფეროშენადნობების წარმოება	ფოლადის წარმოება[1]	მაღალი
22.2 - პლასტმასის ნაწარმის წარმოება	22.21 - პლასტმასის ფილების, ფურცლების, მილების და პროფილების წარმოება[2]	საშუალოზე მაღალი
16.2 - პროდუქციის წარმოება ხის, კორპის, ჩალის და წნული მასალებისგან	16.21 - შპონის ფურცლების და ხის პანელების წარმოება[3]	საშუალოზე მაღალი
25.9 -ლითონის სხვა მზა პროდუქტების წარმოება	25.93 - მავთულის ნაწარმის, ჯაჭვების და ზამბარების წარმოება	საშუალო
20.13 - სხვა არაორგანული ძირითადი ქიმიკატების წარმოება	იზოტოპები	საშუალო
23.1- მინის და მინის ნაწარმის წარმოება	23.12 - ფურცლოვანი მინის დაყალიბება და დამუშავება	საშუალო
31 - ავეჯის წარმოება	ავეჯის წარმოება	დაბალი
10.1 - ხორცის გადამუშავება, დაკონსერვება და ხორცის პროდუქტების წარმოება	10.12 - შინაური ფრინველი ხორცის გადამუშავება და დაკონსერვება	დაბალი
10.3 - ხილის და ბოსტნეულის გადამუშავება და დაკონსერვება	10.31 - კარტოფილის გადამუშავება და დაკონსერვება	დაბალი
23.3 - სამშენებლო მასალების წარმოება თიხისგან	23.31 - კერამიკული საფარების და ფილების წარმოება	დაბალი

[1] სააგენტოში მიმდინარეობს ანტიდემპინგური შესწავლა (N04/489) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე რუსეთიდან და ირანიდან დაბალნახშირბადოვანი ფოლადისგან წარმოებული არმატურისა და გლინულის სავარაუდო დემპინგურ იმპორტთან დაკავშირებით;

[2] სააგენტო პლასტმასის წარმოების მიმართულებით ადგილობრივი ინდუსტრიის სექტორული მონიტორინგის განხორციელებას გეგმავს;

[3] სააგენტო ხის, კორპის, ჩალის და წნული მასალებისგან პროდუქციის წარმოების მიმართულებით ადგილობრივი ინდუსტრიის სექტორული მონიტორინგის განხორციელებას გეგმავს.

შესავალი

საქართველოში ანტიდემპინგური ღონისძიებების სისტემის განვითარება 2020 წელს „ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - „კანონი“) მიღების შემდეგ დაიწყო. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული მიმართულება სიახლეს წარმოადგენს, ადგილობრივი წარმოების სექტორებში პროდუქტის იმპორტირებისას არასამართლიანი სავაჭრო პრაქტიკის შეფასების მიმართულებით არსებული გამოცდილება შედარებით მცირეა. ასევე, ნაკლებად არის გამოკვეთილი ის სექტორები, სადაც დემპინგური იმპორტის საფრთხე შეიძლება არსებობდეს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ანტიდემპინგური პოლიტიკის მიმართულებით აქტუალური სექტორების იდენტიფიცირება და მათი შეფასება. ანტიდემპინგური პოლიტიკის აღსრულების პროცესში შესაძლო დემპინგური იმპორტის მქონე სექტორებსა და სამომავლო შესწავლის დარგებზე სააგენტოს ინფორმირებულობის ზრდა ხელს შეუწყობს ამ მიმართულებით სააგენტოს საქმიანობის ეფექტიანობას. წინამდებარე დოკუმენტი შემუშავებულია ანტიდემპინგური ღონისძიების დეპარტამენტის მოხსენებითი ბარათის N03/757 (08.07.2024) საფუძველზე.

წარმოდგენილი კვლევის მიზანია საქართველოში არსებული ადგილობრივი წარმოების ინდუსტრიებში შესაძლო დემპინგური იმპორტისა და ზიანის საფრთხის შეფასება და ამ მიმართულებით მოწყვლადი სექტორების განსაზღვრა.

პირველ რიგში ხაზგასასმელია, რომ კანონით გათვალისწინებული ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების საფუძველს დემპინგური იმპორტის დადგენასთან ერთად, ადგილობრივი ინდუსტრიისათვის მიყენებული ზიანის ან ზიანის საფრთხის დადგენა წარმოადგენს. სააგენტოს მიერ ანტიდემპინგური შესწავლის წარმოების პროცესი მიმართულია დემპინგური იმპორტის შეფასების, ადგილობრივი ინდუსტრიის ზიანისა ან ზიანის საფრთხის და მათ შორის მიზეზშედეგობრივი კავშირის დადგენაზე.

აღნიშნულის გათვალისწინებით, დემპინგური იმპორტის მიმართ მოწყვლადი სექტორების შეფასება, შესაძლო დემპინგური იმპორტის დადგენის მიმართულებასთან ერთად ადგილობრივი ინდუსტრიის შესაძლო ზიანის ნაწილსაც მოიცავს.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, დემპინგური იმპორტის მიმართ სექტორის მოწყვლადობას განვსაზღვრავთ საერთაშორისო დონეზე არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით, კერძოდ, სექტორებისა და სამიზნე ქვეყნების მიხედვით გამოყენებული ანტიდემპინგური ღონისძიებების საფუძველზე. ანტიდემპინგური ღონისძიებების გამოყენების მიმართულებით განხორციელებული კვლევების მიხედვით ვლინდება, რომ ხშირია ვაჭრობაში დაცვითი მექანიზმების ერთსა და იმავე პროდუქტსა და საექსპორტო ქვეყანაზე გამოყენების შემთხვევები, აღნიშნულ პრაქტიკას კი ანტიდემპინგური ღონისძიებების „ექოს“ პრინციპით გამოყენებას უწოდებენ (Tabakis და Zanardi, 2014). შესაბამისად, ერთი ქვეყნის მიერ ექსპორტირებულ პროდუქტზე შემოღებული ანტიდემპინგური ღონისძიებები სხვადასხვა იმპორტიორი ქვეყნის მიერ, დემპინგური იმპორტის მიმართ ამ სექტორის/პროდუქტის ჯგუფის მოწყვლადობის მიმანიშნებელია.

კანონის მე-14 მუხლის მიხედვით განსაზღვრულია, რომ ზიანის დადგენა ხორციელდება დემპინგური იმპორტის მოცულობის, ადგილობრივ ბაზარზე ფასების გავლენისა და ადგილობრივი მწარმოებლების ეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზის საფუძველზე. ხელმისაწვდომი ინფორმაციის გათვალისწინებით, ზიანის ნაწილში შეფასებული იქნება იმპორტის მოცულობისა და ადგილობრივი ინდუსტრიის ბრუნვის დინამიკა. აღსანიშნავია, რომ სექტორებისა და ქვესექტორების დონეზე არ არის ხელმისაწვდომი ინფორმაცია საქონლის/პროდუქტის ჯგუფების ფასებთან დაკავშირებით, ასევე ქვესექტორების დონეზე არ

არის ხელმისაწვდომი ადგილობრივი მწარმოებლების ეკონომიკური მაჩვენებლები (მაგ. როგორიც არის პროდუქციის გამოშვება, მომგებიანობა, დასაქმება, პროდუქტიულობა და ა.შ).

შესაბამისად, დემპინგური იმპორტის დადგენის კომპონენტი გავრცელებული საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, ხოლო ადგილობრივი ინდუსტრიისათვის შესაძლო ზიანი კანონით გათვალისწინებული ზიანის დადგენის პრინციპების საფუძველზე განხორციელდება.

ამასთანავე, ხაზგასასმელია, რომ კვლევა არ წარმოდგენს შესაბამისი სექტორის სრულყოფილ შეფასებას, რასაც სააგენტო უშუალოდ ანტიდემპინგური შესწავლის დროს შესაბამისი რესურსების გამოყენებით ახორციელებს. კვლევის შედეგები არ გულისხმობს იდენტიფიცირებულ სექტორებში დემპინგური იმპორტისა და ზიანის არსებობას. ხაზგასასმელია, რომ შერჩეული მეთოდოლოგიის გათვალისწინებით, შეფასებულია მხოლოდ საერთაშორისო პრაქტიკაში გავრცელებული სექტორები, შესაბამისად არ არის გამორიცხული საქართველოში წარმოების სხვა დარგებში შესაძლო დემპინგური იმპორტისა და ზიანის ან ზიანის საფრთხის არსებობა.

2. მეთოდოლოგია და გამოყენებული მონაცემთა ბაზები

შესაძლო დემპინგური იმპორტისა და ინდუსტრიაზე ზიანის მიყენების საფრთხის შეფასებისათვის კვლევაში სამი ძირითადი განზომილება არის გამოყენებული:

- <u>საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზი</u>

პირველი განზომილება მსოფლიოში შემოღებული ანტიდემპინგური ღონისძიების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზს მოიცავს. ამ მიმართულების შეფასების მიზანია საერთაშორისო დონეზე იმ სექტორების შერჩევა, სადაც გავრცელებულია დემპინგური ფასების გამოყენების პრაქტიკა. ინდუსტრიების იდენტიფიცირებისათვის გამოვიყენებთ პროდუქტების ჯგუფების მიხედვით მსოფლიოში შემოღებული ანტიდემპინგური ღონისძიებების, ასევე საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორების წინააღმდეგ შემოღებული ზომებისა და შემოსავლების ჯგუფის მიხედვით საქართველოს მსგავსი ქვეყნების მიერ გამოყენებული ზომების ინდიკატორებს.

დემპინგური იმპორტის მიმართ სექტორის მოწყვლადობის ინდიკატორად საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინების საფუძველს ანტიდემპინგური პოლიტიკის მიმართულებით არსებული კვლევები წარმოადგენს. როგორც უკვე აღინიშნა, ხშირია იმპორტიორი ქვეყნების მიერ სისტემურად ერთი და იგივე ქვეყნიდან შესაბამის პროდუქტზე ანტიდემპინგური ღონისძიების გამოყენების შემთხვევები. ემპირიული კვლევებით დასტურდება, რომ იმპორტიორი ქვეყნის მიერ ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების ალბათობა იზრდება იმ შემთხვევაში, თუ სხვა ქვეყნის მიერ უკვე გამოყენებულია მსგავსი პროდუქტისა და ექსპორტიორის წინააღმდეგ აღნიშნული ღონისძიება. ასევე იკვეთება, რომ გარკვეული ინდუსტრიული სექტორები, განსაკუთრებით კი ფოლადისა და ქიმიური პროდუქტების სექტორები, უფრო ხშირად ხდებიან აღნიშნული ღონისძიებების სამიზნე. დამატებით, მსგავსი ტენდენცია სამიზნე ქვეყნების შემთხვევაშიც ვრცელდება. ავტორების შეფასებით, კვლევაში გამოყენებული პერიოდის განმავლობაში ანტიდემპინგური საქმეების 20.5%-ში გამოყენებული იყო ანტიდემპინგური ღონისძიებები „ექოს“ პრინციპით (Tabakis და Zanardi, 2014). შესაბამისად, იმპორტირებული პროდუქტისა და აღნიშნული პროდუქტის ექსპორტიორი ქვეყნების წინააღმდეგ შემოღებული ანტიდემპინგური ღონისძიებების შეფასება საქართველოში დემპინგური იმპორტის რისკის იდენტიფიცირების საფუძველია.

სექტორების მოწყვლადობის შეფასების კიდევ ერთ ინდიკატორს ქვეყნების განვითარების დონის მიხედვით გამოყენებული ღონისძიებების შეფასება წარმოადგენს. სექტორში/ პროდუქტის ჯგუფში ანტიდემპინგური ღონისძიებების გამოყენება განხილული იქნება მსოფლიო ბანკის შემოსავლების მიხედვით ქვეყნების კლასიფიკაციაში ინიციატორი ქვეყნების ჯგუფების მიხედვით. აღნიშნული ინდიკატორის გამოყენება განვითარების დონის მიხედვით ქვეყნებში ადგილობრივი წარმოების განსხვავებული დარგების განვითარებასთან არის დაკავშირებული. ამ მიმართულებით არსებული ლიტერატურის მიხედვით, განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების განსხვავებული წარმოების ფაქტორების გათვალისწინებით, ასევე განსხვავებულია მათი წარმოების სპეციალიზაცია. მაგალითისათვის, კვლევებით დასტურდება, რომ განვითარებული ქვეყნებისათვის კაპიტალტევად სექტორებში სპეციალიზაციაა დამახასიათებელი, ხოლო განვითარებადი ქვეყნებისათვის - შრომატევად სექტორებში (Hakobyan & Lederman, 2016). შესაბამისად, მსგავსი შემოსავლების დონის მქონე ქვეყნების მიერ გამოყენებული ანტიდემპინგური ღონისძიებების სექტორები, შესაძლოა, უფრო აქტუალური იყოს საქართველოსთვის, ეკონომიკური განვითარების დონესთან დაკავშირებული მსგავსებების გათვალისწინებით.

- <u>ადგილობრივი ინდუსტრიის ტენდენციების შეფასება</u>

მეორე მიმართულება საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე იდენტიფიცირებულ სექტორებში ადგილობრივი წარმოების მაჩვენებლების ანალიზს მოიცავს. ამ განზომილებაში გავაანალიზეთ, როგორც ინდუსტრიის მნიშვნელობა, ასევე არსებული ტენდენციები. ადგილობრივი წარმოების მიმართულებით მონაცემთა ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული გამოწვევების გათვალისწინებით, ადგილობრივი ინდუსტრიის შეფასებისათვის გამოვიყენეთ სექტორების მიხედვით აქტიური სუბიექტებისა და ბრუნვის ინდიკატორები. აღნიშნული ინდიკატორების საფუძველზე გამოვავლინეთ მნიშვნელოვანი ადგილობრივი წარმოების სექტორები, რომლებსაც განვითარების კლებადი ტენდენცია ახასიათებთ.

ანტიდემპინგურ პოლიტიკაზე არსებულ ლიტერატურაში აქტუალურ საკითხს, ასევე, იმ ინდუსტრიული მახასიათებლების დადგენა წარმოადგენს, რომელიც სავარაუდოს ხდის კომპანიების მიერ ანტიდემპინგური შესწავლის წარმოებისა და ანტიდემპინგური ტარიფის მოთხოვნას. კვლევაში „WTO და ანტიდემპინგი განვითარებად ქვეყნებში“ ავტორები შეისწავლიან ანტიდემპინგური ღონისძიებების გამოყენებისაკენ მიდრეკილი ინდუსტრიების განმსაზღვრელ ფაქტორებს. კვლევის შედეგების მიხედვით, დიდი ზომის ინდუსტრიებს (რომლებიც მაღალი ბრუნვით ან დასაქმებულთა რაოდენობით გამოირჩევიან) მეტი რესურსი აქვთ ანტიდემპინგური განცხადების წარსადგენად. სტატიის მიხედვით, იმ სექტორებში, სადაც ბრუნვის წილი მთლიან ეკონომიკაში მაღალია, უფრო ხშირად იყენებენ ანტიდემპინგურ მექანიზმებს. კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს ინდუსტრიების მომართვიანობაზე, მათი წარმოების მოცულობის შემცირებაა (Bown, 2007).

იმის გათვალისწინებით, რომ კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტისა და მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, ანტიდემპინგური ღონისძიებების შემოღების წინაპირობა ადგილობრივი ინდუსტრიის მიერ წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე დაწყებული ანტიდემპინგური შესწავლაა, ღონისძიებების გამოყენების შესაძლებლობა მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული ინდუსტრიის მზაობასთან, გამოყოს შესაბამისი რესურსი აღნიშნული განცხადების წარდგენისათვის. შესაბამისად, ადგილობრივი ინდუსტრიის ტენდენციების განზომილებაში დემპინგური იმპორტის მიმართ სექტორების მოწყვლადობის, ინდუსტრიის მნიშვნელობისა და შესაძლო ზიანის დასადგენად გამოვიყენებთ სექტორების/პროდუქტის ჯგუფების დონეზე ბრუნვის მაჩვენებლებს, მსხვილი და საშუალო საწარმოების რაოდენობასა და ბრუნვის განვითარების ტენდენციებს.

- <u>იმპორტის მაჩვენებლების ანალიზი</u>

საერთაშორისო ანტიდემპინგურ პრაქტიკაში გავრცელებული და ადგილობრივი წარმოების მქონე სექტორების შეფასების ბოლო ეტაპზე გავაანალიზებთ შერჩეულ ინდუსტრიებში არსებული იმპორტის მაჩვენებლებს. აღნიშნული მიმართულება მოიცავს, როგორც სექტორში/პროდუქტის ჯგუფში იმპორტის მნიშვნელობის, ასევე ქვეყნების მიხედვით იმპორტის და მისი განვითარების ტენდენციების შეფასებას. მესამე მიმართულების ინდიკატორების საფუძველზე გამოვავლენთ საერთაშორისო პრაქტიკაში ანტიდემპინგური ღონისძიებების ძირითადი სამიზნე ქვეყნების მიერ საქართველოში იმპორტირებული პროდუქტების სექტორებს, ასევე ზიანის ფაქტორების გათვალისწინებით იმპორტის მზარდი ტენდენციის მქონე სექტორებს.

იმპორტის მაჩვენებლების ანალიზის მნიშვნელობა, ასევე, ხაზგასმულია ზემოთ ხსენებულ „WTO და ანტიდემპინგი განვითარებად ქვეყნებში“ ნაშრომში, სადაც ავტორები დემპინგური იმპორტის ზეგავლენის შეფასების ერთ-ერთ მთავარ ინდიკატორად იმპორტის შეღწევადობის კოეფიციენტს იყენებენ. ეს ინდიკატორი გამოხატავს იმპორტის წილს ქვეყნის შიდა ბაზარზე. კვლევების მიხედვით, იმ ინდუსტრიებს, რომლებსაც მაღალი იმპორტის შეღწევადობა აქვთ, უფრო მაღალი ალბათობა აქვთ, რომ მიმართონ ანტიდემპინგურ ღონისძიებებს. დამატებით, იმპორტის ზრდის ტენდენციამ შეიძლება დააზიანოს ადგილობრივი ინდუსტრიები, განსაკუთრებით, თუ იმპორტი გაძვირების ნაცვლად იაფდება (Bown, 2007). აღნიშნულის გათვალისწინებით, იმპორტის ზრდის ან კლების მაჩვენებელი მნიშვნელოვანია იმის განსასაზღვრად, თუ რომელი სექტორებია უფრო დაუცველი არასამართლიანი სავაჭრო პრაქტიკის მიმართ.

დიაგრამა 1. კვლევის ანალიტიკური ჩარჩო/ შეფასების განზომილებები



კვლევა შეფასების ორ ეტაპს მოიცავს. პირველ ეტაპზე გამოვავლენთ ანტიდემპინგური პოლიტიკის მიმართულებით საინტერესო სექტორების ჩამონათვალს, რომლის განსაზღვრისათვის ქვემოთ წარმოდგენილ სამ კრიტერიუმს გამოვიყენებთ.

დიაგრამა 2. შესაფასებელი სექტორების/პროდუქტის ჯგუფების შერჩევის კრიტერიუმები:



მეორე ეტაპზე შერჩევის კრიტერიუმების საფუძველზე გამოვლენილი სექტორები შეფასდება ზემოთ ხსენებული სამი განზომილების შესაბამისი ინდიკატორების გამოყენებით. საერთაშორისო პრაქტიკის, წარმოებისა და იმპორტის სისტემური ანალიზი, დემპინგური იმპორტისა და ზიანის მიმართულებით საქართველოსთვის პოტენციურად ყველაზე აქტუალური სექტორების განსაზღვრის საშუალებას მოგვცემს. პირველ ცხრილში წარმოდგენილია სექტორების შეფასებისათვის გამოყენებული ინდიკატორების სია.

როგორც საერთაშორისო, ასევე საქართველოში არსებული პრაქტიკის შესაბამისად, ანტიდემპინგური შესწავლის წარმოების პროცესში ზიანის ინდიკატორების შეფასებისათვის გამოყენებულია 3 წლიანი პერიოდი. აღნიშნულის გათვალისწინებით, კვლევაში ადგილობრივი ინდუსტრიისა და იმპორტის განვითარების დინამიკის შეფასების პერიოდად 2021-2023 წლები განისაზღვრა.

ამასთანავე, ხაზგასასმელია, რომ ქვეყნების მიხედვით იმპორტის მაჩვენებლების ანალიზისას გათვალისწინებული იქნება იმპორტის უმნიშვნელო მოცულობის კრიტერიუმი. კანონის 21-ე მუხლის მიხედვით, შესწავლის ორგანო შესწავლას არ დაიწყებს, თუ დაადგენს, რომ შესწავლის ობიექტის რომელიმე ქვეყნიდან საქართველოში განხორციელებული იმპორტის მოცულობა უმნიშვნელოა – მსგავსი პროდუქტის მთლიანი იმპორტის 3%-ზე ნაკლები. შესაბამისად, სექტორის/პროდუქტის ჯგუფების დონეზე ძირითადი ექსპორტიორი ქვეყნების განხილვისას 3%-ზე დაბალი წილის მქონე ქვეყნები ერთიანად იქნება შეფასებული.

ცხრილი 2. სექტორების/პროდუქტის ჯგუფების შეფასების ინდიკატორები

ინდიკატორი	აღწერა	პერიოდი	წყარო
საერთაშორისო პრაქტიკის განზომილება			
შემოსავლის დონის მიხედვით საქართველოს მსგავსი ქვეყნების მიერ შემოღებული ანტიდემპინგური ღონისძიებების რაოდენობა	მსოფლიო ბანკის შემოსავლების მიხედვით ქვეყნების კლასიფიკაციაში საქართველოს მსგავსი (საშუალოზე მაღალი შემოსავლის) მქონე ქვეყნების მიერ შემოღებული ანტიდემპინგური ზომების რაოდენობა სექტორების/პროდუქტის ჯგუფების მიხედვით	2020 წლისათვის აქტიური ზომები; 2020-2024 წლები	ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ვაჭრობაში დაცვითი ზომების მონაცემთა ბაზა მსოფლიო ბანკის შემოსავლების მიხედვით ქვეყნების კლასიფიკაცია
შემოღებული ანტიდემპინგური ღონისძიებების რაოდენობა	საერთაშორისო დონეზე შემოღებული ანტიდემპინგური ღონისძიებების რაოდენობა სექტორების/პროდუქტის ჯგუფების მიხედვით	2020 წლისათვის აქტიური ზომები; 2020-2024 წლები	ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ვაჭრობაში დაცვითი ზომების მონაცემთა ბაზა
	საერთაშორისო დონეზე შემოღებული ანტიდემპინგური ღონისძიებების რაოდენობა სამიზნე ქვეყნების მიხედვით	2020 წლისათვის აქტიური ზომები; 2020-2024 წლები	ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ვაჭრობაში დაცვითი ზომების მონაცემთა ბაზა

ადგილობრივი წარმოების ტენდენციების განზომილება			
ადგილობრივი ინდუსტრიის მნიშვნელობა	სექტორებში/პროდუქტის ჯგუფებში ადგილობრივი კომპანიების რაოდენობა ზომის მიხედვით	2023 წელი	საქსტატი საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევა
	სექტორების/პროდუქტის ჯგუფების მიხედვით ბოლო სამი წლის ბრუნვის მაჩვენებლები	2021-2023 წლები	საქსტატი საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევა, შემოსავლების სამსახური
ადგილობრივი ინდუსტრიის განვითარების ტენდენცია	სექტორების/პროდუქტის ჯგუფების ბრუნვის ყოველწლიური ზრდის/კლების მაჩვენებელი (CAGR) 2021-2023 წლებში	2021-2023 წლები	საქსტატი საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევა, შემოსავლების სამსახური
იმპორტის მაჩვენებლების განზომილება			
იმპორტის მოცულობა	სექტორში/პროდუქტის ჯგუფში ბოლო სამი წლის იმპორტის მაჩვენებლები	2021-2023 წლები	UN Comtrade. HS 4 ნიშნა კოდების დონეზე.
იმპორტის განვითარების ტენდენცია	სექტორში/პროდუქტის ჯგუფში იმპორტის ყოველწლიური ზრდის მაჩვენებელი (CAGR) 2021-2023 წლებში	2021-2023 წლები	UN Comtrade. HS 4 ნიშნა კოდების დონეზე.
ანტიდემპინგური ღონისძიებების სამიზნე ქვეყნებიდან იმპორტის კონცენტრაცია	სექტორში/პროდუქტის ჯგუფში ძირითადი ექსპორტიორი ქვეყნის წინააღმდეგ გამოყენებული ანტიდემპინგური ზომების რაოდენობა გამოყენებული ზომების მთლიანი რაოდენობის გათვალისწინებით	2020 წლისათვის აქტიური ზომები; 2020-2024 წლები	UN Comtrade მონაცემთა ბაზა; ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ვაჭრობაში დაცვითი ზომების მონაცემთა ბაზა

პირველ ცხრილში წარმოდგენილი მრავალფაქტორიანი მოწყვლადობის ანალიზის გამოყენებით, დავადგენთ საქართველოში დემპინგური იმპორტისა და ზიანის მიმართ მოწყვლად სექტორებს. წარმოდგენილი კრიტერიუმების საფუძველზე შესაფასებელი სექტორები გადანაწილდება შესაძლო დემპინგური იმპორტისა და ზიანის მიმართ მოწყვლადობის მაღალი, საშუალოზე მაღალი, საშუალო და დაბალი მოწყვლადიბის კატეგორიებში.

კვლევაში გამოყენებულია სხვადასხვა სტატისტიკური ბაზებიდან მოძიებული მეორადი მონაცემები. ადგილობრივი ინდუსტრიის განვითარების მაჩვენებლები მოძიებულია საქსტატის საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევის შედეგებიდან და შემოსავლების სამსახურის ბაზიდან ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნული სტატისტიკური კლასიფიკატორის (სეკ 006-2016) ჯგუფის/კლასის დონეზე (მონაცემთა ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით). იმპორტის სტატისტიკა მოძიებულია UN Comtrade-ის მონაცემთა ბაზიდან საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის (HS) 4-ნიშნა კოდების დონეზე. ანტიდემპინგური ღონისძიებების სტატისტიკა მოძიებულია ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ვაჭრობაში დაცვითი ზომების მონაცემთა ბაზიდან.

ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნული სტატისტიკური კლასიფიკატორი (სეკ 006-2016) შემუშავებულია ევროკავშირის სტატისტიკური ეკონომიკური საქმეების კლასიფიკატორის NACE Rev. 2 Statistical classification of economic activities in the European Community-ს ბაზაზე,

შესაბამისად სეს ესნ 2017-თან შესაბამისობა დადგენილი იქნება NACE Rev. 2 კლასიფიკატორის საფუძველზე.

NACE Rev. 2 კოდების შესაბამისობა HS 2017 წლის სასაქონლო პოზიციებთან

კვლევის პირველი ეტაპი მოიცავს საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლას და იმ სექტორების იდენტიფიცირებას, რომელიც ყველაზე ხშირად ხდება ანტიდემპინგური ღონისძიების სამიზნე. ამისათვის, მონაცემები მოძიებულია ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ვაჭრობაში დაცვითი ზომების მონაცემთა ბაზიდან. პორტალზე მონაცემები წარდგენილია ანტიდემპინგური ზომის შემოღებისა და ზომის გაუქმების თარიღის, ინიციატორი ქვეყნის, სამიზნე ქვეყნისა და შესაბამისი პროდუქტის დასახელების მიხედვით. კვლევაში გამოყენებული მონაცემთა ბაზა მოიცავს ინფორმაციას 2020 წელს აქტიური და 01/01/2020 თარიღის შემდეგ შემოღებული ანტიდემპინგური ღონისძიებების შესახებ.

შეფასება განხორციელებულია ეკონომიკური საქმიანობის სახეების NACE კლასიფიკაციის მიხედვით იდენტიფიცირებული სექტორების/პროდუქტის ჯგუფების დონეზე. HS 4-ნიშნა კოდების მიხედვით მოძიებული ინფორმაციის NACE-ის კატეგორიებში ინტეგრირებისათვის გამოყენებულია შესაბამისობის ცხრილები[4] და ავტორების შეფასებები.

კვლევის მეორე ეტაპი მოიცავს უკვე იდენტიფიცირებულ სექტორებში ადგილობრივი წარმოების ინდიკატორის გათვალისწინებას, ამისათვის შემოსავლების სამსახურის ბაზიდან კომპანიების ბრუნვაზე მოძიებული ინფორმაციიდან დავაიდენტიფიცირებთ ტოპ 15 სეკ 006-2016-ის ჯგუფებში/ქვეჯგუფებში რეგისტრირებული კომპანიების ჯამური ბრუნვის მაჩვენებლები.

NACE-ის ჯგუფების კოდების HS 2017 წლის 4-ნიშნა კოდებში გადაყვანის მიზნით, კვლევის პირველ ეტაპზე შერჩეული 15 სექტორის შესაბამისი კოდები გადავიყვანეთ ISIC-ის შესაბამის კოდებში, შემდგომ ISIC-ის კოდები გადავიყვანეთ CPC 2.1 ვერსიის შესაბამის კოდებში, ხოლო CPC - HS კოდებში. საბოლოოდ, HS კოდების NACE-ის შესაბამის ჯგუფებსა და ქვეჯგუფებში გადაყვანა განხორციელდა, როგორც შესაბამისობის ცხრილების, ასევე ავტორების შეფასების საფუძველზე.

დიაგრამა 3. NACE REV. 2 HS 2017 გადაყვანის მეთოდი



NACE კოდების ISIC-ში გადაყვანისას გამოიკვეთა ერთი შემთხვევა, როდესაც რამდენიმე NACE კოდი ერთ ISIC-ში გადადიოდა, კერძოდ 20.13 NACE კოდი შეესაბამება 2011 ISIC კოდს, თავის მხრივ 2011 ISIC კოდი შეესაბამება ასევე 20.11, 20.12 და 20.14 NACE კოდებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, 20.13 NACE კოდის შესაბამისი HS 2017 4-ნიშნა კოდების განსაზღვრის შემდეგ, ეკონომიკური საქმიანობის სახეობების დასახელებისა და სასაქონლო ნომენკლატურის აღწერის გათვალისწინებით შესაბამისი კოდები შერჩეულ იქნა ავტორის შეფასებით. პირველ ეტაპზე, 20.13 NACE კოდის შესაბამისად 105 HS კოდი გამოვავლინეთ, რომელიც შემდგომი შეფასების შედეგად 49-მდე შემცირდა.

მეორე ეტაპზე, ISIC-დან CPC-ში კონვერტაციის დროს, გამოიკვეთა ორი CPC კოდი, რომელიც რამდენიმე ISIC და შესაბამისად NACE კოდს შეესაბამებოდა (ცხრილი 3). აღნიშნული ორი CPC

[4] https://unstats.un.org/unsd/classifications/Econ

კოდის შესაბამისი HS 2017 4-ნიშნა კოდები გადანაწილდა თანაბრად (გაიყო შესაბამისი NACE კოდების რაოდენობაზე).

ცხრილი 3. რამდენიმე NACE კოდის ერთ CPC კოდთან შესაბამისობის შემთხვევები

NACE Rev. 2	ISIC	CPC	HS 2017
16.2	1629	29600	6406
22.1	2219	29600	6406
22.2	2220	29600	6406
22.1	2219	36972	6506
22.2	2220	36972	6506

მესამე ეტაპი CPC-დან HS 2017 კოდების შესაბამისობის დადგენას მოიცავდა. ამ შემთხვევაში აღსანიშნავია, რომ დაფიქსირდა ბევრი შემთხვევა, როდესაც რამდენიმე CPC კოდი ერთ HS 2017 კოდს შეესაბამება. იმის გათვალისწინებით, რომ საბოლოო მიზანს NACE REV. 2 - HS 2017 კოდების შესაბამისობა წარმოადგენს, საყურადღებო მხოლოდ ის HS 2017 კოდებია, რომლებიც რამდენიმე NACE კოდს შეესაბამება, მათ შორის, კვლევის გარეთ დარჩენილ ჯგუფებს.

პირველ რიგში გამოვყავით ის HS კოდები, რომლებიც შერჩეულ რამდენიმე NACE კოდს შეესაბამებოდნენ. მსგავსი ვითარება 7 HS კოდის შემთხვევაში დაფიქსირდა. ავტორის შეფასების საფუძველზე განისაზღვრა იდენტიფიცირებული HS კოდების შესაბამისობა დადგენილ NACE კოდებთან. 2827, 2434, 3102 და 9620 HS კოდები მათი აღწერილობის მიხედვით გადანაწილდა შესაბამის NACE კოდებში. 9405 და 9406 HS კოდების შემთხვევაში დადგინდა მათი შესაბამისობა ცხრილებში წარმოდგენილ NACE კოდებთან.

ბოლო ეტაპზე, ასევე განვსაზღვრეთ ის HS კოდები, რომლებიც შერჩეული NACE კოდების პარალელურად მიესადაგება კვლევის გარეთ დარჩენილ სექტორებსაც. აღნიშნული მიმართულებით გამოიკვეთა 41 HS კოდი, რომელთა დამუშავება შესაბამისი ეკონომიკური საქმიანობის სახეებისა და პროდუქტის აღწერილობის გათვალისწინებით სააგენტოს შეფასებით განხორციელდა. ზემოთ ხსენებული მეთოდოლოგიის გამოყენებით შევიმუშავეთ ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნული სტატისტიკური კლასიფიკატორის ჯგუფების HS 4-ნიშნა კოდებთან შესაბამისობის ცხრილი.

3. შესაძლო დემპინგური იმპორტისა და ზიანის მიმართ მოწყვლადი სექტორების შერჩევის კრიტერიუმები

კვლევის პირველ ეტაპზე შესაძლო დემპინგური იმპორტისა და ზიანის კუთხით შესაფასებელი სექტორების გამოვლენისათვის განხორციელდა NACE-ის ჯგუფების დონეზე სექტორების შერჩევა. პირველი ეტაპი სამი შერჩევის კრიტერიუმს მოიცავდა.

პირველი კრიტერიუმი საერთაშორისო დონეზე შემოღებულ ანტიდემპინგურ ღონისძიებებთან არის დაკავშირებული. ამ მიმართულებით კვლევაში გამოყენებულია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ვაჭრობაში დაცვითი ზომების პორტალზე გამოქვეყნებული ანტიდემპინგური ღონისძიებების მონაცემთა ბაზა. მონაცემთა ბაზაში წარმოდგენილი ინფორმაცია მოიცავს 2020 წლის 1 იანვრისათვის აქტიური ზომებსა და ამ თარიღის შემდგომ შემოღებულ ანტიდემპინგურ ზომებს.

მონაცემთა ბაზის დამუშავების შედეგად გამოიკვეთა, რომ მსოფლიოში ანტიდემპინგური ღონისძიებების გამოყენების კუთხით მოწინავე სექტორს თუჯის, ფოლადის და ფეროშენადნობების წარმოება წარმოადგენს. ამ მიმართულებით შემოღებული ზომები მთლიანი რაოდენობის 18% შეადგენს. შემდეგ მოდის ორგანული ქიმიკატების წარმოების მიმართულება - 9%-იანი წილით, ფოლადის მილების წარმოება - 8%-იანი წილით, პლასტმასის პირველადი ფორმებისა და ლითონის სხვა მზა პროდუქტის წარმოება, შესაბამისად 5%-იანი და 4%-იანი წილებით. ამ ინფორმაციის გათვალისწინებით, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, შეფასების შემდეგი ეტაპისათვის სააგენტოს მიერ შერჩეულ იქნა წამყვანი 25 სექტორი, ანტიდემპინგური ღონისძიებების რაოდენობის გათვალისწინებით.

ცხრილი 4. საერთაშორისო დონეზე შემოღებული ანტიდემპინგური ღონისძიებების რაოდენობა

NACE Code	NACE ჯგუფის დასახელება	ანტიდემპინგური ღონისძიებების რაოდენობა	წილი
24.1	თუჯის, ფოლადის და ფეროშენადნობების წარმოება	525	18%
20.14	სხვა ორგანული ძირითადი ქიმიკატების წარმოება	271	9%
24.2	ფოლადის მილების, მილსადენების, რკინის პროფილების და მსგავსი ფიტინგების წარმოება	227	8%
20.16	პლასტმასის წარმოება პირველადი ფორმებით	150	5%
25.9	ლითონის სხვა მზა პროდუქტების წარმოება	129	4%
23.1	მინის და მინის ნაწარმის წარმოება	113	4%
22.2	პლასტმასის ნაწარმის წარმოება	95	3%
22.1	რეზინის ნაწარმის წარმოება	93	3%
20.13	სხვა არაორგანული ძირითადი ქიმიკატების წარმოება	89	3%
17.1	ქაღალდის მასის, ქაღალდის და მუყაოს წარმოება	79	3%
24.42	ალუმინის წარმოება	70	2%
20.6	ხელოვნური ბოჭკოს წარმოება	69	2%
10.3	ხილის და ბოსტნეულის გადამუშავება და დაკონსერვება	57	2%
10.1	ხორცის გადამუშავება, დაკონსერვება და ხორცის პროდუქტების წარმოება	47	2%

25.7	დანისებრი ნაკეთობების, ინსტრუმენტების და ზოგადი დანიშნულების კავეულის წარმოება	41	1%
20.5	სხვა ქიმიური პროდუქტების წარმოება	36	1%
23.3	სამშენებლო მასალების წარმოება თიხისგან	32	1%
27.1	ელექტროძრავების, გენერატორების, ტრანსფორმატორების და ელექტროგამანაწილებელი და საკონტროლო აპარატურის წარმოება	29	1%
31	ავეჯის წარმოება	29	1%
16.2	პროდუქციის წარმოება ხის, კორპის, ჩალის და წნული მასალებისგან	28	1%
13.9	ტექსტილის სხვა ნაწარმის წარმოება	27	1%
24.44	სპილენძის წარმოება	27	1%
28.1	საერთო დანიშნულების მანქანების წარმოება	27	1%
29.3	ავტოსატრანსპორტო საშუალებების ნაწილების და აქსესუარების წარმოება	26	1%
27.5	საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების წარმოება	24	1%
	დანარჩენი	523	18%

სექტორების შერჩევის მეორე ეტაპზე იდენტიფიცირებული 25 სექტორი შეფასდა NACE ჯგუფებში რეგისტრირებული ეკონომიკური სუბიექტების ბრუნვების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებში ჯგუფების დონეზე სექტორების ბრუნვებზე ინფორმაცია ხელმისაწვდომი არ არის. შერჩეული სექტორების ბრუნვისა და განვითარების ტენდენციის დადგენის მიზნით, სააგენტომ გამოიყენება საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ბიზნეს რეგისტრის მონაცემები, სადაც წარმოდგენილია NACE ჯგუფების დონეზე რეგისტრირებული ეკონომიკური სუბიექტების ჩამონათვალი. ეკონომიკური სუბიექტების იდენტიფიცირების შემდეგ, შემოსავლების სამსახურის მონაცემების საფუძველზე, წარმოდგენილი სუბიექტების საიდენტიფიკაციო ნომრების გამოყენებით დადგინდა დღგ-ს გადამხდელი საწარმოების წლიური ბრუნვა ჯგუფების მიხედვით.

მე-5 ცხრილში წარმოდგენილია შერჩეული NACE ჯგუფების 2021-2023 წლების საშუალო ბრუნვისა და აღნიშნული 25 სექტორის ჯამურ ბრუნვაში თითოეული სექტორის წილის მაჩვენებლები. აღსანიშნავია, რომ ანტიდემპინგური პოლიტიკის მნიშვნელოვან მიმართულებას, დემპინგური იმპორტის დადგენასთან ერთად ადგილობრივ ინდუსტრიაზე შესაძლო ზიანის მიმართულების გათვალისწინება წარმოადგენს. შესაბამისად, შერჩევის კრიტერიუმის მიზანს ადგილობრივი წარმოების მქონე სექტორების გამოვლენა და მათი მნიშვნელობის დადგენა წარმოადგენს. ადგილობრივი წარმოების ბრუნვების მიხედვით სექტორების შერჩევა განხორციელდა წამყვანი 15 სექტორის განსაზღვრის საფუძველზე. ბრუნვის მიხედვით სექტორების შეფასების საფუძველზე, ფოლადის წარმოებისა და საკვები პროდუქტის წარმოების სექტორები ლიდერობენ.

ცხრილი 5. NACE–ის ჯგუფების მიხედვით რეგისტრირებული დღგ-ს გადამხდელი ეკონომიკური სუბიექტების ბრუნვა

NACE კოდი	NACE ჯგუფის დასახელება	2021-2023 საშუალო მაჩვენებელი	% წილი
24.1	თუჯის, ფოლადის და ფეროშენადნობების წარმოება	2,387,435,992	45%
22.2	პლასტმასის ნაწარმის წარმოება	623,480,643	12%
10.1	ხორცის გადამუშავება, დაკონსერვება და ხორცის პროდუქტების წარმოება	534,962,390	10%
10.3	ხილის და ბოსტნეულის გადამუშავება და დაკონსერვება	471,199,970	9%
24.2	ფოლადის მილების, მილსადენების, რკინის პროფილების და მსგავსი ფიტინგების წარმოება	372,867,883	7%
31	ავეჯის წარმოება	346,071,756	7%
23.1	მინის და მინის ნაწარმის წარმოება	133,090,902	3%
16.2	პროდუქციის წარმოება ხის, კორპის, ჩალის და წნული მასალებისგან	133,029,259	3%
25.9	ლითონის სხვა მზა პროდუქტების წარმოება	103,742,763	2%
20.13	სხვა არაორგანული ძირითადი ქიმიკატების წარმოება	70,478,931	1%
13.9	ტექსტილის სხვა ნაწარმის წარმოება	54,849,353	1%
20.5	სხვა ქიმიური პროდუქტების წარმოება	35,474,563	0.7%
22.1	რეზინის ნაწარმის წარმოება	11,864,777	0.2%
27.1	ელექტროძრავების, გენერატორების, ტრანსფორმატორების და ელექტროგამანაწილებელი და საკონტროლო აპარატურის წარმოება	8,932,846	0.2%
23.3	სამშენებლო მასალების წარმოება თიხისგან	7,089,252	0.1%

შერჩევის/გამორიცხვის კრიტერიუმების მესამე ეტაპი იმპორტის მაჩვენებლების ანალიზს მოიცავს. იმის გათვალისწინებთ, რომ შესაძლო დემპინგური იმპორტისა და მისგან გამოწვეული ზიანის ერთ-ერთ საკვანძო ფაქტორს სექტორში/

პროდუქტის ჯგუფში განხორციელებული იმპორტის დინამიკა წარმოადგენს, კვლევისათვის საინტერესო სექტორების შერჩევის მიზნით, მნიშვნელოვან ინდიკატორად სექტორში იმპორტის ზრდის მაჩვენებლების გათვალისწინება მივიჩნიეთ. აღნიშნულის გათვალისწინებით, მე-6 ცხრილში წარმოდგენილია 2021-2023 წლებში ჯგუფების დონეზე იმპორტის მაჩვენებლების და საშუალო წლიური ზრდის (CAGR) დინამიკა. ჯგუფების დონეზე იმპორტის მაჩვენებლები დათვლილია კვლევის პროცესში შემუშავებული NACE - HS 2017 4-ნიშნა კოდების შესაბამისობის ცხრილის გამოყენებით. იმპორტის დინამიკის კრიტერიუმის გამოყენების შედეგად ტოპ 10 სექტორი შეირჩა ყველაზე მაღალი საშუალო წლიური ზრდის მაჩვენებლის მიხედვით.

ცხრილი 6. NACE–ის ჯგუფების მიხედვით იმპორტის მაჩვენებლები, 2021-2023 წლები (აშშ დოლარი)

Nace კოდი	NACE ჯგუფის დასახელება	2021	2023	% ზრდა
10.3	ხილის და ბოსტნეულის გადამუშავება და დაკონსერვება	64,378,313	122,339,498	38%
27.1	*ელექტროძრავების, გენერატორების, ტრანსფორმატორების და ელექტროგამანაწილებელი და საკონტროლო აპარატურის წარმოება*	*86,310,357*	*151,177,317*	*32%*
31	ავეჯის წარმოება	95,185,610	163,801,343	31%
10.1	ხორცის გადამუშავება, დაკონსერვება და ხორცის პროდუქტების წარმოება	141,649,617	231,630,669	28%
23.1	მინის და მინის ნაწარმის წარმოება	92,556,680	149,924,974	27%
23.3	სამშენებლო მასალების წარმოება თიხისგან	54,909,332	83,062,155	23%
20.13	სხვა არაორგანული ძირითადი ქიმიკატების წარმოება	23,840,959	34,155,460	20%
25.9	ლითონის სხვა მზა პროდუქტების წარმოება	147,716,461	207,862,025	19%
16.2	პროდუქციის წარმოება ხის, კორპის, ჩალის და წნული მასალებისგან	135,411,775	189,618,981	18%
24.2	*ფოლადის მილების, მილსადენების, რკინის პროფილების და მსგავსი ფიტინგების წარმოება*	*68,462,176*	*95,021,820*	*18%*
22.2	პლასტმასის ნაწარმის წარმოება	264,339,351	338,145,027	13%
24.1	თუჯის, ფოლადის და ფეროშენადნობების წარმოება	303,853,914	375,571,112	11%
20.5	სხვა ქიმიური პროდუქტების წარმოება	150,344,743	181,028,489	10%
22.1	რეზინის ნაწარმის წარმოება	139,716,373	154,777,334	5%
13.9	ტექსტილის სხვა ნაწარმის წარმოება	164,253,418	163,886,308	0%

10 შერჩეული სექტორის შესაფასებლად, ასევე გავითვალისწინეთ სექტორებში ადგილობრივი წარმოებისა და იმპორტირებული პროდუქტის შესაბამისობის საკითხი. ამ მიმართულებით გამოიკვეთა, რომ 27.1 ელექტროძრავების, გენერატორების, ტრანსფორმატორების და ელექტროგამანაწილებელი და საკონტროლო აპარატურის წარმოების ჯგუფში რეგისტრირებული საწარმოების საქმიანობას, შესაბამისი პროდუქტის წარმოებასთან ერთად, ელექტროსამონტაჟო სამუშაოების მომსახურების მიწოდების საქმიანობა წარმოადგენს. იმის გათვალისწინებით, რომ სექტორის ბრუნვა საკმაოდ დაბალია იმპორტთან მიმართებით და მოიცავს მომსახურების გაწევის საქმიანობასაც, დემპინგური იმპორტის შესაძლო საფრთხის დადგენის კუთხით ეს სექტორი ნაკლებად აქტუალურად ჩაითვალა.

დამატებით, 24.1 თუჯის, ფოლადის და ფეროშენადნობების წარმოების სექტორის ანალიზის პროცესი, ასევე მოიცავდა 24.2 კოდით რეგისტრირებული ეკონომიკური სუბიექტების გათვალისწინებას. კომპანიების საქმიანობის შეფასების შედეგად გამოიკვეთა, რომ 24.2 კოდით რეგისტრირებული საწარმოებიდან ორი მსხვილი და ერთი მცირე საწარმოს ძირითად საქმიანობას ფოლადის წნელების წარმოება წარმოადგენდა, შესაბამისად 24.2 ფოლადის მილების, მილსადენების, რკინის პროფილების და მსგავსი ფიტინგების წარმოების სექტორი

ცალკე შეფასებას აღარ საჭიროებს. ზემოთ ხსენებულის გათვალისწინებით, მივიღეთ გადაწყვეტილება აღნიშნული ორი სექტორის მე-6 ცხრილის ჩამონათვალში შემდეგი სექტორებით ჩანაცვლებასთან დაკავშირებით.

ამ მიმართულებით, აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი წარმოების ბრუნვის მაჩვენებლების დადგენის მიზნით გამოყენებულია საქსტატის მონაცემები, რომლის მიხედვითაც კომპანიას მითითებული აქვს მისი ძირითადი საქმიანობის შესაბამისი კოდი, თუმცა ეს არ გამორიცხავს რომ კომპანია სხვა მიმართულებითაც საქმიანობს. კვლევის პროცესში სექტორების ინდივიდუალური შეფასების პროცესში მსგავსი არაერთი შემთხვევა გამოვლინდა, თუმცა მონაცემების ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით, პროდუქტების მიხედვით ბრუნვის განცალკევება შეუძლებელია. შესაბამისად, სააგენტო კვლევის პროცესში მისთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე სექტორულ ბრუნვას კომპანიების საქმიანობის კოდის მიხედვით ახორციელებს.

მე-7 ცხრილში წარმოდგენილია კვლევის პირველ ეტაპზე შერჩევის კრიტერიუმების საფუძველზე შესაძლო დემპინგური იმპორტისა და ზიანის მიმართ მოწყვლადი სექტორების შესაფასებლად შერჩეული NACE კლასიფიკაციის ჯგუფები. კვლევის შემდეგ ეტაპზე წარმოდგენილი 10 სექტორის შერჩეული კრიტერიუმების მიხედვით შეფასების საფუძველზე სააგენტო საქართველოში დემპინგური იმპორტისა და ადგილობრივი ინდუსტრიის ზიანის მიმართ მოწყვლად სექტორებს გამოავლენს.

ცხრილი 7. შერჩეული სექტორების ჩამონათვალი

NACE კოდი	NACE ჯგუფის დასახელება	ანტიდემპინგური ღონისძიებების რაოდენობა	საშუალო ბრუნვა GEL (2021-2023)	საშუალო იმპორტი USD (2021-2023)	იმპორტის ზრდა CAGR (2021-2023)
10.1	ხორცის გადამუშავება, დაკონსერვება და ხორცის პროდუქტების წარმოება	47	534,962,390	188,208,561	28%
10.3	ხილის და ბოსტნეულის გადამუშავება და დაკონსერვება	57	471,199,970	95,055,393	38%
16.2	პროდუქციის წარმოება ხის, კორპის, ჩალის და წნული მასალებისგან	28	133,029,259	169,153,028	18%
20.13	სხვა არაორგანული ძირითადი ქიმიკატების წარმოება	89	70,478,931	30,028,987	20%
22.2	პლასტმასის ნაწარმის წარმოება	95	623,480,643	304,129,293	13%
23.1	მინის და მინის ნაწარმის წარმოება	113	133,090,902	126,724,158	27%
23.3	სამშენებლო მასალების წარმოება თიხისგან	32	7,089,252	70,563,978	23%
24.1	თუჯის, ფოლადის და ფეროშენადნობების წარმოება	525	2,387,435,992	373,121,020	11%
25.9	ლითონის სხვა მზა პროდუქტების წარმოება	129	103,742,763	184,077,197	19%
31	ავეჯის წარმოება	29	346,071,756	129,120,669	31%

4. შერჩეული სექტორების შეფასება

4.1. ხორცის გადამუშავება, დაკონსერვება და ხორცის პროდუქტების წარმოება

შერჩეული წარმოების სექტორებიდან ერთ-ერთი მიმართულება ხორცის გადამუშავებას, დაკონსერვებასა და ხორცის პროდუქტების წარმოებას (NACE კოდი 10.1) მოიცავს, რომელიც რამდენიმე ქვეკლასის პროდუქტს შეიცავს, მათ შორის არის ხორცის გადამუშავება და დაკონსერვება (10.11), შინაური ფრინველის ხორცის გადამუშავება და დაკონსერვება (10.12), ასევე ხორცის პროდუქტის წარმოება (10.13). იმის გათვალისწინებით, რომ ადგილობრივი მწარმოებლების მიერ თითოეული პროდუქტის მიმართულებით განხორციელებულ საქმიანობასთან დაკავშირებულ ბრუნვაზე ზუსტი ინფორმაციის მოპოვება სირთულეებთან არის დაკავშირებული, კვლევის პირველ ეტაპზე, აღნიშნული პროდუქტების შეფასება ერთიანად განხორციელდა შესაბამისი NACE კლასიფიკატორის ჯგუფის დონეზე.

ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით, ზემოთ ხსენებული შეზღუდვის მიუხედავად, ანგარიშის მოცემულ ნაწილში მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, უფრო დეტალურად განვიხილოთ პროდუქტის რომელ ჯგუფებს ეხება ძირითადად მსოფლიოში შემოღებული ანტიდემპინგური ზომები, ასევე დავადგინოთ, რამდენად აწარმოებს ადგილობრივი ინდუსტრია იდენტიფიცირებული პროდუქტის მსგავს პროდუქტს და რომელი ქვეყნები არიან განსახილველი პროდუქტების ექსპორტიორები.

სექტორული შეფასების ნაწილში მნიშვნელოვანია სექტორში შემოღებული ანტიდემპინგური ღონისძიებების განხილვა ინიციატორი ქვეყნების, სამიზნე ქვეყნებისა და პროდუქტის ჯგუფების მიხედვით. ხორცის გადამუშავება, დაკონსერვება და ხორცის პროდუქტების წარმოების მიმართულებით საერთაშორისო დონეზე შემოღებული ანტიდემპინგურის ღონისძიებების ინიციატორ ქვეყნებს საშუალოზე მაღალი და საშუალოზე დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნები წარმოადგენენ. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემთა ბაზის მიხედვით, ამ მიმართულებით 2020 წელს აქტიურ და მის შემდგომ შემოღებულ 47 ანტიდემპინგურ ღონისძიებას შორის 29 ზომა გამოყენებულია საშუალოზე მაღალი შემოსავლის მქონე ჯგუფის ქვეყნების მიერ, ხოლო 18 ზომა საშუალოზე დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნების მიერ. ამასთანავე ხაზგასასმელია, რომ ინიციატორ ქვეყნებში აფრიკის რეგიონის ქვეყნებია ძირითადად წარმოდგენილი. ხორცის დამუშავება, დაკონსერვება და წარმოების მიმართულებით ანტიდემპინგური ღონისძიებების შემოღება დამახასიათებელია შემოსავლების მიხედვით საქართველოს მსგავსი ქვეყნების ჯგუფებში.

დიაგრამა 4. ანტიდემპინგური ღონისძიებების რაოდენობა ინიციატორი ქვეყნისა და მსოფლიო ბანკის შემოსავლებით მიხედვით ქვეყნების კლასიფიკაციის გათვალისწინებით



ანტიდემპინგური ღონისძიებების ანალიზისას, ძირითადი ინიციატორი ქვეყნების შეფასების გარდა, ასევე მნიშვნელოვანია აღნიშნული ღონისძიებების ძირითადი სამიზნე ქვეყნებისა და პროდუქტის სახეობების შეფასება. მე-8 ცხრილში წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით იკვეთება, რომ ძირითად სამიზნე პროდუქტს ქათმის ხორცი წარმოადგენს, რის გათვალისწინებითაც, ადგილობრივი წარმოებისა და იმპორტის შეფასების ნაწილშიც მნიშვნელოვანია ქათმის ხორცის პროდუქციაზე კონცენტრირება. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ ძირითად სამიზნე ქვეყნებში ბრაზილიას და აშშ-ს წინააღმდეგ შემოღებულია 6 ანტიდემპინგური ღონისძიება, ხოლო დანარჩენი ზომები ევროპის ქვეყნების წინააღმდეგ არის მიმართული.

ცხრილი 8. შემოღებული ანტიდემპინგური ღონისძიებების რაოდენობა პროდუქტის სახეობისა და სამიზნე ქვეყნების მიხედვით

პროდუქტის სახეობა	სამიზნე ქვეყანა	ანტიდემპინგური ღონისძიებების რაოდენობა
გაყინული ქათმის ხორცი – ძვლებგამოუცლელი	ბრაზილია	5
	დანია	5
	გერმანია	5
	ირლანდია	5
	ნიდერლანდები	5
	პოლონეთი	5
	ესპანეთი	5
	გაერთიანებული სამეფო	5
ქათმის ხორცი და მისი ნაწილები	აშშ	6
	ბრაზილია	1

მსოფლიოში ხორცის გადამუშავების, დაკონსერვებისა და ხორცის პროდუქტების წარმოების მიმართულებით გამოყენებული ანტიდემპინგური ღონისძიებების განხილვის შემდეგ, აუცილებელია საქართველოში ამ ინდუსტრიაში არსებული ტენდენციების შეფასება. პირველ რიგში ხაზგასასმელია, რომ სექტორში ოპერირებს 293 ეკონომიკური სუბიექტი, მათ შორის 6 საწარმო არის მსხვილი ზომის, 9 საწარმო საშუალო, ხოლო დანარჩენი სუბიექტები მცირე ან უცნობის ზომის არის. საქმიანობის მიხედვით განაწილების მიხედვით 204 კომპანია ხორცის პროდუქტების წარმოების მიმართულებით საქმიანობს, ხოლო 75 ხორცის გადამუშავების მიმართულებით. რაც შეეხება, გავრცელებული ანტიდემპინგური ღონისძიებების კუთხით ყველაზე აქტუალური პროდუქტის მწარმოებლებს, ამ მიმართულებით ჯამში 7 მცირე ზომის სუბიექტი არის რეგისტრირებული, მათ შორის 3 საწარმო და 4 ინდივიდუალური მეწარმე.

ცხრილი 9. კომპანიების რაოდენობა საქმიანობისა და ზომის მიხედვით, 2023 წელი

NACE-ის კლასი	საქმიანობის სახე	მსხვილი	საშუალო	მცირე	ზომა უცნობია	სულ
10.11	ხორცის გადამუშავება და დაკონსერვება			75	7	82
10.12	შინაური ფრინველი ხორცის გადამუშავება და დაკონსერვება			7		7
10.13	ხორცის პროდუქტების წარმოება	6	9	171	18	204

დამატებით, გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული ინდუსტრიის სექტორული მონიტორინგისათვის შერჩევის შემთხვევაში, საჭირო იქნება NACE-ის 01.47 მეფრინველეობის

ქვეჯგუფში რეგისტრირებული ეკონომიკური სუბიექტების გათვალისწინება, იქიდან გამომდინარე, რომ ამ ინდუსტრიაში მოქმედი კომპანიების ნაწილს ძირითად საქმიანობად ქათმის მოშენება ან კვერცხის წარმოება აქვთ განსაზღვრული, თუმცა ამავდროულად ეწევიან შინაური ფრინველის ხორცის გადამუშავების საქმიანობასაც.

2021-2023 წლებში, ხორცის გადამუშავება, დაკონსერვება და ხორცის პროდუქტების წარმოების მიმართულებით რეგისტრირებული სუბიექტების ბრუნვის შეფასებისას იკვეთება, რომ ყველაზე დიდი წილი ხორცის პროდუქტების წარმოებაზე მოდის, რაც მოიცავს ძეხვის, სოსისისა და სხვა მსგავსი პროდუქტის წარმოებას. 2023 წელს მთლიანი ბრუნვის 94%-მდე სწორად ამ მიმართულებაზე მოდიოდა. რაც შეეხება ბრუნვის ტენდენციას 2021-2023 წლებში ჯამური ბრუნვის საშუალო წლიური ზრდის მაჩვენებელმა 15% შეადგინა.

ცხრილი 10. ბრუნვა საქმიანობის სახეების მიხედვით, 2021-2023 წლები (ლარი)

საქმიანობის სახე	2021	2022	2023	ზრდა (CAGR)
10.11	32,264,843	24,011,389	33,205,251	1%
10.12	1,766,308	1,997,110	3,945,238	49%
10.13	426,844,623	504,959,464	575,892,944	16%
სულ	**460,875,774**	**530,967,963**	**613,043,433**	15%

კვლევის მესამე მიმართულება აღნიშნულ სექტორში განხორციელებული იმპორტის ტენდენციების შეფასებას მოიცავს. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია, დავადგინოთ ეკონომიკური საქმიანობის ამ ჯგუფის ქვეშ ძირითადად რომელი პროდუქტის სახეობები და რომელი ქვეყნებიდან შემოდის.

2023 წლის იმპორტი მაჩვენებლების მიხედვით პირველ ადგილზე შინაური ფრინველის ხორცის პროდუქტებია, რომელიც წარმოდგენილ სექტორში განხორციელებული მთლიანი იმპორტის 41% შეადგენს. შემდეგი პროდუქტის ჯგუფები კი ღორის ახალი ხორცი და მსხვილფეხა პირუტყვის ხორცია, შესაბამისად 27%-იანი და 9%-იანი წილით. 2023 წელს სექტორში იმპორტის ჯამურმა მაჩვენებელმა 232 მილიონ აშშ დოლარამდე შეადგინა.

დიაგრამა 5. იმპორტი პროდუქტის სახეობების მიხედვით, 2023 წელი



სექტორში არსებული მდგომარეობის ანალიზისა და დემპინგური იმპორტის საფრთხის შეფასების ნაწილში, ასევე მნიშვნელოვანია იმპორტის ტენდენციის განხილვა. ამ მიმართულების შევაფასებთ, როგორც მთლიანი იმპორტის, ასევე იდენტიფიცირებული პროდუქტის ჯგუფში 2021-2023 წლებში იმპორტის მაჩვენებლებს და დავადგენთ თუ რომელი ქვეყნებიდან არის იმპორტი ყველაზე მზარდი.

2021-2023 წლების მონაცემების მიხედვით იკვეთება, რომ როგორც ხორცის გადამუშავებისა და წარმოების სექტორში, ასევე ფრინველის ხორცის ქვე-კატეგორიაში იმპორტის მაჩვენებლები მზარდია. ამ პერიოდში ჯამური იმპორტის ყოველწლიური საშუალო ზრდის მაჩვენებელმა 28%, ხოლო ფრინველის ხორცის პროდუქტების 21% შეადგინა. რაც შეეხება ქვეყნების განაწილებას ამ მიმართულებით ყველაზე სწრაფი 90%-იანი წლიური ზრდა ჩინეთის ბაზრიდან, 50%-იანი ზრდა ნიდერლანდებისა და 48%-იანი ზრდა ბრაზილიის ბაზრიდან ფიქსირდება.

იმის გათვალისწინებით, რომ სექტორში გამოვლენილი ანტიდემპინგური ზომები ძირითადად ქათმის პროდუქტზე არის მიმართული, იმპორტის დინამიკის შეფასების ნაწილში კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, საინტერესოა შესაბამის ქვე-კატეგორიაში არსებული იმპორტის მაჩვენებლების შეფასება. ფრინველის ხორცის პროდუქტების მიმართულებით, იმპორტის მკვეთრი ზრდა ჩინეთიდან ფიქსირდება. ამ პერიოდში საშუალო წლიური ზრდის მაჩვენებელმა 95% შეადგინა, რის საფუძველზეც ქვეყნის წილი იმპორტის ბაზარზე 8%-დან 20%-მდე გაიზარდა.

ცხრილი 11. იმპორტის ზრდი/კლების ტენდენცია ექსპორტიორი ქვეყნის მიხედვით, 2021-2023 წლები (აშშ დოლარი)

ქვეყანა	2021	2022	2023	ზრდა
ხორცის გადამუშავება, დაკონსერვება და ხორცის პროდუქტების წარმოება				
ბრაზილია	37,487,463	58,633,359	82,524,661	48%
თურქეთი	19,040,586	22,528,072	21,617,033	7%
ჩინეთი	4,848,121	13,301,754	18,505,982	95%
უკრაინა	16,534,718	14,614,468	17,391,001	3%
ნიდერლანდები	6,023,512	11,008,253	13,611,198	50%
დანარჩენი	57,715,217	71,259,491	77,980,793	16%
სულ	141,649,617	191,345,397	231,630,669	28%
ფრინველის ხორცის პროდუქტები				
ბრაზილია	14,341,053	19,106,886	18,889,789	15%
ჩინეთი	4,830,675	13,296,225	18,446,792	95%
თურქეთი	17,822,230	19,910,786	17,786,092	0%
ნიდერლანდები	5,017,218	7,888,202	8,663,774	31%
უკრაინა	5,969,342	7,043,600	7,773,737	14%
დანარჩენი	15,898,318	26,383,303	22,017,192	18%
სულ	63,878,835	93,629,001	93,577,375	21%

რაც შეეხება ქვეყნების მიხედვით იმპორტის გადანაწილებას, 2023 წლის მაჩვენებლებით ხორცის გადამუშავება, დაკონსერვება და ხორცის პროდუქტების წარმოების სექტორში ექსპორტიორი ქვეყნებში წამყვან პოზიციაზეა ბრაზილია, რომელიც მთლიანი იმპორტის 36%-ს მოიცავს, შემდეგ მოდის თურქეთი, ჩინეთი, უკრაინა და ნიდერლანდები, რომელთა წილები 6-9%-ის ფარგლებში მერყეობს. რაც შეეხება კონკრეტულად ფრინველის ხორცის პროდუქციის იმპორტს, ამ მიმართულებით წამყვან პოზიციებს ბრაზილია, ჩინეთი და თურქეთი იკავებენ, რომელთა წილები 19-20%-ის ფარგლებში მერყეობს. ხოლო შემდეგ ადგილზე ნიდერლანდებისა და უკრაინის წილები მკვეთრად დაბალია და 8-9%-ს შეადგენს. რაც შეეხება დანარჩენ ქვეყნებს, მთლიანი იმპორტის მინიმალურ 3%-იან ზღვარს, ფრინველის ხორცის მიმართულებით აშშ-ს,

გერმანიისა და საფრანგეთის წილები აკმაყოფილებს, ხოლო მთლიან იმპორტში ლიეტუვა, გერმანია და რუსეთის ფედერაცია.

ხორცის გადამუშავება, დაკონსერვება და ხორცის პროდუქტების წარმოების სექტორში ძირითადი ექსპორტიორი ქვეყნების გამოვლენის საფუძველზე, შეგვიძლია შევაფასოთ რამდენად არის გავრცელებული სხვა ქვეყნების მიერ მათ წინააღმდეგ ამ სექტორში ანტიდემპინგური ღონისძიებების შემოღების შემთხვევები.

იმის გათვალისწინებით, რომ ხორცის გადამუშავებისა და ხორცის პროდუქტების წარმოების მიმართულებით საერთაშორისო დონეზე შემოღებული ზომები ძირითადად ქათმის პროდუქტს მოიცავს, საქართველოში ძირითადი ექსპორტიორი ქვეყნების წინააღმდეგ შემოღებული ანტიდემპინგური ზომების შეფასებისას ყურადღება ფრინველის პროდუქტის ექსპორტიორებზე გავამახვილეთ. ყველაზე დიდ ექსპორტიორებს შორის ანტიდემპინგური ღონისძიებები შემოღებულია ბრაზილიაზე, ნიდერლანდებსა და გერმანიაზე. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული ქვეყნებიდან იმპორტის ზრდის მაჩვენებლის მიუხედავად, ყველაზე სწრაფი ზრდა ჩინეთის შემთხვევაში ფიქსირდება, რომლის წინააღმდეგაც ამ სექტორში ანტიდემპინგური ღონისძიებები არ არის გამოყენებული.

დიაგრამა 6. 2023 წლის მონაცემებით ძირითადი ექსპორტიორი ქვეყნების წინააღმდეგ შემოღებული ანტიდემპინგური ღონისძიებები



ხორცის გადამუშავება, დაკონსერვება და ხორცის პროდუქტების წარმოების სექტორში არსებული მდგომარეობის მიმოხილვის საფუძველზე, იკვეთება, რომ მსოფლიოში ამ მიმართულებით შემოღებული ანტიდემპინგური ღონისძიებები ძირითადად ქათმის ხორცის პროდუქციის იმპორტს ეხება. საქართველოში არსებული მწარმოებლების ბრუნვის 94% ხორცის პროდუქტების წარმოებაზე მოდის, რაც მოიცავს ძეხვის, სოსისისა და სხვა მსგავსი პროდუქტის წარმოებას. სექტორის შეფასებისას, კვლევის შემდეგი ეტაპებისთვის, ასევე გამოიკვეთა სხვა ეკონომიკური საქმიანობების ქვეშ რეგისტრირებული საწარმოების საქმიანობის შეფასების საჭიროება. რაც შეეხება იმპორტის მაჩვენებლებს, ექსპორტიორი ქვეყნების ბაზარი მეტნაკლებად დივერსიფიცირებულია, ორ ყველაზე დიდ ექსპორტიორ ქვეყანას შორის, ბრაზილიის წინააღმდეგ მსოფლიოში შემოღებულია 6 ანტიდემპინგური ღონისძიება, ხოლო ჩინეთის შემთხვევაში მსგავსი შემთხვევები არ ფიქსირდება.

4.2. ხილის და ბოსტნეულის გადამუშავება და დაკონსერვება

საკვების გადამუშავების კიდევ ერთ მიმართულებას, რომელიც კვლევის პირველ ეტაპზე დავაიდენტიფიცირეთ ხილის და ბოსტნეულის გადამუშავებისა და დაკონსერვების სექტორი (NACE კოდი 10.3) წარმოადგენს. სექტორი რამდენიმე ქვეკლასის პროდუქტისაგან შედგება, მათ შორის არის კარტოფილის გადამუშავება და დაკონსერვება (10.31); ხილის და ბოსტნეულის წვენების წარმოება (10.32); ხილის და ბოსტნეულის გადამუშავებისა და კონსერვირების სხვა სახეები (10.39). კვლევის პირველ ეტაპზე, აღნიშნული პროდუქტების შეფასება ერთიანად განხორციელდა შესაბამისი NACE კლასიფიკაციის ჯგუფის დონეზე. თუმცა კვლევის ამ ეტაპზე, სექტორების შეფასების პროცესში, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, უფრო დეტალურად განვიხილოთ პროდუქტის რომელი ჯგუფებისათვის შეიძლება იყოს აქტუალური დემპინგური იმპორტისა და ზიანის საფრთხის შეფასება.

სექტორული შეფასების ნაწილში მნიშვნელოვანია შერჩეული მიმართულებით შემოღებული ანტიდემპინგური ღონისძიებების განხილვა ინიციატორი ქვეყნების, სამიზნე ქვეყნებისა და პროდუქტის ჯგუფების მიხედვით. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემთა ბაზის მიხედვით, 2020 წელს აქტიურ და მის შემდგომ შემოღებულ 57 ანტიდემპინგურ ღონისძიებას შორის 23 ზომა შემოღებული იყო მაღალი შემოსავლის მქონე ჯგუფის ქვეყნების მიერ, 24 ზომა - საშუალოზე მაღალი შემოსავლის მქონე ჯგუფის ქვეყნების მიერ, ხოლო 10 ზომა - საშუალოზე დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნების მიერ. ამასთანავე, ხაზგასასმელია, რომ ყველაზე მეტი ზომის ინიციატორია აშშ (13) და აფრიკის რეგიონების ქვეყნები (ჯამში 25).

დიაგრამა 7. ანტიდემპინგური ღონისძიებების რაოდენობა ინიციატორი ქვეყნისა და მსოფლიო ბანკის შემოსავლებით მიხედვით ქვეყნების კლასიფიკაციის გათვალისწინებით



ანტიდემპინგური ღონისძიებების ანალიზისას, ძირითადი ინიციატორი ქვეყნების შეფასების გარდა, ასევე მნიშვნელოვანია ღონისძიებების ძირითადი სამიზნე ქვეყნებისა და პროდუქტის სახეობების შეფასება. წარმოდგენილ სექტორში გამოყენებული ანტიდემპინგური ღონისძიებები ძირითადად მიმართულია კარტოფილისა და სოკოს ნაწარმზე, ასევე ხილის კონსერვებზე და წვენებზე. ცხრილი 12-ში წარმოდგენილი სამიზნე პროდუქტის სახეები NACE კოდირებით ნაწილდება 3 პოზიციაზე: 10.31.0 - კარტოფილის გადამუშავება და დაკონსერვება, 10.32.0 - ხილის და ბოსტნეულის წვენების წარმოება, 10.39.0 - ხილის და ბოსტნეულის გადამუშავებისა და კონსერვირების სხვა სახეები. ანტიდემპინგური ღონისძიებების სამიზნე პროდუქტის ჯგუფებს შორის წამყვან პოზიციაზე კარტოფილის ნაწარმია 33 გამოყენებული ღონისძიებით, შემდეგ

მოდის ხილისა და ბოსტნეულის კონსერვები - 19 ანტიდემპინგური ღონისძიებით და ბოლოს წვენების ქვეკლასი, რომელშიც ჯამში 5 ანტიდემპინგური ღონისძიებაა გამოყენებული.

ძირითად სამიზნე ქვეყნებში ევროკავშირის ქვეყნების წინააღმდეგ შემოღებულია 39 ანტიდემპინგური ღონისძიება, ხოლო დანარჩენი ზომები - აზიისა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნების, სამხრეთ აფრიკისა და აშშ-ს წინააღმდეგ არის მიმართული. ამ განაწილების შესაბამისად ანტიდემპინგური ღონისძიებების რაოდენობა წარმოდგენილია მე-12 ცხრილში.

ცხრილი 12. შემოღებული ანტიდემპინგური ღონისძიებების რაოდენობა პროდუქტის სახეობისა და სამიზნე ქვეყნების მიხედვით

NACE-ის კლასი	სამიზნე ქვეყანა	ანტიდემპინგური ღონისძიებების რაოდენობა
10.31 კარტოფილის გადამუშავება და დაკონსერვება	ბელგია	12
	ნიდერლანდები	12
	გერმანია	7
	საფრანგეთი	1
	აშშ	1
10.32 ხილის და ბოსტნეულის წვენების წარმოება	არგენტინა	2
	ბრაზილია	1
	სამხრეთ აფრიკა	1
	აშშ	1
10.39 ხილის და ბოსტნეულის გადამუშავების და კონსერვირების სხვა სახეები	ჩინეთი	3
	ესპანეთი	3
	ტაილანდი	3
	ფილიპინები	2
	ჩილე	1
	საფრანგეთი	1
	საბერძნეთი	1
	ინდოეთი	1
	ინდონეზია	1
	ნიდერლანდები	1
	პოლონეთი	1
	სამხრეთ აფრიკა	1

რაც შეეხება საქართველოში ამ ინდუსტრიაში არსებული ტენდენციებს, სექტორში ოპერირებს 355 ეკონომიკური სუბიექტი, მათ შორის 1 საწარმო არის მსხვილი ზომის, 16 - საშუალო, 316 - მცირე, ხოლო 22 - უცნობის ზომის. საქმიანობის მიხედვით განაწილების მხრივ, 5 კომპანია კარტოფილის გადამუშავებისა და დაკონსერვების მიმართულებით მოქმედებს, 45 - ხილისა და ბოსტნეულის წვენების წარმოების მიმართულებით, ხოლო 305 - ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავებისა და კონსერვირების სხვა სახეების მიმართულებით. რაც შეეხება გავრცელებული ანტიდემპინგური ღონისძიებების კუთხით ყველაზე აქტუალური პროდუქტის - კარტოფილის, მთელი ან დაკონსერვებული, ან მომზადებული, ან გაყინული - მწარმოებლებს, ამ მიმართულებით ჯამში 5 მცირე და საშუალო ზომის სუბიექტი არის რეგისტრირებული, მათ შორის 3 საწარმო და 2 ინდივიდუალური მეწარმე.

ცხრილი 13. კომპანიების რაოდენობა საქმიანობისა და ზომის მიხედვით, 2023 წელი

NACE-ის კლასი	საქმიანობის სახე	მსხვილი	საშუალო	მცირე	ზომა უცნობია	სულ
10.31	კარტოფილის გადამუშავება და დაკონსერვება;		1	4		5
10.32	ხილის და ბოსტნეულის წვენების წარმოება;	1	2	39	3	45
10.39	ხილის და ბოსტნეულის გადამუშავების და კონსერვირების სხვა სახეები		13	273	19	305

2021-2023 წლებში, ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავებისა და დაკონსერვების მიმართულებით რეგისტრირებული სუბიექტების ბრუნვის შეფასებისას იკვეთება, რომ ყველაზე დიდი წილი ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავებისა და კონსერვირების სხვა სახეების (გარდა წვენებისა) წარმოებაზე მოდის, რაც მოიცავს კვების პროდუქტების წარმოებას, უპირატესად ხილისა და ბოსტნეულის შემცველობით, გაყინული ან კონსერვირებული მზა კერძების გარდა; ხილის, კაკლისა და ბოსტნეულის დაკონსერვებას: გაყინვას, გახმობას, ზეთში ან ძმარში ჩადებას, ჰერმეტულ ტარაში დაკონსერვებას და ა. შ.; კვების პროდუქტების წარმოებას ხილისა და ბოსტნეულისგან; ჯემების, მარმელადებისა და საკვები ჟელეების წარმოებას; კაკლის მოხალვას; პასტების და კვების სხვა პროდუქტების წარმოებას კაკლისაგან; ასევე მალფუჭებადი მზა კერძების წარმოებას ხილისა და ბოსტნეულისაგან. 2023 წელს მთლიანი ბრუნვის 83%-მდე სწორად აღნიშნულ მიმართულებაზე მოდიოდა. ხილის და ბოსტნეული წვენების წარმოების კლასის წილი სექტორში რეგისტრირებული საწარმოების ბრუნვის 15.7%-ს, ხოლო კარტოფილის გადამუშავება 1.6%-ს შეადგენს. ამასთანავე გასათვალისწინებელია, რომ 2021-2023 წლებში, როგორც კარტოფილის გადამუშავების, ასევე წვენების წარმოების სექტორში კომპანიების ბრუნვის დადებითი საშუალო წლიური 7%-იანი ზრდის დინამიკა დაფიქსირდა. რაც შეეხება ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავების სხვა სახეებს, ამ მიმართულებით საშუალო წლიური 10%-იანი ბრუნვის კლება არის გამოვლენილი.

ზემოთ ხსენებული ტენდენციის გათვალისწინებით, ასევე გავაანალიზეთ კომპანიების დონეზე ბრუნვის კლების ტენდენციები, რის საფუძველზეც გამოიკვეთა რომ ინდუსტრიაში დაფიქსირებული კლების ტენდენცია ძირითადად კაკლისა და თხილის გადამუშავების საქმიანობის მქონე ეკონომიკური სუბიექტების ბრუნვის კლებასთან არის დაკავშირებული.

ცხრილი 14. ბრუნვა საქმიანობის სახეების მიხედვით, 2021-2023 წლები (ლარი)

NACE-ის კლასი	2021	2022	2023	ზრდა (CAGR)
10.31	6,122,625	8,737,499	7,027,464	7%
10.32	60,150,004	61,459,206	69,129,262	7%
10.39	449,816,273	387,784,479	363,373,097	-10%
სულ	**516,088,902**	**457,981,184**	**439,529,822**	-8%

კვლევის მესამე მიმართულება სექტორში განხორციელებული იმპორტის ტენდენციების შეფასებას მოიცავს. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია, დავადგინოთ ეკონომიკური საქმიანობის ამ ჯგუფის ქვეშ ძირითადად რომელი პროდუქტის სახეობები და რომელი ქვეყნებიდან შემოდის.

2023 წლის იმპორტის მაჩვენებლების მიხედვით, წარმოდგენილ სექტორში იმპორტირებული პროდუქტის 71% ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავებულ პროდუქტზე მოდის, შემდეგი პროდუქტის ჯგუფი კი ხილისა და ბოსტნეული წვენების ნაწარმია 22%-იანი

წილით. 2023 წელს ამ სექტორში იმპორტირებული პროდუქტის ჯამურმა მაჩვენებელმა 122 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

დიაგრამა 8. იმპორტი პროდუქტის სახეობების მიხედვით, 2023 წელი

იმის გათვალისწინებით, რომ როგორც შემოღებული ანტიდემპინგური ღონისძიებების შეფასების, ასევე ბრუნვის ტენდენციების ანალიზის საფუძველზე კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, სხვადასხვა კლასების აქტუალობა გამოვლინდა მნიშვნელოვანია იმპორტის შეფასების ნაწილში როგორც ქვეყნების, ასევე პროდუქტები ჯგუფების დონეზე იმპორტის დინამიკის მიმოხილვა. ცხრილი 15-ში წარმოდგენილია კარტოფილის გადამუშავებისა და ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავების სხვა სახეების კლასებში იმპორტირებული პროდუქტის განაწილება ქვეყნების მიხედვით. ჩამონათვალში წარმოდგენილია მხოლოდ ის ქვეყნები, რომლებიც მინიმალურ 3%-იანი მოცულობის კრიტერიუმს აკმაყოფილებენ.

2021-2023 წლების მონაცემების მიხედვით, იკვეთება, რომ კარტოფილის გადამუშავების სექტორში იმპორტის საშუალო წლიური ზრდის მაჩვენებელმა 58% შეადგინა. ყველაზე მკვეთრი ზრდა ამ მიმართულებით ნიდერლანდებიდან და ბელგიიდან ფიქსირება. ასევე მნიშვნელოვანია პოლონეთიდან იმპორტირებული პროდუქტის ზრდა, რომლის ღირებულებაც 2.9 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა.

მე-15 ცხრილის მიხედვით ასევე იკვეთება, რომ მზარდია ხილის და ბოსტნეულის გადამუშავებისა და დაკონსერვების სექტორში იმპორტის მაჩვენებლები. ამ პერიოდში ჯამური იმპორტის ყოველწლიური საშუალო ზრდის მაჩვენებელმა 33% შეადგინა. ორი უმსხვილესი ექსპორტიორი ქვეყანა კი ეკვადორი და თურქეთი არიან, რომელთა იმპორტი 2021-2023 წლების პერიოდში შესაბამისად, 10 მლნ აშშ დოლარით და 7.8 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა.

ცხრილი 15. იმპორტის ზრდი/კლების ტენდენცია ექსპორტიორი ქვეყნის მიხედვით, 2021-2023 წლები (აშშ დოლარი)

ქვეყანა	2021	2022	2023	ზრდა
10.31 კარტოფილის გადამუშავება და დაკონსერვება				
პოლონეთი	2,566,208	3,999,925	5,483,253	46%
ნიდერლანდები	577,992	2,067,299	4,273,935	172%
რუსეთი	2,262,714	4,367,455	3,949,254	32%
უკრაინა	2,385,537	2,645,569	3,808,898	26%
ბელგია	1,165,859	2,271,891	3,551,490	75%
თურქეთი	1,381,994	2,655,509	3,458,260	58%
ისრაელი		3,806	874,391	
დანარჩენი	348,950	736,110	1,294,753	93%
მსოფლიო	10,689,255	18,747,564	26,694,235	58%

10.39 ხილის და ბოსტნეულის გადამუშავების და კონსერვირების სხვა სახეები				
თურქეთი	13,459,252	21,257,310	23,617,980	32%
ეკვადორი	8,795,187	13,696,620	16,671,755	38%
რუსეთი	5,198,550	5,349,358	8,191,948	26%
ჩინეთი	3,556,118	6,069,594	6,370,558	34%
სომხეთი	1,365,211	3,024,726	4,962,755	91%
ესპანეთი	1,457,351	2,977,259	3,439,202	54%
ირანი	1,263,627	1,709,419	3,268,765	61%
ნიდერლანდები	1,785,559	2,314,290	2,978,282	29%
დანარჩენი	11,236,345	15,653,768	16,508,660	21%
მსოფლიო	48,682,554	72,952,353	86,702,974	33%

დამატებით, ხაზგასასმელია, რომ საკვების გადამუშავების სექტორში იმპორტი ქვეყნების მიხედვით საკმაოდ დივერსიფიცირებულია, რაც ბაზარზე კონკურენტული გარემოსა და დემპინგური იმპორტის მიმართ მდგრადობის მანიშნებელია. ხილის და ბოსტნეულის გადამუშავებისა და დაკონსერვების სექტორში ძირითადი ექსპორტიორი ქვეყნების გამოვლენის საფუძველზე, შეგვიძლია შევაფასოთ, რამდენად არის გავრცელებული სხვა ქვეყნების მიერ მათ წინააღმდეგ ამ სექტორში ანტიდემპინგური ღონისძიებების შემოღების შემთხვევები. როგორც ზემოთ ვნახეთ, ამ მიმართულებით საერთაშორისო დონეზე შემოღებული ზომები ძირითადად კარტოფილის პროდუქტს მოიცავს, თუმცა ამ სექტორში ადგილობრივი ბრუნვის წილი სექტორის საერთო იმპორტთან შედარებით ძალიან მცირეა. ანტიდემპინგური ღონისძიებები, ასევე გავრცელებულია ხილისა და ბოსტნეულის დამუშავების სხვა სახეების სექტორში. ამ მიმართულებით შემოღებული ანტიდემპინგური ღონისძიებები ძირითადად მოიცავს სოკოსა და სხვადასხვა ხილის კონსერვირებულ პროდუქტებს.

მე-9 დიაგრამაში წარმოდგენილია 2023 წელს საქართველოში ზემოთ ხსენებულ ორ ქვესექტორში ძირითადი ექსპორტიორი ქვეყნების წინააღმდეგ შემოღებული ანტიდემპინგური ღონისძიებები. კარტოფილის გადამუშავების სექტორის მიმართულებით საყურადღებოა, რომ ორი ყველაზე სწრაფად მზარდი ექსპორტიორი ქვეყნის წინააღმდეგ აქტიურად არის ანტიდემპინგური ღონისძიებები გამოყენებული. ნიდერლანდები და ბელგია, რომელთა ჯამური წილი იმპორტის ბაზარზე 29% შეადგენს, საერთაშორისო დონეზე 24 ანტიდემპინგური ღონისძიების სამიზნე ქვეყნები არიან.

რაც შეეხევა ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავების სხვა სახეების ქვესექტორს, ძირითადი ექსპორტიორი ქვეყნები ნაკლებად არიან აღნიშნული ღონისძიებების სამიზნეები. მხოლოდ შედარებით მცირე საბაზრო წილის მქონე ჩინეთისა და ესპანეთის წინააღმდეგ საერთაშორისო დონეზე გამოყენებულია 3-3 ანტიდემპინგური ღონისძიება.

დიაგრამა 9. 2023 წლის მონაცემებით ძირითადი ექსპორტიორი ქვეყნების წინააღმდეგ შემოღებული ანტიდემპინგური ღონისძიებები



ხილის და ბოსტნეულის გადამუშავებისა და დაკონსერვების სექტორში არსებული მდგომარეობის მიმოხილვის საფუძველზე, იკვეთება, რომ მსოფლიოში ამ მიმართულებით შემოღებული ანტიდემპინგური ღონისძიებები ძირითადად კარტოფილს და კარტოფილისგან ნაწარმი პროდუქციის იმპორტს ეხება. ამ მიმართულებით ადგილობრივი ინდუსტრიისა და იმპორტის მაჩვენებლების შეფასების საფუძველზე რამდენიმე საინტერესო ტენდენცია გამოიკვეთა. პირველ რიგში ხაზგასასმელია, რომ სექტორში რეგისტრირებული ეკონომიკური სუბიექტების ბრუნვის მაჩვენებლების შეფასების საფუძველზე დადებითი ტენდენცია გამოიკვეთა და 2021-2023 წლებში საშუალო წლიური ბრუნვის ზრდის მაჩვენებელმა 7% შეადგინა. ხაზგასასმელია, რომ იმპორტის ჯამური ღირებულება მნიშვნელოვნად აღემატება ადგილობრივი წარმოების ბრუნვის მაჩვენებლებს, რაც ქვესექტორის იმპორტზე დამოკიდებულებაზე მიუთითებს. ექსპორტიორი ქვეყნების შემადგენლობის კუთხით კი მაჩვენებლები შედარებით დივერსიფიცირებულ ბაზარზე მიუთითებს. მიუხედავად იმისა, რომ სექტორის განვითარების ინდიკატორები ნაკლებად სავარაუდოს ხდის დემპინგური იმპორტისა და ზიანის საფრთხეს მნიშვნელოვანია, იმის ხაზგასმა, რომ ბოლო წლებში ყველაზე სწრაფად მზარდი იმპორტის მაჩვენებლების მქონე ქვეყნები, ნიდერლანდები და ბელგია, საერთაშორისო დონეზე ანტიდემპინგური ღონისძიებების ყველაზე გავრცელებულ სამიზნე ქვეყნებს წარმოადგენენ.

მეორე შერჩეული ქვესექტორის განვითარების დინამიკის შეფასების შედეგად გამოიკვეთა, რომ ხილის და ბოსტნეულის გადამუშავებისა და კონსერვირების სხვა სახეების მიმართულებით რეგისტრირებული საწარმოების ბრუნვა 2021-2023 წლების პერიოდში საშუალო წლიურად 10%-იან კლებას განიცდიდა. თუმცა იმპორტირებული საქონლის ბაზრის დივერსიფიცირებისა და ძირითადი სავაჭრო პარტნიორების წინააღმდეგ ამ მიმართულებით ანტიდემპინგური ღონისძიებების არარსებობა, ნაკლებად აქტუალურს ხდის ამ მიმართულებას შემდგომი კვლევისათვის.

4.3. პროდუქციის წარმოება ხის, კორპის, ჩალის და წნული მასალებისგან

კიდევ ერთი მიმართულება, რომელიც შეფასების პირველ ეტაპზე გამოვლინდა ხის, კორპის, ჩალის და წნული მასალების წარმოების (NACE კოდი 16.2) სექტორია, რომელიც რამდენიმე ქვეკლასის პროდუქტს შეიცავს, მათ შორის: შპონის ფურცლების და ხის პანელების წარმოება (16.21), ასაწყობი იატაკის საფარების წარმოება (16.22), მშენებლობაში გამოსაყენებელი სხვა სახუროო და სადურგლო ნაკეთობების წარმოება (16.23), ხის ტარის წარმოება (16.24), და ხის სხვა პროდუქტების წარმოება; ნაკეთობების წარმოება კორპის, ჩალის და წნული მასალებისაგან.

ხის, კორპის, ჩალის და წნული მასალებისგან პროდუქციის წარმოების მიმართულებით საერთაშორისო დონეზე შემოღებული ანტიდემპინგური ღონისძიებების ძირითადი ინიციატორი ქვეყნები საშუალოზე დაბალი შემოსავლის მქონე ჯგუფს განეკუთვნებიან. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემთა ბაზის მიხედვით, შემოღებულ 28 ანტიდემპინგურ ღონისძიებას შორის 17 ზომა - საშუალოზე დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნების მიერ, 8 ზომა შემოღებულია მაღალი შემოსავლის მქონე ჯგუფის ქვეყნების მიერ, ხოლო 3 ზომა - საშუალოზე მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნების მიერ. ამასთანავე, ხაზგასასმელია, რომ ყველაზე მეტი ზომის ინიციატორია ინდოეთი (11). შემოსავლების მიხედვით ანტიდემპინგური ღონისძიებების ინიციატორი ქვეყნების შეფასების მიხედვით, გამოიკვეთა, რომ საქართველოს მსგავსი შემოსავლების მქონე ქვეყნებისათვის ნაკლებად არის დამახასიათებელი ამ მიმართულებით ანტიდემპინგური ღონისძიებების გამოყენება.

დიაგრამა 10. ანტიდემპინგური ღონისძიებების რაოდენობა ინიციატორი ქვეყნისა და მსოფლიო ბანკის შემოსავლებით მიხედვით ქვეყნების კლასიფიკაციის გათვალისწინებით



რაც შეეხება სამიზნე ქვეყნებს, როგორც ქვემოთ მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, ყველაზე ხშირად აღნიშნული მიმართულებით ანტიდემპინგური ღონისძიებები ჩინეთის წინააღმდეგ არის გამოყენებული. 2020 წელს აქტიური და ამ პერიოდის შემდგომ შემოღებული 28

ღონისძიებიდან 10 ჩინეთის წინააღმდეგ იყო მიმართული. დანარჩენი ზომები შედარებით თანაბრად ნაწილდება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებზე, ასევე ევროპის რეგიონზე. ამ მიმართულებით საყურადღებოა, რომ ჩვენი რეგიონის ქვეყნებს შორის ანტიდემპინგური ღონისძიებები გამოყენებულია რუსეთისა და ბელარუსის წინააღმდეგ.

რაც შეეხება ანტიდემპინგური ღონისძიებების სტრუქტურას პროდუქტის სახეობების მიხედვით, საქმეები აღძრულია 13 დასახელების პროდუქტისთვის, თუმცა ისინი ყველა ნაწილდება NACE 16.2 ჯგუფის 2 ქვეკლასში: 16.21.0 - შპონის ფურცლების და ხის პანელების წარმოება და 16.22.0 - ასაწყობი იატაკის საფარების წარმოება; დანარჩენი 3 ქვეკლასის პროდუქციაზე ანტიდემპინგური ღონისძიებები არ არის აღძრული. როგორც მე-16 ცხრილში წარმოდგენილი ინფორმაციიდან ვხედავთ, ანტიდემპინგური ზომების უმეტესობა (27) ეხება შპონის ფურცლების და ხის პანელების წარმოებას. შესაბამისად, ადგილობრივი წარმოებისა და იმპორტის შეფასების ნაწილშიც მნიშვნელოვანია შპონის ფურცლების და ხის პანელების წარმოების პროდუქციაზე კონცენტრირება.

ცხრილი 16. ანტიდემპინგური ღონისძიებების რაოდენობა პროდუქტის სახეობისა და სამიზნე ქვეყნების მიხედვით

NACE ჯგუფი	სამიზნე ქვეყანა	ანტიდემპინგური ღონისძიებების რაოდენობა
16.21 შპონის ფურცლების და ხის პანელების წარმოება	ჩინეთი	9
	მალაიზია	3
	რუსეთის ფედერაცია	3
	ბელარუსი	2
	ინდონეზია	2
	ვიეტნამი	2
	ევროკავშირი	1
	გერმანია	1
	გაერთიანებული სამეფო	1
	ტაილანდი	1
	ეგვიპტე	1
	შრი-ლანკა	1
16.22 ასაწყობი იატაკის საფარების წარმოება	ჩინეთი	1

საქართველოში ხის, კორპის, ჩალის და წნული მასალებისგან პროდუქციის დამზადებაში ჩართულია 507 ეკონომიკური სუბიექტი, მათ შორის 1 საწარმო არის მსხვილი ზომის, 1 - საშუალო, 471 - სუბიექტი მცირე, ხოლო 34 - უცნობის ზომის. საქმიანობის მიხედვით განაწილების მხრივ, 26 კომპანია შპონის ფურცლების და ხის პანელების წარმოების სფეროში მოქმედებს, 12 - ასაწყობი იატაკის საფარების წარმოების, 184 - მშენებლობაში გამოსაყენებელი სხვა სახუროო და სადურგლო ნაკეთობების წარმოების, 48 - ხის ტარის წარმოების, და 237 - ხის სხვა პროდუქტების, კორპის, ჩალის და წნული მასალებისაგან ნაკეთობების წარმოების მიმართულებით.

მიუხედავად იმისა, რომ კომპანიების უმეტესობა მშენებლობაში გამოსაყენებელი ნაწარმისა და ხის სხვა პროდუქტების წარმოების ქვეკლასებშია რეგისტრირებული, ამ სექტორში არსებული ორივე, მსხვილი და საშუალო საწარმო შპონის ფურცლებისა და პანელების წარმოების ქვესექტორში საქმიანობენ.

ცხრილი 17. კომპანიების რაოდენობა საქმიანობისა და ზომის მიხედვით, 2023 წელი

NACE-ის კლასი	საქმიანობის სახე	მსხვილი	საშუალო	მცირე	ზომა უცნობია	სულ
16.21	შპონის ფურცლების და ხის პანელების წარმოება	1	1	24		26
16.22	ასაწყობი იატაკის საფარების წარმოება			12		12
16.23	მშენებლობაში გამოსაყენებელი სხვა სახუროო და სადურგლო ნაკეთობების წარმოება			169	15	184
16.24	ხის ტარის წარმოება			46	2	48
16.29	ხის სხვა პროდუქტების წარმოება; ნაკეთობების წარმოება კორპის, ჩალის და წნული მასალებისაგან			220	17	237

2021-2023 წლებში, ხის, კორპის, ჩალის და წნული მასალებისგან პროდუქციის წარმოების მიმართულებით რეგისტრირებული სუბიექტების ბრუნვის შეფასებისას იკვეთება, რომ ყველაზე დიდი წილი შპონის ფურცლების და ხის პანელების წარმოებაზე მოდის, რაც მოიცავს: საკმარისად თხელი შპონის ფურცლების წარმოებას, ფურცლოვანი და შეწებებული ფანერის დასამზადებლად ან სხვა მიზნებისათვის; შეწებებული ფანერის, შპონის პანელების და მსგავსი ლამინირებული ხის ფიცრებისა და ფურცლების წარმოებას; ორიენტირებული ბურბუშელის ფილების (OSB) და სხვა მერქან-ბურბუშელოვანი ფილების წარმოებას; საშუალო სიმკვრივის ბოჭკოვანი ფიცრების (MDF) და სხვა ბოჭკოვანი ფიცრების წარმოებას; გამკვრივებული მერქნის წარმოებას; ნებოვანი ლამინირებული მერქნის და შპონის წარმოებას. 2023 წელს მთლიანი ბრუნვის 66%-ზე მეტი სწორად აღნიშნულ მიმართულებაზე მოდიოდა. რაც შეეხება ბრუნვის ტენდენციას 2021-2023 წლებში, ჯამური ბრუნვის საშუალო წლიური ზრდის მაჩვენებელმა 2% შეადგინა. რაც შეეხება შპონის ფურცლების და ხის პანელების წარმოების მიმართულებას, 2021-2023 წლებში საშუალო წლიურად 3%-იანი კლება დაფიქსირდა, რის საფუძველზეც ადგილობრივი წარმოების ბრუნვის მაჩვენებლები 5.4 მლნ ლარით არის შემცირებული. გამოვლენილი ტენდენცია სექტორში არსებული სირთულეების მიმანიშნებელია.

ცხრილი 18. ბრუნვა საქმიანობის სახეების მიხედვით, 2021-2023 წლები (ლარი)

საქმიანობის სახე	2021	2022	2023	ზრდა (CAGR)
16.21	98,340,148	81,999,800	92,943,873	-3%
16.23	26,411,913	27,648,130	29,334,038	5%
16.29	8,134,894	12,114,942	14,019,719	31%
16.24	1,316,459	1,261,881	3,370,110	60%
16.22	495,107	886,362	810,401	28%
სულ	**134,698,521**	**123,911,115**	**140,478,141**	2%

იმის გათვალისწინებით, რომ მსოფლიოში გამოყენებული ანტიდემპინგური ღონისძიებებისა და ადგილობრივი მწარმოებლების ბრუნვის დინამიკის შეფასების საფუძველზე, დემპინგური იმპორტის მიმართ შესაძლო აქტუალურ ქვესექტორად შპონის ფურცლების და ხის პანელების წარმოება დავაიდენტიფიცირეთ, იმპორტის ანალიზის პროცესშიც ყურადღებას სწორედ ამ მიმართულებაზე გავამახვილებთ. 2023 წელს ხის, კორპის, ჩალის და წნული მასალებისგან წარმოებული პროდუქტის სექტორში იმპორტირებული

პროდუქტის სახეობების მიხედვით პირველ ადგილზე შპონის ფურცლების და ხის პანელების წარმოების პროდუქტებია (16.21). 2023 წელს ამ ქვესექტორში იმპორტის ჯამურმა მაჩვენებელმა 128 მილიონ აშშ დოლარზე მეტი შეადგინა (ხის ნაწარმის მთლიანი იმპორტის 68%).

აღნიშნული პროდუქცია NACE 16.2 ჯგუფის 4 ქვეკლასზე გადანაწილებით მე-11 დიაგრამაში წარმოდგენილ სურათს იძლევა (HS კოდების NACE კოდებთან შესაბამისობის ცხრილის გათვალისწინებით, 2 ქვეკლასის პროდუქტი გაერთიანებულია 16.22 და 16.23).

დიაგრამა 11. იმპორტი პროდუქციის მიხედვით, 2023 წელი (აშშ დოლარი)



NACE 16.2 ჯგუფის კლასების მიხედვით იმპორტის განვითარების დინამიკის შეფასებისას იკვეთება, რომ საშუალო წლიური ზრდის პროცენტული მაჩვენებლით ყველაზე სწრაფად 16.22 და 16.23 ქვეკლასის პროდუქტის იმპორტი გაიზარდა (44%). დამატებით გასათვალისწინებელია, რომ 2021-2023 წლებში მნიშვნელოვნად არის გაზრდილი შპონის ფურცლებისა და ხის პანელების ნაწარმის იმპორტი. ამ პერიოდში იმპორტის ღირებულება დაახლოებით 28.8 მლნ აშშ დოლარით არის მომატებული.

ცხრილი 19. იმპორტის ზრდა პროდუქციის მიხედვით, 2021-2023 წლები (აშშ დოლარი)

NACE-ის კლასი	2021	2022	2023	ზრდა (CAGR)
16.21	99,629,533	128,461,478	128,497,945	13.6%
16.22-16.23	17,847,752	29,494,930	35,550,263	41.1%
16.29	15,631,431	20,591,959	22,153,748	19.0%
16.24	2,303,059	3,879,961	3,417,026	21.8%
16.2	**135,411,775**	**182,428,328**	**189,618,981**	18.3%

ცხრილი 20-ში წარმოდგენილია 2021-2023 წლებში ძირითადი ექსპორტიორი ქვეყნებიდან განხორციელებული იმპორტის განვითარების ტენდენცია, როგორც მთლიანად ხის, კორპის, ჩალის და წნული მასალებისაგან დამზადებული ნაწარმის, ასევე ცალკე შპონის, ფურცლების და ხის პანელების წარმოების მიმართულებით. ამ მიმართულებით ხაზგასასმელია, რომ ყველაზე მკვეთრი იმპორტის ზრდა რუსეთის შემთხვევაში ფიქსირდება.

2021-2023 წლების პერიოდში საშუალო წლიურად მთლიანად სექტორში რუსეთიდან იმპორტის მოცულობის ზრდამ 48% შეადგინა, უფრო მაღალი იყო ეს მაჩვენებელი შპონის ფურცლებისა და ხის პანელების წარმოების დარგში, სადაც ზრდის მაჩვენებელმა 55%-იან

ნიშნულს მიაღწია. რაც შეეხება დანარჩენი წამყვანი ქვეყნებიდან იმპორტის ზრდის მაჩვენებელს, მკვეთრად არის გაზრდილი იმპორტის ღირებულება თურქეთიდან. 2021-2023 წლებში მთლიანად იმპორტირებული საქონლის ღირებულება 13 მლნ აშშ დოლარით არის გაზრდილი. ჩინეთის შემთხვევაში, ზრდის ტემპი შედარებით ნელია.

ზოგადად ხაზგასასმელია, რომ შპონის ფურცლებისა და ხის პანელების ნაწარმის მიმართულებით იმპორტი ძირითადად თურქეთსა და რუსეთზე არის დამოკიდებული. გასათვალისწინებელია, რომ 2021-2023 წლებში რუსეთიდან იმპორტის ღირებულების ზრდის საფუძველზე, ქვეყნის წილი მთლიან იმპორტში 12%-დან 23%-მდე გაიზარდა.

ცხრილი 20. ხის, კორპის, ჩალის და წნული მასალების ნაწარმის იმპორტის ზრდა/კლების ტენდენცია ექსპორტიორი ქვეყნის მიხედვით, 2021-2023 წლები (აშშ დოლარი)

ქვეყანა	2021	2022	2023	ზრდა (CAGR)
ხის, კორპის, ჩალის და წნული მასალებისგან დამზადებული ნაწარმი				
თურქეთი	63,136,929	75,917,566	76,277,534	9.9%
რუსეთი	17,159,716	31,717,175	37,632,248	48.1%
ჩინეთი	16,047,898	21,770,658	19,730,199	10.9%
ბელარუსი	5,113,290	10,109,965	9,694,460	37.7%
პორტუგალია	5,640,041	7,219,059	8,618,487	23.6%
საფრანგეთი	4,672,440	4,784,794	5,928,583	12.6%
ავსტრია	2,323,778	3,955,871	5,724,208	56.9%
გერმანია	4,297,145	4,471,847	4,843,845	6.2%
დანარჩენი	17,020,538	22,481,393	21,169,416	11.5%
შპონის ფურცლების და ხის პანელების წარმოება				
თურქეთი	59,423,210	69,350,230	67,044,304	6.2%
რუსეთი	12,259,135	23,899,024	29,587,030	55.4%
ჩინეთი	11,696,225	13,959,555	11,900,819	0.9%
ბელარუსი	4,645,721	8,203,655	6,905,460	21.9%
დანარჩენი	11,605,240	13,049,014	13,060,331	6.1%

ხის, კორპის, ჩალისა და წნული მასალებისგან დამზადებული ნაწარმის სექტორში ძირითადი ექსპორტიორი ქვეყნების გამოვლენის საფუძველზე, შეგვიძლია შევაფასოთ, რამდენად არის გავრცელებული სხვა ქვეყნების მიერ მათ წინააღმდეგ მთლიანად ამ სექტორში და 16.21.0 ქვეკლასის პროდუქციის წინააღმდეგ ანტიდემპინგური ღონისძიებების შემოღების შემთხვევები. როგორც მე-12 დიაგრამის მიხედვით იკვეთება, ძირითადი ექსპორტიორი ქვეყნების წინააღმდეგ შემოღებულია 15 ანტიდემპინგური ღონისძიება, რაც χამში სექტორში გამოყენებული 28 ღონისძიების ფონზე საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია.

დამატებით, ხაზგასასმელია, რომ 2021-2023 წლებში იმპორტის განვითარების დინამიკის შეფასებისა და ბაზრის წილების გათვალისწინების საფუძველზე, ამ მიმართულებით საყურადღებოა რუსეთიდან იმპორტირებული პროდუქტი.

დიაგრამა 12. 2023 წლის მონაცემებით ძირითადი ექსპორტიორი ქვეყნების წინააღმდეგ შემოღებული ანტიდემპინგური ღონისძიებები





როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხის, კორპის, ჩალის და წნული მასალებისგან ნაწარმი პროდუქციის სექტორში ანტიდემპინგური ზომების უმეტესობა (96%) გამოყენებულია 16.21 კლასის - შპონის ფურცლების და ხის პანელების წარმოების პროდუქციაზე. რაც შეეხება საქართველოში ადგილობრივი წარმოებას, კომპანიების ბრუნვის ყველაზე დიდი წილი ასევე 16.21 კლასის პროდუქციის წარმოებაზე (66%) მოდის. გასათვალისწინებელია, რომ კვლევისათვის გათვალისწინებულ პერიოდში წარმოდგენილ კლასში რეგისტრირებული ეკონომიკური სუბიექტების ბრუნვის მაჩვენებლები შემცირებულია, ხოლო იმპორტის მაჩვენებლები მკვეთრად არის გაზრდილი. ამასთანავე, ქვეყნების მიხედვით იმპორტის ზრდის ტენდენციის ანალიზისას გამოიკვეთა რომ ძირითად ექსპორტიორებს შორის მნიშვნელოვანი ზრდა რუსეთის შემთხვევაში ვლინდება, რომელიც საერთაშორისო დონეზე 3 ანტიდემპინგური ღონისძიების სამიზნეა. ხის, კორპის, ჩალის და წნული მასალებისგან ნაწარმი პროდუქციის სექტორის ანალიზის საფუძველზე შესაძლო დემპინგური იმპორტისა და ზიანის საფრთხე შპონის ფურცლების და ხის პანელების წარმოების ქვესექტორში გამოიკვეთა. შესაბამისად, შემდგომი შეფასებისათვის სექტორის შერჩევის შემთხვევაში ყურადღება აღნიშნულ ქვესექტორში რუსეთიდან იმპორტირებულ პროდუქტზე უნდა გამახვილდეს.

4.4. სხვა არაორგანული ქიმიკატების წარმოება

შესაფასებელ სექტორებს შორის ერთ-ერთ საინტერესო მიმართულებას ქიმიკატებისა და ქიმიური პროდუქტების წარმოება წარმოადგენდა. ზოგადად ხაზგასასმელია, რომ სექტორი მსოფლიოში ანტიდემპინგური ღონისძიებების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სამიზნეა. კვლევის მიზნებისთვის, შეფასების ეტაპზე პროდუქტის მახასიათებლებიდან გამომდინარე, NACE კლასიფიკაციის ჯგუფის დონეზე სექტორის შეფასების ნაცვლად გამოვიყენეთ კლასის დონეზე ჩაშლილი მონაცემები. NACE კლასიფიკატორის მიხედვით, 20.1 ჯგუფი მოიცავს ძირითადი ქიმიკატების, სასუქების, აზოტის ნაერთების, პლასტმასებისა და სინთეზური კაუჩუკის წარმოების მიმართულებებს. აღნიშნულ ჯგუფში შემავალ მიმართულებებს შორის შესაძლო დემპინგური იმპორტის მიმართ მოწყვლად სექტორად არაორგანული ძირითადი ქიმიკატების წარმოების(20.13) კლასი გამოიკვეთა. ეს კლასი მოიცავს ქიმიური ელემენტების წარმოებას (სამრეწველო აირებისა და ძირითადი ლითონების გარდა), არაორგანული მჟავების და ნაერთების წარმოებას (აზოტმჟავისა და ამიაკის გარდა) და სხვა.

დემპინგური იმპორტისა და ზიანის მიმართ სექტორის მოწყვლადობის შეფასების პროცესში, საინტერესოა შემოსავლების დონეების მიხედვით ქვეყნების მიერ ანტიდემპინგური ზომების გამოყენების სიხშირის შეფასება. მე-13 დიაგრამის მიხედვით იკვეთება, რომ ზომების გამოყენება ყველაზე გავრცელებულია საშუალოზე დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნებში. თუმცა, აღნიშნულ სექტორში ინიციატორ ქვეყნებს შორის ასევე არიან, როგორც მაღალი შემოსავლის, ასევე საშუალოზე მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნებიც. შესაბამისად, სექტორში არ ვლინდება გამოკვეთილი ტენდენცია ამ მიმართულებით. შესწავლის პერიოდში საშუალოზე დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნების მიერ შემოღებული იყო 42 ზომა, მათ შორის ყველაზე აქტიურები ინდოეთი და პაკისტანი არიან. მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნების მიერ შემოღებულია 31 ღონისძიება, მოწინავე პოზიციებზე კი აშშ, ევროკავშირი და იაპონია დგას. რაც შეეხება საქართველოს მსგავსი შემოსავლების მქონე ქვეყნების ჯგუფს, საშუალოზე მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნების მიერ შემოღებულია 16 ანტიდემპინგური ღონისძიება.

დიაგრამა 13. ანტიდემპინგური ღონისძიებების რაოდენობა ინიციატორი ქვეყნისა და მსოფლიო ბანკის შემოსავლებით მიხედვით ქვეყნების კლასიფიკაციის გათვალისწინებით



ინიციატორი ქვეყნებთან ერთად, მნიშვნელოვან მიმართულებას სამიზნე ქვეყნების განსაზღვრა წარმოადგენს. კვლევის პროცესში მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მონაცემთა ბაზის მიხედვით, სხვა არაორგანული ქიმიკატების წარმოების სექტორში სამიზნე ქვეყნებს

შორის ანტიდემპინგური ღონისძიებების ყველაზე ხშირ სამიზნეს ჩინეთი წარმოადგენს. ჩინეთის შემდეგ, ასევე აქტიურად არის გამოყენებული აღნიშნული ზომები სამხრეთ კორეასა და აშშ წინააღმდეგ.

ცხრილი 21. შემოღებული ანტიდემპინგური ღონისძიებების რაოდენობა სამიზნე ქვეყნების მიხედვით

სამიზნე ქვეყანა	ანტიდემპინგური ღონისძიებების რაოდენობა
ჩინეთი	35
სამხრეთ კორეა	11
აშშ	9
რუსეთი	4
ტაივანი	3
ტაილანდი	3
დანარჩენი	24

შერჩეულ სექტორში ადგილობრივი წარმოების განვითარების მიმართულებით, 2023 წლის მონაცემებით არაორგანული ქიმიკატების წარმოების კლასში რეგისტრირებული ეკონომიკური სუბიექტების ბრუნვის 97% საშუალო ზომის საწარმოებზე მოდის. 2021-2023 წლების პერიოდში საშუალო საწარმოების ბრუნვის ყოველწლიურმა საშუალო კლების მაჩვენებელმა 2% შეადგინა, რაც ინდუსტრიის განვითარების შეფერხების მანიშნებელია. ამასთანავე, ძირითადი მწარმოებლების ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე იკვეთება, რომ აღნიშნული კომპანიებისათვის განვითარების განსხვავებული დინამიკა არის დამახასიათებელი.

ცხრილი 22. ბრუნვა კომპანიების ზომის მიხედვით, 2021-2023 წლები (ლარი)

საწარმოები ზომის მიხედვით	კომპანიების რაოდენობა	2021	2022	2023	ზრდა (CAGR)
მცირე	3	1,911,976	1,225,605	2,035,085	3%
საშუალო	4	68,224,299	72,285,318	65,754,512	-2%
სულ	7	70,136,275	73,510,923	67,789,597	-2%

დამატებით, აუცილებელია იმ ძირითადი ნივთიერებების განსაზღვრა, რომელსაც ადგილობრივი ინდუსტრია აწარმოებს. შერჩეული NACE კლასის ქვეშ რეგისტრირებული საწარმოებზე საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე დავადგინეთ, რომ მათი წარმოება მოიცავს მანგანუმის დიოქსიდის, მანგანუმის ოქსიდების, ბორის, ჟანგბადის, აზოტისა და ნახშირბადის იზოტოპების წარმოებას.

სექტორის შეფასების კიდევ ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას იმპორტის დინამიკის შეფასება წარმოადგენს. პირველ რიგში, დასადგენია პროდუქტის სახეობების მიხედვით ძირითადი საიმპორტო ხაზები, რათა დავადგინოთ მათი მსგავსება ადგილობრივი ინდუსტრიის მიერ წარმოებულ პროდუქტთან მიმართებით. როგორც მე-14 დიაგრამის მიხედვით იკვეთება სამი ძირითადი პროდუქტის ჯგუფის წილი ქვეკლასის მთლიანი იმპორტის 58%-მდე შეადგენს. მათ შორის არის ნატრიუმის და კალიუმის ჰიდროქსიდები ან პეროქსიდები, კარბონატები და იზოტოპები. ამ მიმართულებით გასათვალისწინებელია, რომ საქართველოში წარმოებული პროდუქტი იზოტოპებისა და მანგანუმის ოქსიდების კატეგორიებში შემავალი პროდუქტის მსგავს პროდუქტს წარმოადგენს. იზოტოპების კატეგორიის პროდუქტის იმპორტი მთლიანი იმპორტის 9% შეადგენს, ხოლო მანგანუმის ოქსიდებს მცირე 1%-იანი წილი აქვთ.

დიაგრამა 14. იმპორტი პროდუქტის სახეობების მიხედვით, 2023 წელი



ქვეყნების მიხედვით იმპორტის გადანაწილების შეფასებისას, 2023 წლის მაჩვენებლებით იკვეთება, რომ არაორგანული ქიმიკატების წარმოების სექტორში ძირითად ექსპორტიორ ქვეყნებში რუსეთი, თურქეთი და იაპონია არიან წამყვან პოზიციებზე. რუსეთიდან იმპორტირებული პროდუქტის წილი მთლიან იმპორტში 48%-ს შეადგენს და ძირითადად მოიცავს ნატრიუმისა ან კალიუმის ჰიდროქსიდებსა და პეროქსიდებს, კარბონატებს, წყალბადსა და ინერტულ აირებს. თურქეთიდან იმპორტირებული პროდუქტი სექტორში მთლიანი იმპორტის 19%-ს შეადგენს და მიმართულია კარბონატების არაორგანული მჟავებისა და არალითონების არაორგანული ჟანგბადშემცველი ნაერთების, ასევე ქიმიური რადიოაქტიური ელემენტებისა და იზოტოპების იმპორტზე. რაც შეეხება იაპონიას, მთლიან იმპორტში 8%-იანი წილით, აღნიშნული ქვეყნიდან იზოტოპები შემოდის.

დიაგრამა 15. იმპორტი ძირითადი ექსპორტიორი ქვეყნების მიხედვით, 2023 წელი (აშშ დოლარი)



იმპორტის დინამიკის ანალიზის საფუძველზე, იკვეთება, რომ 2021-2023 წლებში რუსეთიდან იმპორტირებული პროდუქტის ღირებულება 8,4 მილიონი აშშ დოლარით გაიზარდა და საშუალო წლიური ზრდის მაჩვენებლით 44% შეადგინა. ასევე მკვეთრი ზრდა ფიქსირდება იაპონიიდან

იმპორტირებულ პროდუქტთან მიმართებით. 2021 წელს იაპონიიდან ამ სექტორში იმპორტი არ ხორციელდებოდა. 2022-2023 წლებში კი იმპორტის ზრდის მაჩვენებელმა 118% შეადგინა. შედარებისათვის იმპორტის ჯამური ზრდის საშუალო წლიურმა მაჩვენებელმა 20% შეადგინა.

დამატებით, ხაზგასასმელია, რომ პროდუქტის ჯგუფების დონეზე არსებული ტენდენციების შეფასების საფუძველზე იკვეთება 2021-2023 წლებში იზოტოპების კატეგორიაში იმპორტის მოცულობის 2,200 აშშ დოლარიდან 3.1 მილიონ აშშ დოლარამდე ზრდა. შესაბამისად, აღნიშნული ინდუსტრიის შემდგომი სექტორული მონიტორინგისთვის შერჩევის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი იქნება პროდუქტის სახეობების დონეზე იმპორტის დინამიკის ანალიზი და იმის დადგენა, თუ რამდენად არის იმპორტირებული პროდუქტი საქართველოში წარმოებული არაორგანული ქიმიკატების მსგავსი.

ცხრილი 23. იმპორტის ზრდი/კლების ტენდენცია ექსპორტიორი ქვეყნის მიხედვით, 2021-2023 წლები (აშშ დოლარი)

ქვეყანა	2021	2022	2023	ზრდა
რუსეთი	7,870,856	15,061,398	16,305,978	44%
თურქეთი	9,922,433	8,420,961	6,480,423	-19%
იაპონია		1,244,727	2,717,701	118%
ირანი	2,490,356	2,279,699	1,938,258	-12%
გერმანია	539,126	788,475	1,038,585	39%
დანარჩენი	3,018,189	4,295,283	5,674,514	37%

შესაძლო დემპინგური იმპორტისა და მოწყვლადი სექტორების იდენტიფიცირების კუთხით, ასევე მნიშვნელოვანია ძირითადი ექსპორტიორი ქვეყნების მიმართ შემოღებული ანტიდემპინგური ღონისძიებების ანალიზი. როგორც მე-16 დიაგრამაზე ვხედავთ, არაორგანული ქიმიკატების სექტორში ანტიდემპინგური ღონისძიებების ძირითად სამიზნე ქვეყანას ჩინეთი წარმოადგენს, რომლის წილიც საქართველოში იმპორტირებული პროდუქტის მხოლოდ 2%-ს შეადგენს. წამყვანი ექსპორტიორი ქვეყნის - რუსეთის წინააღმდეგ ამ მიმართულებით შემოღებული ანტიდემპინგური ზომების რაოდენობამ 4 შეადგინა. იმის გათვალისწინებით, რომ პროდუქტის ჯგუფების დონეზე სექტორის შეფასების შედეგად იზოტოპების მიმართულებით იაპონიიდან განხორციელებული იმპორტის მნიშვნელობა გამოიკვეთა, საჭიროა აღნიშნული ქვეყნის წინააღმდეგ არსებული ანტიდემპინგური ღონისძიებების შეფასებაც. კვლევაში გამოყენებული მონაცემთა ბაზის მიხედვით, არაორგანული ქიმიკატების სექტორში იაპონიის წინააღმდეგ შემოღებულია ორი ანტიდემპინგური ზომა, ერთი ჩინეთის, ხოლო მეორე ინდოეთის მიერ. აღნიშნული ზომები მიმართულია ნატრიუმის ციანიდისა და ჰიდრო მჟავის პროდუქციაზე.

დიაგრამა 16. 2023 წლის მონაცემებით ძირითადი ექსპორტიორი ქვეყნების წინააღმდეგ შემოღებული ანტიდემპინგური ღონისძიებები



შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულ სექტორში შემოღებული ანტიდემპინგური ზომები არ მიუთითებს შემოსავლების დონის მიხედვით ქვეყნებში ამ

ინდუსტრიების მოწყვლადობის განსხვავებებზე. ამასთანავე გასათვალისწინებელია, რომ საქართველოში წარმოებული პროდუქციის გათვალისწინებით, შესაძლო დემპინგური იმპორტის შეფასების ნაწილში საინტერესო პროდუქტის ჯგუფს იზოტოპების იმპორტი წარმოადგენს, რომელიც ძირითადად იაპონიიდან ხორციელდება. თავის მხრივ ინდუსტრიის უარყოფითი განვითარებისა და იმპორტის ზრდის ტენდენციის გათვალისწინებით, აღნიშნული სექტორი შესაძლოა საინტერესო იყოს შემდგომი შეფასებისთვის. ამისათვის პირველ რიგში აუცილებელია ბრუნვის მაჩვენებლების კლების და იმპორტის პროდუქტების დონეზე ჩაშლილი მონაცემების ანალიზი. ამავდროულად გასათვალისწინებელია, რომ მსოფლიოში ამ სექტორში ანტიდემპინგური ღონისძიებების სამიზნე ქვეყნების შეფასების საფუძველზე იკვეთება, რომ ძირითადი ექსპორტიორები ნაკლებად აქტუალური არიან ამ მიმართულებით.

4.5. პლასტმასის ნაწარმის წარმოება

შერჩეული წარმოების სექტორებიდან ერთ-ერთ მიმართულებას, რომელზეც მსოფლიოში მნიშვნელოვანი რაოდენობის ანტიდემპინგური ზომა არის მიღებული პლასტმასის ნაწარმის წარმოება (NACE კოდი 22.2) წარმოადგენს. ეკონომიკური საქმიანობის წარმოდგენილი ჯგუფი რამდენიმე კლასის პროდუქტს შეიცავს, მათ შორის არის: პლასტმასის ფილების, ფურცლების, მილების და პროფილების წარმოება (22.21), პლასტმასის საფუთავების წარმოება (22.22), პლასტმასის სამშენებლო ნაკეთობების წარმოება (22.23), პლასტმასის სხვა ნაწარმის წარმოება (22.29).

პლასტმასის ნაწარმის წარმოების მიმართულებით საერთაშორისო დონეზე შემოღებული ანტიდემპინგური ღონისძიებების ინიციატორ ქვეყნებს მაღალი, საშუალოზე მაღალი და საშუალოზე დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნები წარმოადგენენ. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემთა ბაზის მიხედვით, ამ მიმართულებით 2020 წელს აქტიურ და მის შემდგომ შემოღებულ 95 ანტიდემპინგურ ღონისძიებას შორის 29 ზომა შემოღებულია მაღალი შემოსავლის მქონე ჯგუფის ქვეყნების მიერ, 39 ზომა - საშუალოზე მაღალი შემოსავლის მქონე ჯგუფის ქვეყნების მიერ, ხოლო 27 ზომა - საშუალოზე დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნების მიერ. ამასთანავე, ხაზგასასმელია, რომ ყველაზე მეტი ზომის ინიციატორია აშშ (17), ბრაზილია (14), ინდოეთი (12) და სამხრეთ კორეა (11). შემოსავლების მიხედვით ქვეყნების შეფასების საფუძველზე იკვეთება, რომ აღნიშნული ზომები საქართველოს მსგავსი შემოსავლების ჯგუფის წვერების მიერ არის ყველაზე აქტიურად გამოყენებული, თუმცა ასევე მაღალია სხვა ჯგუფების ქვეყნების მაჩვენებლები.

დიაგრამა 17. ანტიდემპინგური ღონისძიებების რაოდენობა ინიციატორი ქვეყნისა და მსოფლიო ბანკის შემოსავლებით მიხედვით ქვეყნების კლასიფიკაციის გათვალისწინებით



რაც შეეხება სამიზნე ქვეყნებს, როგორც ქვემოთ მოყვანილი 24-ე ცხრილიდან იკვეთება, ყველაზე მეტი ზომა შემოღებულია ჩინეთის (34), ტაილანდისა (10) და ტაივანის (9) მიმართ. ქვესექტორების დონეზე აღსანიშნავია, რომ ღონისძიებების უმეტესობა ჩინეთის წინააღმდეგ გამოყენებულია პლასტმასის ფილების, ფურცლების, მილების და პროფილების წარმოების დარგში.

ცხრილი 24. ანტიდემპინგური ღონისძიებების რაოდენობა სამიზნე ქვეყნების მიხედვით

სამიზნე ქვეყანა	ანტიდემპინგური ღონისძიებების რაოდენობა
ჩინეთი	34
ტაილანდი	10
ტაივანი	9
მალაიზია	6
ინდოეთი	5
ვიეტნამი	5
არაბთა გაერთიანებული საემიროები	4
ინდონეზია	4
თურქეთი	3
სამხრეთ კორეა	2
ომანი	2
საუდის არაბეთი	2
დანარჩენი	9

განვიხილოთ ანტიდემპინგური ღონისძიებები პროდუქტის სახეობების მიხედვით. საქმეები აღძრულია 41 დასახელების პროდუქტისთვის, თუმცა ისინი ნაწილდება NACE 22.2 ჯგუფის 4 კლასში: 22.21 - პლასტმასის ფილების, ფურცლების, მილების და პროფილების წარმოება; 22.22 - პლასტმასის საფუთავების წარმოება; 22.23 - პლასტმასის სამშენებლო ნაკეთობების წარმოება; 22.29 - პლასტმასის სხვა ნაწარმის წარმოება. როგორც დიაგრამა 18-ში წარმოდგენილი ინფორმაციიდან ვხედავთ, ანტიდემპინგური ზომების უმეტესობა ეხება პლასტმასის ფილების,

ფურცლების, მილების და პროფილების წარმოების პროდუქტებს. სექტორში შემოღებული ზომების 70%-ზე მეტი სწორად ამ მიმართულებით არის გამოყენებული. აღნიშნულის გათვალისწინებით, ადგილობრივი წარმოებისა და იმპორტის შეფასების ნაწილშიც მნიშვნელოვანია პლასტმასის ფილების, ფურცლების, მილების და პროფილების წარმოების პროდუქციაზე კონცენტრირება.

დიაგრამა 18. შემოღებული ანტიდემპინგური ღონისძიებების რაოდენობა პროდუქტის სახეობის მიხედვით



მსოფლიოში პლასტმასის ნაწარმის წარმოების მიმართულებით გამოყენებული ანტიდემპინგური ღონისძიებების განხილვის შემდეგ, უნდა შეფასდეს საქართველოში ამ ინდუსტრიაში არსებული ტენდენციები. ამ სექტორში ოპერირებს 1375 ეკონომიკური სუბიექტი, მათ შორის 3 საწარმო არის მსხვილი ზომის, 12 - საშუალო, 1295 - სუბიექტი მცირე, ხოლო 65 - უცნობის ზომის. საქმიანობის მიხედვით განაწილების მხრივ, 47 კომპანია პლასტმასის ფილების, ფურცლების, მილების და პროფილების წარმოების სფეროში მოქმედებს, 99 - პლასტმასის საფუთავების წარმოების, 1127 - პლასტმასის სამშენებლო ნაკეთობების წარმოების, ხოლო 102 - პლასტმასის სხვა ნაწარმის წარმოების მიმართულებით. შესაბამისად, ყველაზე მეტი მსხვილი და საშუალო საწარმო პლასტმასის საფუთავების წარმოებაზეა მიმართული.

ცხრილი 25. კომპანიების რაოდენობა საქმიანობისა და ზომის მიხედვით, 2023 წელი

NACE-ის კლასი	საქმიანობის სახე	მსხვილი	საშუალო	მცირე	ზომა უცნობია	სულ
22.21	პლასტმასის ფილების, ფურცლების, მილების და პროფილების წარმოება		4	39	4	47
22.22	პლასტმასის საფუთავების წარმოება	3	6	84	6	99
22.23	პლასტმასის სამშენებლო ნაკეთობების წარმოება		2	1084	41	1127
22.29	პლასტმასის სხვა ნაწარმის წარმოება			88	14	102

კომპანიების რაოდენობის განაწილების შესაბამისად, 2021-2023 წლებში, პლასტმასის ნაწარმის წარმოების მიმართულებით რეგისტრირებული სუბიექტების ბრუნვის შეფასებისას იკვეთება, რომ ყველაზე დიდი წილი პლასტმასის საფუთავების წარმოებაზე (22.22) მოდის, რაც მოიცავს პლასტმასის ნაკეთობების წარმოებას საქონლის შესაფუთად: პლასტმასის პაკეტების, ტომრების, კონტეინერების, ყუთების, კოლოფების, ბოცების, ბოთლების და მისთ. 2023 წელს მთლიანი ბრუნვის 49%-მდე სწორად აღნიშნულ მიმართულებაზე მოდიოდა. რაც შეეხება

ბრუნვის ტენდენციას 2021-2023 წლებში, ჯამური ბრუნვის საშუალო წლიური ზრდის მაჩვენებელმა 6% შეადგინა.

დამატებით აღსანიშნავია, რომ საკმაოდ მნიშვნელოვანია სხვა სექტორებში ადგილობრივი ინდუსტრიის წარმოების მაჩვენებლებიც. საერთაშორისო დონეზე შემოღებული ანტიდემპინგური ღონისძიებების კუთხით იდენტიფიცირებულ პლასტმასის ფილების, ფურცლების, მილების და პროფილების წარმოების (22.21) ქვესექტორში ადგილობრივი მწარმოებლების ბრუნვის მაჩვენებელმა 110.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. რაც შეეხება სექტორის ზრდის მაჩვენებლებს, 2021-2023 წლებში ბრუნვის 1%-იანი კლება არის გამოვლენილი, რაც შესაძლოა ინდუსტრიაში არსებული სირთულეებზე მიანიშნებდეს. ხაზგასასმელია, რომ მთლიანი სექტორის საშუალო მაჩვენებლები და ხსენებული ქვესექტორების მაჩვენებლები მზარდია 2021-2022 წლების პერიოდში. მკვეთრი კლება კი 2022-2023 წლების პერიოდში დაფიქსირდა, რის საფუძველზეც პლასტმასის ფილების, ფურცლების, მილების და პროფილების მწარმოებლების ბრუნვის მაჩვენებლები 21.5 მლნ ლარით არის შემცირებული, ხოლო პლასტმასის საფუთავების მწარმოებლების 78.5 მლნ ლარით. აღნიშნულ ორ ქვესექტორთან შედარებით, პლასტმასის სამშენებლო ნაკეთობების წარმოებისა და პლასტმასის სხვა ნაწარმის წარმოების დარგების განვითარების ტენდენცია უფრო დადებითია.

ცხრილი 26. ბრუნვა საქმიანობის სახეების მიხედვით, 2021-2023 წლები (ლარი)

საქმიანობის სახე	2021	2022	2023	ზრდა (CAGR)
22.21	113,082,887	132,008,062	110,517,556	-1%
22.22	291,699,943	381,157,116	302,627,510	2%
22.23	126,591,210	154,079,190	181,217,933	20%
22.29	22,157,903	29,035,165	26,267,454	9%
სულ	**553,531,942**	**696,279,533**	**620,630,453**	6%

რაც შეეხება სექტორში განხორციელებულ იმპორტს, 2023 წლის მაჩვენებლების მიხედვით პირველ ადგილზე არის პლასტმასის ფილების, ფურცლების, მილების და პროფილების წარმოება, რომელიც მთლიანი იმპორტის 51%-ს შეადგენს. შემდეგ მოდის პლასტმასის სამშენებლო ნაკეთობების ქვესექტორი. იმპორტირებული საქონლის ღირებულების შეფასებისას, ასევე მნიშვნელოვანია, ადგილობრივი მწარმოებლების ბრუნვასთან მათი შედარება, სექტორში მოხმარების ადგილობრივ წარმოებასა და იმპორტზე დამოკიდებულების დასადგენად. პლასტმასის ფილების ქვესექტორში იმპორტი მკვეთრად აღემატება ადგილობრივი ინდუსტრიის ბრუნვის მაჩვენებელს. რაც შეეხება შესაფუთი მასალების წარმოების მიმართულებას, ამ ბაზარზე ადგილობრივი ინდუსტრიის მკვეთრი უპირატესობა არის გამოკვეთილი.

დიაგრამა 19. იმპორტი პროდუქტის სახეობების მიხედვით, 2023 წელი



NACE 22.2 ჯგუფის კლასების მიხედვით, იმპორტი ყველაზე მეტად მზარდია 22.29 კლასის - პლასტმასის სხვა ნაწარმის (22.8%) და 22.23 კლასის - პლასტმასის სამშენებლო ნაკეთობების (20.7%) შემთხვევაში. ამასთანავე ხაზგასასმელია, რომ ყველა მიმართულებით იკვეთება იმპორტის თანმიმდევრული ზრდის ტენდენცია. შესაბამისად ადგილობრივი წარმოების სექტორში 2022-2023 წელს დაფიქსირებული კლების პარალელურად სტაბილურად მზარდი იყო იმპორტის მაჩვენებლები ამ მიმართულებით.

ცხრილი 27. იმპორტის ზრდა პროდუქციის მიხედვით, 2021-2023 წლები (აშშ დოლარი)

NACE-ის კლასი	2021	2022	2023	ზრდა (CAGR)
22.21	146,451,863	164,584,209	173,711,351	8.9%
22.22	37,715,152	46,240,140	46,401,934	10.9%
22.23	55,218,536	64,885,428	80,400,063	20.7%
22.29	24,953,800	34,193,722	37,631,679	22.8%
22.2	**264,339,351**	**309,903,500**	**338,145,027**	13.1%

იმის გათვალისწინებით, რომ საერთაშორისო დონეზე შემოღებული ანტიდემპინგური ღონისძიებებისა და ადგილობრივი წარმოების ბრუნვის მაჩვენებლებში პლასტმასის ფილების, ფურცლების, მილების და პროფილების პროდუქტის აქტუალობა გამოიკვეთა, ქვეყნების მიხედვით იმპორტის განვითარების დინამიკის შეფასებაში ამ მიმართულებას ცალკე გამოვყოფთ. ცხრილი 28-ში წარმოდგენილია 2021-2023 წლების მონაცემებით პლასტმასის ნაწარმის მთლიანი იმპორტისა და 22.21 ქვეკლასის პროდუქციის იმპორტის ზრდის სურათი ქვეყნების მიხედვითაც. აღნიშნულ პერიოდში მთლიანი იმპორტი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული თურქეთიდან შემოსულ პროდუქციაზე, ასევე მზარდია ჩინეთის ბაზრის მნიშვნელობა. დანარჩენი ქვეყნების მოცულობა შედარებით თანაბრად არის გადანაწილებული. 22.21 ქვეკლასის პროდუქციის იმპორტის მიმართულებით თურქეთის წილი ბაზრის ნახევარზე მეტს შეადგენს. დანარჩენ ქვეყნებში შედარებით დიდი ღირებულების იმპორტი ჩინეთიდან და რუსეთიდან შემოდის.

ცხრილი 28. პლასტმასის ნაწარმის იმპორტის ზრდა/კლების ტენდენცია ექსპორტიორი ქვეყნის მიხედვით, 2021-2023 წლები (აშშ დოლარი)

ქვეყანა	2021	2022	2023	ზრდა (CAGR)
პლასტმასის ნაწარმის იმპორტი				
თურქეთი	133,494,035	155,937,433	165,505,566	11.3%
ჩინეთი	28,321,907	40,116,512	45,062,654	26.1%
რუსეთის ფედერაცია	17,574,127	17,329,626	18,016,928	1.3%
გერმანია	10,229,290	13,589,041	15,020,105	21.2%
სომხეთი	8,516,347	8,110,344	10,107,432	8.9%
პოლონეთი	6,148,383	6,981,223	10,071,391	28.0%
დანარჩენი	60,055,261	67,839,322	74,360,951	11.3%
22.21 პლასტმასის ფილების, ფურცლების, მილების და პროფილების წარმოება				
თურქეთი	82,174,192	91,979,311	98,839,026	9.7%
ჩინეთი	10,678,041	16,735,516	15,557,982	20.7%
რუსეთის ფედერაცია	11,679,114	10,418,062	10,845,698	-3.6%
გერმანია	4,172,921	5,389,055	5,906,240	19.0%
სომხეთი	3,283,540	3,564,894	3,934,645	9.5%
პოლონეთი	2,207,841	3,300,008	4,173,120	37.5%
დანარჩენი	32,256,213	33,197,363	34,454,640	3.4%

პლასტმასის ნაწარმის სექტორში ძირითადი ექსპორტიორი ქვეყნების გამოვლენის საფუძველზე, შეგვიძლია შევაფასოთ, რამდენად არის გავრცელებული სხვა ქვეყნების მიერ მათ წინააღმდეგ მთლიანად პლასტმასის ნაწარმისა და 22.21 ქვეკლასის სექტორში პროდუქციის ანტიდემპინგური ღონისძიებების შემოღების შემთხვევები.

2023 წლის მაჩვენებლებით პლასტმასის ნაწარმის საქართველოში იმპორტით წამყვან ადგილზეა თურქეთი 48,9%-ით, რომლის წინააღმდეგაც შემოღებულია 3 ანტიდემპინგური ღონისძიება. მომდევნო ადგილებზეა ჩინეთი 13,3%-იანი წილით და 34 ანტიდემპინგური ღონისძიებით. დანარჩენი ქვეყნების წილი აღნიშნულ ბაზარზე შედარებით უმნიშვნელოა და ნაკლებია მათ წინააღმდეგ გამოყენებული ანტიდემპინგური ღონისძიებების რაოდენობაც. რაც შეეხება პლასტმასის ფილების, ფურცლების, მილებისა და პროფილების ქვესექტორს, მთლიანი პლასტმასის ნაწარმის სექტორის მსგავსი ტენდენცია ვლინდება. ძირითადი ექსპორტიორი ქვეყნის თურქეთის წინააღმდეგ ამ მიმართულებით გამოყენებულია 2 ანტიდემპინგური ღონისძიება, ხოლო ჩინეთის წინააღმდეგ, რომელსაც ბაზარზე შედარებით მცირე, 9%-იანი წილი უჭირავს, გამოყენებულია 26 ანტიდემპინგური ღონისძიება.

დიაგრამა 20. 2023 წლის მონაცემებით ძირითადი ექსპორტიორი ქვეყნების წინააღმდეგ შემოღებული ანტიდემპინგური ღონისძიებები პლასტმასის ნაწარმის სექტორში.



როგორც აღვნიშნეთ, ანტიდემპინგური ზომების უმეტესობა (74%) გამოყენებულია 22.21 ქვეკლასის პროდუქციაზე, საქართველოში პლასტმასის ნაკეთობების იმპორტის უმეტესობა ასევე 22.21 ქვეკლასზე (51.4%) მოდის. რაც შეეხება ანტიდემპინგური ღონისძიებების სამიზნე ქვეყნების მიხედვით ექსპორტიორების შეფასებას, ორი წამყვანი ქვეყნის წინააღმდეგ ფიქსირდება ანტიდემპინგური ღონისძიების გამოყენების შემთხვევები. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ ადგილობრივი ინდუსტრიის ბრუნვის დინამიკის შეფასების შედეგად, 2022-2023 წლებში, აღნიშნულ კლასში ბრუნვის მკვეთრი ვარდნა გამოვლინდა, რაც ინდუსტრიაში შესაძლო ზიანის მანიშნებელი შეიძლება იყოს. შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენილი ქვესექტორი საჭიროებს დამატებით ანალიზს, ადგილობრივი ინდუსტრიის სირთულეების დადგენისა და იმპორტის ზრდასთან დაკავშირებული საფრთხეების შესაფასებლად.

4.6. მინის და მინის ნაწარმის წარმოება

კვლევის პირველი ეტაპის შედეგად გამოვლენილი კიდევ ერთი მიმართულება მინის პროდუქტის წარმოებაა. NACE კლასიფიკატორის შესაბამისი ჯგუფი 23.1 მინის და მინის ნაწარმის წარმოება მოიცავს ნებისმიერი გზით დამზადებულ ყველა ფორმის მინისა და მინის ნაკეთობის წარმოებას. საქმიანობის სახეების მიხედვით სექტორი დაყოფილია ფურცლოვანი მინის წარმოების (23.11) ფურცლოვანი მინის დაყალიბებისა და დამუშავების (23.12), ღრუ მინის წარმოების (23.13), ბოჭკოვანი მინის წარმოებისა (23.14) და სხვა მინის ნაწარმის წარმოების (23.19) ქვეკლასებად.

საერთაშორისო დონეზე შემოღებული ანტიდემპინგური ღონისძიებების შეფასების საფუძველზე, იკვეთება, რომ სექტორი ხშირად არის ანტიდემპინგური ღონისძიებების სამიზნე. მონაცემთა ბაზაში გათვალისწინებული ღონისძიებების მიხედვით ჯამში სექტორში 113 ზომაა გამოყენებული. ყველაზე აქტიურად აღნიშნულ ზომებს საშუალოზე მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნები იყენებენ. საშუალოზე მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნების მიერ ამ სექტორში შემოღებულია 60 ანტიდემპინგური ღონისძიება, მათ შორის, ინიციატორ ქვეყნებში ბრაზილია ლიდერობს (13 ანტიდემპინგური ღონისძიება). საშუალოზე მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნებთან ერთად, საშუალოზე დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნებიც აქტიურად იყენებენ ანტიდემპინგურ ზომებს ამ მიმართულებით (41 ანტიდემპინგური ღონისძიება). მათ შორის, წამყვან პოზიციაზე ინდოეთია, რომელიც 16 ანტიდემპინგური ღონისძიების ინიციატორია. ამასთანავე, ხაზგასასმელია, რომ ღონისძიებების გამოყენება ასევე ფიქსირდება მეზობელ ქვეყნებში, თურქეთსა და უკრაინაში.

დიაგრამა 21. ანტიდემპინგური ღონისძიებების რაოდენობა ინიციატორი ქვეყნისა და მსოფლიო ბანკის შემოსავლებით მიხედვით ქვეყნების კლასიფიკაციის გათვალისწინებით



სექტორში გამოყენებული ანტიდემპინგური ღონისძიებების სამიზნე ქვეყნების შეფასების შედეგად გამოიკვეთა, რომ ყველაზე დიდი რაოდენობის ანტიდემპინგური ღონისძიება ჩინეთის წინააღმდეგ არის შემოღებული. რაც შეეხება პროდუქტის ჯგუფებს, ზომები მეტნაკლებად თანაბრად არის გადანაწილებული, ფურცლოვანი მინის, ღრუ მინისა და ბოჭკოვანი მინის წარმოების ქვეკლასებს შორის. ჩინეთის შემდეგ, აღნიშნული ღონისძიებები, ასევე ინდონეზიისა და ინდოეთის წინააღმდეგ არის გამოყენებული.

ცხრილი 29. შემოღებული ანტიდემპინგური ღონისძიებების რაოდენობა სამიზნე ქვეყნების მიხედვით

სამიზნე ქვეყანა	ანტიდემპინგური ღონისძიებების რაოდენობა
ჩინეთი	44
ინდონეზია	15
ინდოეთი	10
მალაიზია	8
არაბთა გაერთიანებული საამიროები	8
საუდის არაბეთი	7
მექსიკა	3
ტაილანდი	3
სხვა	15

პროდუქტის ჯგუფების მიხედვით შემოღებული ანტიდემპინგური ღონისძიებების ანალიზისას იკვეთება, რომ ყველაზე აქტიურად ანტიდემპინგური ღონისძიებები გამოყენებულია ფურცლოვანი მინის წარმოების ქვესექტორში. ჯამურად მინის წარმოების მიმართულებით გამოყენებული 113 ანტიდემპინგური ზომიდან 54 სწორედ ამ მიმართულებას მოიცავს. ასევე მაღალია ფურცლოვანი მინის დაყალიბებისა და დამუშავების სექტორში დაფიქსირებული ღონისძიებების რაოდენობა, რომელიც ჯამში 39-ს შეადგენს.

დიაგრამა 22. ანტიდემპინგურ ღონისძიებების რაოდენობა პროდუქტის სახეობის მიხედვით



შესაძლო დემპინგური იმპორტის მიმართ სექტორის მოწყვლადობის შეფასების მეორე მიმართულება ადგილობრივი მწარმოებლების საქმიანობის ტენდენციების შეფასებაა. 30-ე ცხრილში წარმოდგენილია სექტორში რეგისტრირებული ეკონომიკური სუბიექტების რაოდენობა საქმიანობის სახეობისა და ზომის მიხედვით. მინის წარმოების მსხვილი საწარმო მხოლოდ ღრუ მინის წარმოების სექტორში ოპერირებს, ხოლო საშუალო საწარმო - ფურცლოვანი მინის დაყალიბება და დამუშავების სექტორში. დანარჩენი ეკონომიკური სუბიექტები მცირე ზომისაა. ჯამში სექტორში რეგისტრირებულია 109 ეკონომიკური სუბიექტი.

ცხრილი 30. კომპანიების რაოდენობა საქმიანობისა და ზომის მიხედვით, 2023 წელი

NACE-ის კლასი	საქმიანობის სახე	მსხვილი	საშუალო	მცირე	ზომა უცნობია	სულ
23.11	ფურცლოვანი მინის წარმოება			4	2	6
23.12	ფურცლოვანი მინის დაყალიბება და დამუშავება		1	77	5	83
23.13	ღრუ მინის წარმოება	1		5		6
23.14	ბოჭკოვანი მინის წარმოებისა			1		1
23.19	სხვა მინის ნაწარმის წარმოების			22	3	25

რაც შეეხება სექტორში რეგისტრირებული სუბიექტების ბრუნვის მაჩვენებლებს, 31-ე ცხრილის მიხედვით იკვეთება, რომ ადგილობრივი ინდუსტრიის საქმიანობა ძირითადად ფურცლოვანი მინის დამუშავებისა და ღრუ მინის წარმოების კლასებზეა მიმართული და მათი ბრუნვა შესაბამისად სექტორის მთლიანი ბრუნვის 42%-ს და 52%-ს შეადგენს. ამასთანავე გასათვალისწინებელია, რომ ფურცლოვანი მინის დამუშავების დარგში, 2021-2023 წლების პერიოდში, ბრუნვა საშუალო წლიურად 10%-ით გაიზარდა, ხოლო ღრუ მინის წარმოების მიმართულებით საშუალო წლიური ბრუნვის 9%-იანი კლება ფიქსირდება. 2021-2023 წლებში ქვეკლასების დონეზე ბრუნვის დინამიკა ღრუ მინის სექტორში შესაძლო გამოწვევების მიმანიშნებელია. ამასთანავე, ხაზგასასმელია, რომ 2022-2023 წლებში, ფურცლოვანი მინის დამუშავების სექტორში ძალიან მცირე 1%-იანი ზრდა დაფიქსირდა.

ცხრილი 31. ბრუნვა საქმიანობის სახეების მიხედვით, 2021-2023 წლები (ლარი)

NACE ქვეკლასი	2021	2022	2023	ზრდა (CAGR)
23.11	-	2,152,783	3,512,029	
23.12	45,371,901	54,092,604	54,475,628	10%
23.13	82,400,311	79,419,915	68,249,754	-9%
23.14	-	-	-	
23.19	1,925,995	3,340,359	4,331,428	50%
სულ	**129,698,207**	**139,005,660**	**130,568,840**	0.3%

ინდუსტრიაში არსებული ვითარების შეფასებისათვის, ასევე აუცილებელია იმპორტის დინამიკის განხილვა. იმის გათვალისწინებით, რომ ადგილობრივ წარმოებაში კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, საინტერესო ქვესექტორად ღრუ მინის წარმოების მიმართულება გამოიკვეთა, მნიშვნელოვანია პროდუქტების ჯგუფების დონეზე იმპორტის ანალიზი.

NACE კლასების დონეზე იმპორტის შეფასების საფუძველზე იკვეთება, რომ ადგილობრივი წარმოების მსგავსად იმპორტში წამყვან პოზიციებს ღრუ მინის ნაწარმი და ფურცლოვანი მინის ნაწარმის დამუშავება იკავებენ. 2023 წელს იმპორტირებული მინის პროდუქტის მთლიანი ღირებულების 67% ღრუ მინის წარმოების სექტორის პროდუქტზე მოდიოდა, ხოლო 16% - ფურცლოვანი მინის პროდუქციაზე. 2023 წელს იმპორტის ჯამურმა მაჩვენებელმა 148.6 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა.

დიაგრამა 23. იმპორტი პროდუქტის სახეობების მიხედვით, 2023 წელი



ცხრილი 32-ის მიხედვით იკვეთება, რომ იმპორტის განვითარების კუთხით, სექტორში იმპორტის ყველაზე სწრაფი ზრდა რუსეთის ბაზრიდან არის დაფიქსირებული. 2021-2023 წლების პერიოდში საშუალო წლიური ზრდის მაჩვენებელმა 56% შეადგინა, ასევე მზარდია თურქეთიდან და ჩინეთიდან იმპორტის ღირებულება და 32%-იან ნიშნულ აღწევს. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ ძირითად ექსპორტიორ ქვეყნებში უარყოფითი ტენდენცია მხოლოდ ირანის შემთხვევაში ფიქსირდება. 2021-2023 წლებში ირანიდან იმპორტირებული საქონლის ღირებულება საშუალო წლიურად 6%-ით შემცირდა.

ანტიდემპინგური ღონისძიებების მიმართ სექტორის მოწყვლადობის დადგენისათვის მნიშვნელოვანია ადგილობრივი ინდუსტრიის ბრუნვის საფუძველზე იდენტიფიცირებული კლასის პროდუქტის ძირითადი ექსპორტიორების განვითარების შეფასება დინამიკაში. ღრუ მინის ნაწარმის იმპორტის კუთხით ყველაზე სწრაფი ზრდა რუსეთის ფედერაციიდან განხორციელებული პროდუქციის მიმართულებით ფიქსირდება. 2021-2023 წლებში იმპორტის ღირებულება საშუალო წლიურად 54%-ით არის გაზრდილი. რაც შეეხება დანარჩენი ქვეყნების მაჩვენებლებს მკვეთრი ზრდა ფიქსირდება სხვა ქვეყნებიდან იმპორტის შემთხვევაშიც, თუმცა რუსეთთან შედარებით მათი წილი უმნიშვნელოა.

ცხრილი 32. იმპორტის ზრდი/კლების ტენდენცია ექსპორტიორი ქვეყნის მიხედვით, 2021-2023 წლები (აშშ დოლარი)

ქვეყანა	2021	2022	2023	ზრდა
23.1 მინისა და მინის ნაწარმის წარმოება				
რუსეთი	24,117,546	52,894,689	58,459,028	56%
თურქეთი	11,381,964	15,745,542	19,706,729	32%
სომხეთი	14,199,818	15,167,926	17,403,688	11%
ჩინეთი	8,646,396	12,484,908	15,017,742	32%
ირანი	12,505,828	13,883,603	10,982,049	-6%
დანარჩენი	18,903,056	23,432,841	23,351,169	11%
მსოფლიო	91,686,682	136,673,115	148,615,950	27%
23.13 ღრუ მინის წარმოება				
რუსეთი	21,006,502	45,283,698	49,938,833	54%
სომხეთი	14,130,474	15,131,413	17,362,803	11%
ჩინეთი	3,461,239	5,225,098	7,078,328	43%
ირანი	2,345,120	3,427,201	3,979,120	30%

თურქეთი	2,896,608	4,191,549	3,586,101	11%
საფრანგეთი	1,728,834	2,912,624	3,551,691	43%
დანარჩენი	**14,157,061**	**14,967,519**	**13,653,896**	-2%
მსოფლიო	**59,725,839**	**91,139,103**	**99,150,772**	29%
23.12 ფურცლოვანი მინის დაყალიბება და დამუშავება				
თურქეთი	5,005,573	7,612,635	11,855,904	54%
ჩინეთი	2,456,320	3,696,651	4,332,310	33%
რუმინეთი	153,560	704,569	1,383,210	200%
გერმანია	350,185	681,729	1,147,481	81%
რუსეთი	603,969	967,017	810,117	16%
ირანი	689,383	852,378	754,376	5%
დანარჩენი	2,068,099	3,029,960	3,261,494	26%
მსოფლიო	11,327,089	17,544,938	23,544,892	44%

24-ე დიგრამაში წარმოდგენილია 2023 წელს იმპორტირებული პროდუქტის განაწილება ქვეყნების მიხედვით და ინფორმაცია მათ წინააღმდეგ შემოღებული ანტიდემპინგური ღონისძიებების რაოდენობაზე. დიაგრამა მოიცავს, როგორც მთლიან სექტორში მინისა და მინის ნაწარმის იმპორტის ჯამურ მაჩვენებლებს, ასევე ცალკე ღრუ მინის ნაწარმისა და ფურცლოვანი მინის დამუშავების მიმართულებით განხორციელებულ იმპორტზე ინფორმაციას. საქართველოში იმპორტირებული მინის ნაწარმის 39% რუსეთის ბაზრიდან შემოდის, მეორე ადგილზე თურქეთია ბაზრის 13%-იანი წილით, შემდეგ სომხეთი და ჩინეთი, შესაბამისად, 12%-იანი და 10%-იანი წილებით. შედარებით მცირეა ირანისა და საფრანგეთი იმპორტის მაჩვენებლები. ამასთანავე, მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ ძირითადი ექსპორტიორი ქვეყანა რუსეთი ნაკლებად არის მსოფლიოში ანტიდემპინგური ღონისძიებების სამიზნე ამ სექტორში და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მონაცემთა ბაზის მიხედვით, აღნიშნული მიმართულებით რუსეთის წინააღმდეგ მხოლო ორი ანტიდემპინგური ღონისძიება არის გამოყენებული. ასევე მცირეა თურქეთის წინააღმდეგ შემოღებული ანტიდემპინგური ღონისძიებების რაოდენობა.

რაც შეეხება ღრუ მინის ნაწარმის იმპორტს, ამ მიმართულებით წამყვან პოზიციაზე 50%-იანი წილით, ასევე რუსეთია, შემდეგ სომხეთი (18%) და ჩინეთი (7%) მოდიან. ხაზგასასმელია, რომ ამ მიმართულებით შედარებით მცირეა თურქეთიდან, ირანიდან და საფრანგეთიდან განხორციელებული იმპორტის ღირებულება და მთლიანი იმპორტის 4%-ს შეადგენს. ღრუ მინის წარმოების სექტორში ძირითად სავაჭრო პარტნიორებს შორის ანტიდემპინგური ღონისძიება მხოლოდ ჩინეთის წინააღმდეგ არის დაფიქსირებული, რომლის წილი ქვესექტორის მთლიან იმპორტში შედარებით დაბალია. ზოგადად, როგორც უკვე აღინიშნა, ღრუ მინის სექტორი საერთაშორისო დონეზე შემოღებული ანტიდემპინგური ღონისძიებების მიმართულებით ნაკლებად აქტუალურ სექტორს წარმოადგენს, იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ ქვესექტორში ჯამში მხოლოდ 8 ზომაა შემოღებული.

ფურცლოვანი მინის დამუშავებული პროდუქტის იმპორტის მიმართულებით წამყვან პოზიციებს თურქეთი და ჩინეთი იკავებენ, შესაბამისად 50%-იანი და 18%-იანი წილებით. რაც შეეხება ძირითადი სავაჭრო პარტნიორების წინააღმდეგ შემოღებულ ანტიდემპინგურ ღონისძიებებს, 24-ე დიაგრამის მიხედვით იკვეთება, რომ აღნიშნული ზომების ყველაზე აქტიურ სამიზნეს ჩინეთი წარმოადგენს, რომლის წილი ქვესექტორის იმპორტის მაჩვენებლებში ბოლო სამი წლის განმავლობაში 1,8 მილიონი აშშ დოლარით და საშუალო წლიურად 33%-ით გაიზარდა.

დიაგრამა 24. ძირითადი ექსპორტიორი ქვეყნების წინააღმდეგ შემოღებული ანტიდემპინგური ღონისძიებები





შეჯამებისთვის უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო დონეზე შემოღებული ანტიდემპინგური ღონისძიებების კუთხით აღნიშნული სექტორის აქტუალობის მიუხედავად, საქართველოში არსებული ტენდენციების შეფასების საფუძველზე სექტორის მოწყვლადობა დემპინგური იმპორტის მიმართ ნაკლებად თვალსაჩინოა. ხაზგასასმელია, რომ წამყვანი სამი ექსპორტიორი ქვეყნის წინააღმდეგ ამ მიმართულებით ანტიდემპინგური ზომები უმნიშვნელოა. ძირითადი ზომების სამიზნე ქვეყანა ჩინეთია, რომლის წილიც ქვესექტორების დონეზე იმპორტში მხოლოდ ფურცლოვანი მინის დამუშავების სექტორშია მნიშვნელოვანი. ამასთანავე გასათვალისწინებელია, რომ საერთაშორისო დონეზე გამოყენებული ზომები ძირითადად ფურცლოვანი მინის წარმოების და დამუშავების სექტორებზე მოდის, მაშინ როდესაც საქართველოში ადგილობრივი წარმოების მიმართულებით უარყოფითი ტენდენცია მხოლოდ ღრუ მინის წარმოების სექტორში დაფიქსირდა. დამატებით, გასათვალისწინებელია, რომ 2022-2023 წლებში ფურცლოვანი მინის სექტორში ადგილობრივი ინდუსტრიის ზრდის ძალიან დაბალი, 1%-მდე მაჩვენებელი ფიქსირდება. შესაბამისად, ამ მიმართულებით სამომავლოდ საინტერესო მიმართულება ფურცლოვანი მინის დამუშავების სექტორი შეიძლება იყოს, რომლის იმპორტში, თურქეთის წამყვანი პოზიციის მიუხედავად, მკვეთრად იზრდება ჩინეთიდან იმპორტირებული პროდუქტის რაოდენობაც, რომელიც 24 ანტიდემპინგური ზომის სამიზნეა.

4.7. სამშენებლო მასალები თიხისგან

შერჩეული წარმოების სექტორებიდან კიდევ ერთ მიმართულებას თიხისგან სამშენებლო მასალების ნაწარმი (NACE კოდი 23.3) წარმოადგენს, რომელიც რამდენიმე ქვეკლასის პროდუქტს შეიცავს, მათ შორის არის: კერამიკული საფარების და ფილების წარმოება; არაცეცხლგამძლე აგურის, კრამიტის და სხვა სამშენებლო პროდუქციის წარმოება გამომწვარი თიხისგან.

სექტორული შეფასების ნაწილში მნიშვნელოვანია სექტორში შემოღებული ანტიდემპინგური ღონისძიებების განხილვა ინიციატორი ქვეყნების, სამიზნე ქვეყნებისა და პროდუქტის ჯგუფების მიხედვით. თიხის ნაწარმის წარმოების მიმართულებით საერთაშორისო დონეზე შემოღებული ანტიდემპინგური ღონისძიებების ინიციატორ ქვეყნებს მაღალი, საშუალოზე მაღალი და საშუალოზე დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნები წარმოადგენენ. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემთა ბაზის მიხედვით, ამ მიმართულებით 2020 წელს აქტიურ და მის შემდგომ შემოღებულ 32 ანტიდემპინგურ ღონისძიებას შორის 22 ზომა შემოღებულია მაღალი შემოსავლის მქონე ჯგუფის ქვეყნების მიერ, 8 ზომა - საშუალოზე მაღალი შემოსავლის მქონე ჯგუფის ქვეყნების მიერ, ხოლო 2 ზომა - საშუალოზე დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნების მიერ. ამასთანავე, ყველაზე მეტი ზომის ინიციატორია არგენტინა (6), ტაივანი (4) და ევროკავშირი (3).

დიაგრამა 25. ანტიდემპინგური ღონისძიებების რაოდენობა ინიციატორი ქვეყნისა და მსოფლიო ბანკის შემოსავლების მიხედვით ქვეყნების კლასიფიკაციის გათვალისწინებით



რაც შეეხება სამიზნე ქვეყნებს, როგორც ქვემოთ მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, ყველაზე მეტი ზომა შემოღებულია ჩინეთისა(16) და ინდოეთის (9) მიმართ. ამასთანავე ხაზგასასმელია, რომ სექტორში რეგისტრირებული ყველა ანტიდემპინგური ღონისძიება კერამიკული საფარების და ფილების პროდუქციას მოიცავს, რაც მეტწილად შეესაბამება 23.31 - კერამიკული საფარების და ფილების წარმოებას.

ცხრილი 33. ანტიდემპინგური ღონისძიებების რაოდენობა სამიზნე ქვეყნების მიხედვით

სამიზნე ქვეყანა	რაოდენობა
ჩინეთი	16
ინდოეთი	9
მალაიზია	2
ვიეტნამი	2
ბრაზილია	1
ინდონეზია	1
თურქეთი	1
სულ	32

საქართველოში ამ ინდუსტრიაში ოპერირებს სულ 65 საწარმო, მათგან არცერთი არ არის მსხვილი, 1 საშუალო ზომის, 41 - მცირე ზომის, 23-ის ზომა უცნობია. აღსანიშნავია, რომ 23.31 - ანუ მსოფლიოში თიხის სამშენებლო მასალების მიმართულებით აღძრული უმეტესი საქმეების პოზიციით დასაქმებულია 24 საწარმო, რომელთაგან ყველა მცირე ზომისაა.

ცხრილი 34. ქართული კომპანიების რაოდენობა საქმიანობისა და ზომის მიხედვით, 2023 წელი

NACE-ის კლასი	საქმიანობის სახე	მსხვილი	საშუალო	მცირე	ზომა უცნობია	სულ
23.31	კერამიკული საფარების და ფილების წარმოება	0	0	24	0	24
23.32	აგურის, კრამიტის და სხვა სამშენებლო პროდუქციის წარმოება გამომწვარი თიხისგან	0	1	17	23	41

2021-2023 წლის განმავლობაში თიხისგან სამშენებლო მასალების მწარმოებელი კომპანიების შემოსავლების უმეტესი ნაწილი (92%-94%) მოდის 23.32 - გამომწვარი თიხისგან აგურის, კრამიტის და სხვა სამშენებლო პროდუქციის წარმოებაზე. რაც შეეხება, ბრუნვის ტენდენციას, 2021-2023 წლებში 23.31 პოზიციის საშუალო წლიური ზრდის მაჩვენებელი (31%) ოდნავ მეტია 23.32 პოზიციის საშუალო წლიური ზრდის მაჩვენებელზე (22%), ხოლო ჯამური ბრუნვის საშუალო წლიური ზრდის მაჩვენებელი 23%-ს შეადგენს.

ცხრილი 35. ბრუნვა საქმიანობის სახეების მიხედვით, 2021-2023 წელი (ლარი)

NACE ქვეკლასი	საქმიანობის სახე	2021	2022	2023	ზრდა(CAGR)
23.31.0	კერამიკული საფარების და ფილების წარმოება	402,383	464,675	692,706	31%
23.32.0	აგურის, კრამიტის და სხვა სამშენებლო პროდუქციის წარმოება გამომწვარი თიხისგან	5,106,643	6,984,032	7,617,316	22%
სულ		**5,509,025**	**7,448,707**	**8,310,023**	**23%**

რაც შეეხება მესამე მიმართულებას - განსახილველ სექტორში განხორციელებული იმპორტის ტენდენციების შეფასებას, 2021-2023 წლებში შეინიშნება 23%-იანი საშუალო წლიური ზრდა. იმპორტის აბსოლუტურ უმეტესობას (98,6%) შეადგენს მოსაკირწყლი ფილები, იატაკების,

ღუმელების, ბუხრებისა ან კედლების მოსაპირკეთებელი ფილები კერამიკული მოუჭიქურებელი; კუბურები კერამიკული მოუჭიქურებელი მოზაიკის სამუშაოებისათვის და ანალოგიური ნაწარმი, ფუძეზე ან მის გარეშე (HS 4-თანრიგიანი კოდი - 6907), რაც შეესაბამება NACE კოდის 23.31 პოზიციას. 2023 წელს სექტორში მთლიანმა იმპორტმა 83 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა.

დიაგრამა 26. იმპორტი ძირითადი ექსპორტიორი ქვეყნების მიხედვით, 2023 წელი (აშშ დოლარი)



ექსპორტიორი ქვეყნების თვალსაზრისით, 2023 წლის განმავლობაში განსახილველ სექტორში წამყვანი ადგილი უჭირავს ირანს (34.2%) და ესპანეთს (31.2%), მომდევნო პოზიციებზეა თურქეთი (14.7%) და იტალია (8.0%). დანარჩენ 31 ქვეყნის წილი, რომელთაგან თითოეული მინიმალურ 3%-ზე ნაკლებია, მთლიან იმპორტში შეადგენს 12%-ს. საშუალო წლიური ზრდის მაჩვენებლის მიხედვით, პირველ ადგილზეა ესპანეთი (39.7%) და იტალია (35.0%), ასევე მზარდია დანარჩენი 31 ქვეყნიდან იმპორტი (37.0%). ირანიდან იმპორტის საშუალო წლიური ზრდის მაჩვენებელი შეადგენს 18.0%-ს, ხოლო თურქეთიდან იმპორტი, პირიქით, კლებადია (-0.4%).

ცხრილი 36. იმპორტი ძირითადი ექსპორტიორი ქვეყნების მიხედვით, 2023 წელი (აშშ დოლარი)

ქვეყანა	2021	2022	2023	ზრდა (CAGR)
ირანი	20,365,034	24,875,417	28,370,275	18.0%
ესპანეთი	13,263,316	23,641,064	25,883,680	39.7%
თურქეთი	12,347,427	13,242,031	12,237,563	-0.4%
იტალია	3,646,020	5,162,654	6,643,481	35.0%
დანარჩენი	5,287,535	6,799,282	9,927,157	37.0%
სულ	**54,909,332**	**73,720,448**	**83,062,155**	23.0%

აღსანიშნავია, რომ სექტორში მთლიანი იმპორტის მაჩვენებლები თითქმის ემთხვევა უმთავრესი ნაწილის - მოსაკირწყლი ფილები, იატაკების, ღუმელების, ბუხრებისა ან კედლების მოსაპირკეთებელი ფილები კერამიკული მოუჭიქურებელი; კუბურები კერამიკული მოუჭიქურებელი მოზაიკის სამუშაოებისათვის და ანალოგიური ნაწარმი, ფუძეზე ან მის გარეშე - იმპორტის მაჩვენებლებს. რაც შეეხება საქართველოში ძირითადი ექსპორტიორი ქვეყნების მიმართ ანტიდემპინგური ღონისძიებების არსებობას, მხოლოდ თურქეთის მიმართ არის 1 ზომა გამოყენებული.

დიაგრამა 27. 2023 წლის მონაცემებით ძირითადი ექსპორტიორი ქვეყნების წინააღმდეგ/მიერ შემოღებული ანტიდემპინგური ღონისძიებები



თიხისაგან სამშენებლო მასალების წარმოების სექტორის შეფასების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ანტიდემპინგური ღონისძიებების ძირითადი სამიზნე პროდუქტის ჯგუფის კერამიკული საფარების და ფილების სექტორში ადგილობრივი წარმოების მაჩვენებლები ძალიან დაბალია და ეს სექტორი ძირითადად იმპორტზე არის დამოკიდებული. შესაბამისად, დემპინგური იმპორტის საფრთხე ამ მიმართულებით ადგილობრივი ინდუსტრიისათვის ნაკლებად აქტუალურია. რაც შეეხება, თიხისაგან სამშენებლო მასალების წარმოების მეორე ქვესექტორს აგურის, კრამიტისა და სხვა სამშენებლო პროდუქციის წარმოებას, ეს მიმართულება საერთაშორისო დონეზე შემოღებული ანტიდემპინგური ღონისძიებების კუთხით ნაკლებად საინტერესოა. აღნიშნულ ქვესექტორში რეგისტრირებული მწარმოებლების ბრუნვის მაჩვენებლები მნიშვნელოვნად აღემატება იმპორტირებული საქონლის ღირებულებას. ამასთანავე, 2021-2023 წლებში ადგილობრივი ინდუსტრიის განვითარების დადებითი დინამიკა მიუთითებს, რომ ზიანი არ დაფიქსირებულა.

4.8. თუჯის, ფოლადის და ფეროშენადნობების წარმოება

კვლევის პირველ ეტაპზე შეფასებულ სექტორებს შორის ყველაზე მეტი ანტიდემპინგური ღონისძიება თუჯის, ფოლადის და ფეროშენადნობების წარმოების სექტორზე არის მიმართული. ჯგუფი შეიცავს რკინის მადნების აღდგენას, თუჯის შოთების წარმოებას და კონვერსაციას ფოლადში, ფეროშენადნობებისა და ფოლადის პროდუქტების წარმოებას. მიუხედავად იმისა, რომ ეს სექტორი რამდენიმე მიმართულების საქმიანობას მოიცავს, NACE-ის კლასიფიკატორის მიხედვით არ არის განსაზღვრული ჯგუფის უფრო დეტალური განაწილება და შესაბამისად ქვეკლასების დონეზე დაყოფა. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სექტორში არსებული პროდუქტის სახეობებისა და საწარმოების საქმიანობის სეგრეგაცია სააგენტოს შეფასებით განხორციელდება. იმის გათვალისწინებით, რომ ამ მიმართულებით საქართველოში განვითარებულია წარმოების ორი მიმართულება, ფეროშენადნობებისა და ფოლადის წნელების წარმოება, ანტიდემპინგური ზომების შეფასების პროცესშიც ყურადღება აღნიშნული მიმართულებების სეგრეგირებაზე გამახვილდება.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა, რომელიც ამ სექტორის შეფასებასთან არის დაკავშირებული, NACE კლასიფიკატორის მიხედვით საქმიანობის ზუსტ განსაზღვრასთან არის დაკავშირებული. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე კომპანია 24.1 და 24.2 ჯგუფის საქმიანობას ერთდროულად ეწევა, შესაბამისად მათი საქმიანობა ორივე მიმართულებით არის გასათვალისწინებელი. ამასთანავე გასათვალისწინებელია, რომ 24.2 ჯგუფში დაფიქსირებული ორი მსხვილი საწარმოს ძირითადი საქმიანობა 24.1 ჯგუფის პროდუქტის წარმოებასთან არის

დაკავშირებული, შესაბამისად, სააგენტომ მიზანშეწონილად მიიჩნია, 24.1 სექტორის ადგილობრივი წარმოების ბრუნვის დინამიკის შეფასების პროცესში მათი გათვალისწინება.

ადგილობრივი წარმოების განვითარების შეფასებამდე მნიშვნელოვანია საერთაშორისო დონეზე ამ მიმართულებით არსებული ანტიდემპინგური ღონისძიებების მიმოხილვა. როგორც უკვე აღინიშნა, ფოლადის წარმოება ანტიდემპინგური ზომების ყველაზე ხშირი სამიზნე სექტორია. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემების მიხედვით ამ მიმართულებით შემოღებული ზომების რაოდენობა 525 უტოლდება. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ ღონისძიებები აქტიურად არის გამოყენებული, როგორც მაღალი შემოსავლის, ასევე საშუალოზე მაღალი და დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნებში. ყველაზე აქტიური ინიციატორი ქვეყანა აშშ პასუხისმგებელია 105 ანტიდემპინგურ ღონისძიებაზე. მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნებიდან, ასევე მნიშვნელოვანია კანადის, ევროკავშირის და ავსტრალიის აქტიურობა. რაც შეეხება საქართველოს მსგავსი შემოსავლების მქონე ჯგუფის ქვეყნების აქტივობას, ამ ჯგუფის ქვეყნების მიერ შემოღებულია 184 ანტიდემპინგური ღონისძიება (მთლიანი ღონისძიებების 35%). ყველაზე მეტი ანტიდემპინგური ღონისძიება გამოყენებულია ტაილანდის, მექსიკისა და მალაიზიის მიერ.

დიაგრამა 28. ანტიდემპინგური ღონისძიებების რაოდენობა ინიციატორი ქვეყნისა და მსოფლიო ბანკის შემოსავლებით მიხედვით ქვეყნების კლასიფიკაციის გათვალისწინებით



მსოფლიოში შემოღებული ანტიდემპინგური ღონისძიებების სამიზნე ქვეყნების შეფასების შედეგად ვლინდება, რომ ფოლადის წარმოების დარგში ყველაზე აქტიურად ანტიდემპინგური ზომები ჩინეთის წინააღმდეგ არის გამოყენებული. ქვეყნის წინააღმდეგ შემოღებულია 135 ზომა, რაც მთლიანი ზომების 20%-ს აღემატება. ასევე, სამიზნე ქვეყნებს შორის იკვეთება აზიის ქვეყნების მნიშვნელობა, მათ შორის სამხრეთ კორეის, ტაივანის, იაპონიისა და სხვა. დამატებით მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ ამ სექტორში შემოღებული ზომების სამიზნე ქვეყნებში ჩვენი რეგიონიდან უკრაინისა და რუსეთის მნიშვნელობა იკვეთება, მათ წინააღმდეგ შემოღებული 37 და 23 ანტიდემპინგური ღონისძიებით.

ცხრილი 37. შემოღებული ანტიდემპინგური ღონისძიებების რაოდენობა სამიზნე ქვეყნების მიხედვით

სამიზნე ქვეყანა	ანტიდემპინგური ღონისძიებების რაოდენობა
ჩინეთი	135
სამხრეთ კორეა	54
ტაივანი	37
უკრაინა	37
იაპონია	29
რუსეთის ფედერაცია	23
ვიეტნამი	21
ინდოეთი	19
ინდონეზია	17
თურქეთი	13
ბრაზილია	13
დანარჩენი	127

პროდუქტის ჯგუფების მიხედვით ანტიდემპინგური ღონისძიებების შეფასებისას იკვეთება, რომ ყველაზე აქტიურად ფოლადის ბრტყელი პროდუქტები ხდება მათი სამიზნე. ასევე აქტიურად იყენებენ ანტიდემპინგურ ღონისძიებებს ფოლადის გრძელი პროდუქტების ქვეჯგუფშიც, რაც მოიცავს ფოლადის წნელებსა და კუთხოვანები, ფასონური ან სპეციალური პროფილების მქონე პროდუქტებს. შედარებით მცირეა ფეროშენადნობების წილი შემოღებული ანტიდემპინგური ღონისძიებების რაოდენობაში. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემთა ბაზაში წარმოდგენილი 525 ზომიდან მხოლოდ 32 ღონისძიებაა მიმართული ამ სექტორზე.

დიაგრამა 29. ანტიდემპინგურ ღონისძიებების რაოდენობა პროდუქტის სახეობის მიხედვით



რაც შეეხება ადგილობრივი წარმოების ბრუნვის მაჩვენებლების შეფასებას, როგორც უკვე აღინიშნა რამდენიმე ეკონომიკური სუბიექტის საქმიანობა განსაზღვრულია 24.2 NACE-ის კლასიფიკაციის ჯგუფის კოდით, თუმცა მათი წარმოების დიდი ნაწილი ფოლადის წნელების წარმოებაზე არის მიმართული და შესაბამისად, 24.1 ჯგუფის საქმიანობაში მოიაზრება. 24.2 ჯგუფში რეგისტრირებულია 10 ეკონომიკური სუბიექტი, 2 მსხვილი ზომისაა, ერთი საშუალო და დანარჩენები მცირე და უცნობის ზომის სუბიექტები არიან. ფოლადის ადგილობრივი წარმოების სწორად შეფასების მიზნით კვლევის პროცესში შევისწავლეთ წარმოდგენილი კომპანიების საქმიანობები, რის საფუძველზეც გამოვლინდა, რომ ორი მსხვილი და ერთი მცირე საწარმოს ძირითადი საქმიანობა ფოლადის წნელების წარმოებას მოიცავდა. შესაბამისად, აღნიშნული კომპანიების მაჩვენებლები გავითვალისწინეთ 24.1 სექტორის მდგომარეობის შეფასების ნაწილშიც. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, სექტორში რეგისტრირებული ეკონომიკური

სუბიექტების რაოდენობა ზომების მიხედვით, ასევე ითვალისწინებს ზემოთ ხსენებულ სამ კომპანიას. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ბიზნეს რეგისტრის მიხედვით 24.1 სექტორში რეგისტრირებულია 6 მსხვილი საწარმო, 8 საშუალო საწარმო და 35 მცირე და უცნობის ზომის ეკონომიკური სუბიექტები. დამატებით, 24.2 ჯგუფის საწარმოების გათვალისწინებით, ფეროშენადნობების წარმოების სექტორში 5 მსხვილი და 6 საშუალო ზომის საწარმო ოპერირებს, ხოლო ფოლადის წნელების წარმოების მიმართულებით 3 მსხვილი საწარმო ოპერირებს.

იმის გათვალისწინებით, რომ NACE-ის კლასიფიკატორის მიხედვით აღნიშნულ ჯგუფში ქვეკლასები არ არის განსაზღვრული, იდენტიფიცირებული ეკონომიკური სუბიექტების საქმიანობის სახეების შეფასებისათვის 2023 წლის ბრუნვის მიხედვით ტოპ 15 კომპანია შეირჩა, რომელთა წილი მთლიან ბრუნვაში 99%-ს აღწევდა. 38-ე ცხრილში წარმოდგენილი განაწილება ამ 15 კომპანიის საქმიანობას ეფუძნება. წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით იკვეთება, რომ რეგისტრირებული სუბიექტებისათვის დამახასიათებელია ბრუნვის კლებადი ტენდენცია. 2021-2023 წლების პერიოდში ფეროშენადნობების წარმოების სექტორის ბრუნვა საშუალო წლიურად 21% მცირდებოდა, ხოლო ფოლადის წარმოების სექტორში 13%-იანი კლება ფიქსირდებოდა. ამასთანავე, ხაზგასასმელია, რომ 2023 წელს ფეროშენადნობების წარმოების წილი სექტორის მთლიან ბრუნვაში 70%-ს შეადგენდა, ხოლო ფოლადის წარმოების სექტორი 29%-ს.

ცხრილი 38. ბრუნვა საქმიანობის სახეების მიხედვით, 2021-2023 წლები (ლარი)

საქმიანობის სახე	2021	2022	2023	ზრდა (CAGR)
ფეროშენადნობები	2,203,698,313	2,257,559,298	1,376,664,304	-21%
ფოლადის წარმოება	748,424,668	739,420,015	571,570,693	-13%
სხვა	13,688,158	50,681,923	25,365,620	36%
სულ	2,965,811,139	3,047,661,237	1,973,600,617	-18%

აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილ ქვესექტორებში ბრუნვის კლების ტენდენცია, ადგილობრივ ინდუსტრიაში არსებულ გამოწვევებზე მიგვანიშნებს. ამასთანავე, ფოლადისა და ფეროშენადნობების წარმოების სექტორი ანტიდემპინგური ღონისძიებების აქტიური სამიზნეც არის. შესაბამისად, სექტორის დემპინგური იმპორტის მიმართ მოწყვლადობის შეფასების შემდეგი ეტაპი, იმპორტის დინამიკისა და ექსპორტიორი ქვეყნების შეფასებას საჭიროებს.

პირველ რიგში ხაზგასასმელია, რომ სექტორში იმპორტირებული პროდუქტის მცირე 3%-იანი წილია მხოლოდ მიმართული თუჯისა და ფეროშენადნობების პირველადი პროდუქციის იმპორტზე. შესაბამისად, მიუხედავად იმპორტის საშუალო წლიური ზრდის მაღალი მაჩვენებლებისა, სექტორი დემპინგური იმპორტის მიმართ ნაკლებად არის მოწყვლადი.

რაც შეეხება ფოლადის წარმოების სექტორს, ამ მიმართულებით დაფიქსირებული ზრდის ტენდენცია, დანარჩენ ორ განზომილებაში დაფიქსირებულ ტენდენციებთან ერთად დამატებითი შეფასების საჭიროებაზე მიუთითებს. 39-ე ცხრილის მიხედვით ვლინდება, რომ 2021-2023 წლებში იმპორტის ღირებულება ფოლადის წარმოების სექტორში საშუალო წლიურად 10%-ით იზრდებოდა. ამასთანავე ხაზგასასმელია, რომ 2022 წელთან შედარებით, აღნიშნული მაჩვენებლის კლება ფიქსირდება, რაც პროდუქტების დონეზე იმპორტის შეფასების საჭიროებაზე მიუთითებს.

ცხრილი 39. იმპორტი პროდუქტის სახეობების მიხედვით, 2023 წელი (აშშ დოლარი)

პროდუქტის ჯგუფები	2021	2022	2023	ზრდა (CAGR)
თუჯისა და ფეროშენადნობების წარმოება	3,485,245	20,431,178	12,017,870	86%
ფოლადის წარმოება	300,368,669	419,506,856	363,553,243	10%

2022-2023 წლებში პროდუქტის დონეზე იმპორტის დინამიკის შეფასება მიზნად ისახავს თანმიმდევრული ზრდის ტენდენციის მქონე პროდუქტების იდენტიფიცირებას. როგორც 30-ე დიაგრამის მიხედვით იკვეთება, 2022-2023 წლებში, იმპორტის მოცულობის კლების ფონზე მხოლოდ ფოლადის წნელების პროდუქტის ჯგუფში ფიქსირდება 14%-იანი ზრდა. დანარჩენ პროდუქტის ჯგუფებში 2021-2023 წლების პერიოდში ზრდის მიუხედავად, 2022 წელთან შედარებით იმპორტის მაჩვენებლები შემცირებულია.

დიაგრამა 30. იმპორტი პროდუქტის სახეობების მიხედვით, 2022-2023 წლები (ათასი აშშ დოლარი)



დამატებით, მნიშვნელოვან ინდიკატორს ქვეყნების მიხედვით იმპორტის ტენდენციების შეფასება წარმოადგენს. იმის გათვალისწინებით, რომ შესაძლო დემპინგური იმპორტისა და ზიანის კუთხით აქტუალურ ქვესექტორად ფოლადის წარმოება გამოიკვეთა, ამ ნაწილში ფოლადის ნაწარმის იმპორტზე გავამახვილებთ ყურადღებას. 2023 წლის მონაცემებით, ფოლადის პროდუქციის ძირითად ექსპორტიორებს რუსეთი, ირანი, ჩინეთი, თურქეთი და აზერბაიჯანი წარმოადგენდნენ. წამყვან ქვეყნებს ბაზარზე რუსეთი და ირანი წარმოადგენენ, მთლიან იმპორტში 26%-იანი და 23%-იანი წილებით. რაც შეეხება იმპორტის განვითარების ტენდენციას, ცხრილი 40-ის მიხედვით იკვეთება, რომ ყველაზე სწრაფი საშუალო წლიური ზრდის ტემპი რუსეთისა და ირანის შემთხვევაში ფიქსირდება. სხვა ქვეყნებთან შედარებით, ასევე მზარდია ჩინეთიდან იმპორტირებული საქონლის ღირებულება. რაც შეეხება იმპორტირებული პროდუქტის ჯგუფებს, 2021-2023 წლებში, ფოლადის წნელების მიმართულებით რუსეთიდან იმპორტი 55 მლნ აშშ დოლარით, ხოლო ირანიდან იმპორტი 34 მლნ აშშ დოლარით არის გაზრდილი. ჩინეთიდან იმპორტის ზრდა კი ძირითადად ბრტყელი ნაგლინის პროდუქტის ჯგუფში არის დაფიქსირებული.

ცხრილი 40. იმპორტის ზრდი/კლების ტენდენცია ექსპორტიორი ქვეყნის მიხედვით, 2021-2023 წლები (აშშ დოლარი)

ქვეყანა	2021	2022	2023	ზრდა (CAGR)
ფოლადის წარმოების მიმართულება				
რუსეთი	31,372,759	85,352,465	93,767,255	73%
ირანი	34,331,165	58,103,586	82,219,374	55%
ჩინეთი	44,587,903	67,382,897	62,181,393	18%
თურქეთი	69,432,965	88,909,346	58,077,901	-9%
აზერბაიჯანი	32,864,650	50,414,740	34,950,159	3%
დანარჩენი	87,779,227	69,343,821	32,357,162	-39%
სულ	300,368,669	419,506,856	363,553,243	10%
7214 - წნელები რკინის ან არალეგირებული ფოლადისაგან				
რუსეთი	2,680,577	36,140,744	57,933,732	365%
ირანი	3,886,762	19,803,987	39,143,341	217%
აზერბაიჯანი	30,730,449	49,418,193	32,248,278	2%
თურქეთი	18,174,992	11,751,054	6,784,836	-39%
დანარჩენი	18,807,510	1,829,729	34,746	-96%
სულ	74,280,290	118,943,707	136,144,934	35%

სექტორის შეფასების ბოლო ეტაპზე მნიშვნელოვანია ძირითადი ექსპორტიორი ქვეყნების წინააღმდეგ შემოღებული ანტიდემპინგური ღონისძიებების მიმოხილვა. ამ კუთხით ხაზგასასმელია, რომ იმპორტის მაჩვენებლების მსგავსად შესაფასებელ ქვეყნებს შევარჩევთ ფოლადის წარმოების ქვესექტორის დონეზე. როგორც უკვე აღინიშნა, ამ მიმართულებით ძირითად ექსპორტიორ ქვეყნებს რუსეთი, ირანი და ჩინეთი წარმოადგენენ. ჩინეთის წინააღმდეგ 126 ანტიდემპინგური ღონისძიება, რუსეთის - 21 ანტიდემპინგური ღონისძიება, ხოლო ირანის წინააღმდეგ 3 ანტიდემპინგური ღონისძიებაა დაფიქსირებული.

დიაგრამა 31. 2023 წლის მონაცემებით ძირითადი ექსპორტიორი ქვეყნების წინააღმდეგ შემოღებული ანტიდემპინგური ღონისძიებები



დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო დონეზე ფოლადის ინდუსტრიის სექტორში ანტიდემპინგური ღონისძიებების აქტიური გამოყენებისა და განსაკუთრებით ამ სექტორში საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნორების წინააღმდეგ ღონისძიებების შემოღების ტენდენცია შესაძლო დემპინგური იმპორტის საფრთხის მანიშნებელია. ამასთანავე გასათვალისწინებელია, რომ ადგილობრივი წარმოების ბრუნვისა და იმპორტის მაჩვენებლების შეფასების საფუძველზე იკვეთება, რომ თუჯისა და ფეროშენადნობების წარმოების სექტორისათვის იმპორტირებული პროდუქტის წილი შედარებით უმნიშვნელოა. ამასთანავე, ფოლადის მწარმოებელი კომპანიების მაჩვენებლების მიხედვით, 2021-2023 წლებში

ადგილობრივი ინდუსტრიის მაჩვენებლების გაუარესების პარალელურად, ფოლადის წნელების პროდუქტის იმპორტის ზრდის საფუძველზე, მზარდია მთლიანი ქვესექტორის იმპორტირებული პროდუქტის რაოდენობა. აღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოდგენილი სექტორი საჭიროებს შემდგომ შეფასებას შესაძლო დემპინგური იმპორტის საფრთხის მიმართულებით.

4.9. ლითონის სხვა მზა პროდუქტის წარმოება

ლითონის სხვა პროდუქტის წარმოების (NACE კოდი 25.9) სექტორი მოიცავს ლითონის სხვადასხვა პროდუქტების წარმოებას, მათ შორის ბიდონების, ლურსმნების, ჭანჭიკების, ქანჩების, ლითონის საყოფაცხოვრებო დანიშნულების სამარჯვების, ფიტინგების, გემების ხრახნებისა და ღუზების, რკინიგზის ლიანდაგის სამაგრებისა და სხვა საყოფაცხოვრებო და სამრეწველო დანიშნულების პროდუქტებს. როგორც სხვა შერჩეული სექტორების შემთხვევაში, კვლევის პირველ ეტაპზე NACE კლასიფიკაციის ჯგუფის დონეზე განხორციელებული შეფასების შედეგად გამოიკვეთა სექტორში იდენტიფიცირებული კლასების დონეზე არსებული მდგომარეობის შეფასების საჭიროება.

ლითონის სხვა პროდუქტების წარმოების ჯგუფი 4 ძირითად მიმართულებას მოიცავს, მათ შორის არის: ლითონის კასრების და მსგავსი ტევადობების წარმოება (25.91); მსუბუქი ლითონის საფუთავების წარმოება(25.92); მავთულის ნაწარმის, ჯაჭვების და ზამბარების წარმოება (25.93); სამაგრების და ხრახნსაჭრელი ჩარხების ნაკეთობების წარმოება (25.94) და სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი ლითონის სხვა მზა ნაკეთობების წარმოება (25.990). სექტორში შესაძლო დემპინგური იმპორტისა და ზიანის საფრთხის შეფასებისას სწორად NACE კლასიფიკაციის წარმოდგენილი ქვეკლასები გამოვიყენეთ.

პირველ რიგში, ხაზგასასმელია, რომ აღნიშნული სექტორი საერთაშორისო დონეზე ანტიდემპინგური ღონისძიებების ხშირი სამიზნეა. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ვაჭრობაში დაცვითი ზომების მონაცემთა ბაზის მიხედვით, 2020 წლისათვის აქტიური და ამ პერიოდის შემდგომ შემოღებული ღონისძიებების რაოდენობამ 129 შეადგინა. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ სექტორში ანტიდემპინგურ ღონისძიებებს ძირითადად მაღალი შემოსავლისა და საშუალოზე მაღალი შემოსავლის ქვეყნები მიმართავენ. როგორც დიაგრამა 32-ის მიხედვით იკვეთება, ყველაზე მეტი ღონისძიება გამოყენებულია აშშ-ს მიერ, შემდეგ მოდის მექსიკა, მესამე ადგილს კი, თურქეთი, ავსტრალია და ევროკავშირი ინაწილებენ. მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმაც, რომ აღნიშნულ სექტორში ანტიდემპინგური ღონისძიებები, თურქეთთან ერთად, გამოყენებული აქვს რეგიონის სხვა ქვეყნებსაც, მათ შორის სომხეთს, რუსეთსა და უკრაინას.

დიაგრამა 32. ანტიდემპინგური ღონისძიებების რაოდენობა ინიციატორი ქვეყნისა და მსოფლიო ბანკის შემოსავლებით მიხედვით ქვეყნების კლასიფიკაციის გათვალისწინებით



ლითონის სხვა პროდუქტის ნაწარმის მიმართულებით შემოღებული ანტიდემპინგური ღონისძიებების სამიზნე ქვეყნებს შორის წამყვან პოზიციაზე ჩინეთია, რომელზეც მთლიანი ზომების ნახევარზე მეტი მოდის. დანარჩენი ქვეყნებიდან აღსანიშნავია სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებზე, ასევე გერმანიისა და გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ შემოღებული ღონისძიებები.

ცხრილი 41. შემოღებული ანტიდემპინგური ღონისძიებების რაოდენობა სამიზნე ქვეყნების მიხედვით

სამიზნე ქვეყანა	**ანტიდემპინგური ღონისძიებების რაოდენობა**
ჩინეთი	72
მალაიზია	8
ტაივანი	7
გერმანია	6
გაერთიანებული სამეფო	6
ტაილანდი	4
ვიეტნამი	4
ინდოეთი	3
კორეის რესპუბლიკა	2
მექსიკა	2
რუსეთი	2
სამხრეთ აფრიკა	2
დანარჩენი	11
სულ	129

ქვეყნების მიხედვით, ანტიდემპინგური ღონისძიებების შეფასებასთან ერთად, ასევე მნიშვნელოვანია პროდუქტების ჯგუფების მიხედვით მსოფლიოში გამოყენებული ანტიდემპინგური ღონისძიებების განხილვა. დიაგრამა 33-ის მიხედვით ყველაზე აქტიურად

აღნიშნული ზომები გამოყენებულია მავთულების ნაწარმის, ჯაჭვებისა და ზამბარების, ასევე სხვა დაჯგუფებებში გაუთვალისწინებელი ლითონის სხვა ნაკეთობების მიმართულებით. ლითონის სხვა მზა ნაკეთობების ჯგუფში წარმოდგენილი ზომები ძირითადად მიმართულია საყოფაცხოვრებო დანიშნულების ლითონის ნაკეთობებისა და სამშენებლო დანიშნულების ნაწარმზე.

ზემოთ ხსენებული ორი პროდუქტის ჯგუფთან შედარებით, უმნიშვნელოა დანარჩენ ქვესექტორებში გამოყენებული ანტიდემპინგური ღონისძიებების რაოდენობა. შესაბამისად, დემპინგური იმპორტისა და ზიანის მიმართულებით შესაძლო საფრთხის შეფასებისთვის ყურადღებას იდენტიფიცირებულ ორ ქვეკლასზე გავამახვილებთ.

დიაგრამა 33. ანტიდემპინგურ ღონისძიებების რაოდენობა პროდუქტის სახეობის მიხედვით



ადგილობრივი ინდუსტრიის მიმართულებით, ლითონის სხვა მზა პროდუქტების წარმოების სექტორში რეგისტრირებული საწარმოების საქმიანობის შესწავლის საფუძველზე, გამოიკვეთა, რომ ყველაზე მსხვილი კომპანიების საქმიანობა მომსახურების მიწოდებასაც მოიცავს. მაგალითად ელექტრო და მექანიკური მოწყობილობების მონტაჟის, მოწყობილობების შეკეთების, ტექნიკური მომსახურებისა და მათთან დაკავშირებული მომსახურებების მიმართულებით. შესაბამისად, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით, სააგენტომ შეისწავლა შედარებით დიდი საწარმოების საქმიანობა და რეგისტრირებული საწარმოების რაოდენობიდან და ბრუნვის მაჩვენებლებიდან გამორიცხა ის სუბიექტები, რომელთა ძირითად საქმიანობა სერვისის მიწოდებასთან იყო დაკავშირებული. 25.99 ქვეკლასში რეგისტრირებული მსგავსი ტიპის სამი საშუალო ზომის საწარმო გამოიკვეთა.

რაც შეეხება ადგილობრივი ინდუსტრიის მაჩვენებლებს, ცხრილი 42-ში წარმოდგენილია საწარმოთა ზომებისა და საქმიანობის სახეების მიხედვით სექტორში რეგისტრირებული ეკონომიკური სუბიექტების გადანაწილება. გასათვალისწინებელია, რომ სექტორში ოპერირებს მხოლოდ ორი საშუალო საწარმო (5 გაფილტრულ საწარმოებთან ერთად) და 293 მცირე ზომის ეკონომიკური სუბიექტი. ამასთანავე ხაზგასასმელია, რომ კომპანიების უმრავლესობა საქმიანობს ლითონის სხვა მზა ნაკეთობების წარმოების ქვესექტორში, სადაც საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით ჯამში რეგისტრირებულია 241 ეკონომიკური სუბიექტი. ასევე, შედარებით მაღალია აქტიურობა მავთულების წარმოების მიმართულებით, სადაც 49 მცირე და 1 საშუალო ზომის ეკონომიკური სუბიექტია დარეგისტრირებული.

ცხრილი 42. კომპანიების რაოდენობა საქმიანობისა და ზომის მიხედვით, 2023 წელი

NACE-ის კლასი	საქმიანობის დასახელება	საშუალო	მცირე	ზომა უცნობია	სულ
25.91	ლითონის კასრების და მსგავსი ტევადობების წარმოება		11		11
25.92	მსუბუქი ლითონის საფუთავების წარმოება		1	2	3
25.93	მავთულის ნაწარმის, ჯაჭვების და ზამბარების წარმოება	1	49	2	52
25.94	სამაგრების და ხრახნსაჭრელი ჩარხების ნაკეთობების წარმოება		13	1	14
25.99	ლითონის სხვა მზა ნაკეთობების წარმოება, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველის	1	219	21	241

რეგისტრირებული საწარმოების გადანაწილების მსგავსია ქვესექტორების დონეზე დაფიქსირებული ბრუნვის მაჩვენებლები. 2023 წლის მონაცემებით, ყველაზე დიდი 57%-იანი წილი ბაზარზე ლითონის მზა ნაკეთობების წარმოების სექტორში ფიქსირდება, შემდეგ კი მავთულების ნაწარმის სექტორი მოდის, რომლის ბრუნვის წილიც მთლიან ბაზარზე 41%-ს შეადგენს. დანარჩენი სექტორების წილები უმნიშვნელოა. ამასთანავე გასათვალისწინებელია, რომ ლითონის სხვა მზა ნაწარმის სექტორი ზრდის საკმაოდ მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა, რაც ზიანის მიმართულებით მოწყვლადობის ნაკლებ სავარაუდოს ხდის. რაც შეეხება მავთულების ნაწარმის ქვესექტორში რეგისტრირებული საწარმოების ბრუნვის მაჩვენებლებს, მათი ყოველწლიური საშუალო ზრდის ტემპი შედარებით ნელია და 2021-2023 წლებში 4% შეადგინა, რაც შესაძლოა ადგილობრივი წარმოების წინაშე მდგარი სირთულეების მანიშნებელი იყოს.

ცხრილი 43. ბრუნვა საქმიანობის სახეების მიხედვით, 2021-2023 წლები (ლარი)

NACE კოდი	საქმიანობის დასახელება	2021	2022	2023	ზრდა (CARG)
25.91	ლითონის კასრების და მსგავსი ტევადობების წარმოება	499,133	694,998	549,301	5%
25.92	მსუბუქი ლითონის საფუთავების წარმოება	-	-	-	
25.93	მავთულის ნაწარმის, ჯაჭვების და ზამბარების წარმოება	33,520,314	26,700,372	36,210,472	4%
25.94	სამაგრების და ხრახნსაჭრელი ჩარხების ნაკეთობების წარმოება	961,433	1,140,100	1,212,536	12%
25.99	ლითონის სხვა მზა ნაკეთობების წარმოება, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველის	22,808,023	32,929,967	50,425,915	49%
25.9		**57,788,903**	**61,465,437**	**88,398,224**	24%

ლითონის სხვა პროდუქტის წარმოების სექტორში შესაძლო დემპინგური იმპორტისა და ზიანის შეფასების ბოლო ეტაპზე, ასევე საჭიროა იმპორტის ტენდენციების განხილვა, როგორც პროდუქტის სახეობების, ასევე ძირითადი ექსპორტიორი ქვეყნებისა და მათ წინააღმდეგ გამოყენებული ანტიდემპინგური ღონისძიებების მიხედვით. დიაგრამა 34-ში წარმოდგენილია

პროდუქტის ჯგუფების მიხედვით იმპორტირებული საქონლის ღირებულება და წილი მთლიან იმპორტში. 2023 წლის მონაცემებით, სექტორში განხორციელებული იმპორტის ნახევარი ლითონის სხვა მზა ნაკეთობებზე (25.99) მოდის, რაც ძირითადად საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვადასხვა პროდუქციას მოიცავს. დანარჩენი სექტორების იმპორტის წილები 9%-დან 15%-მდე მერყეობს. აღნიშნულ სექტორში ანტიდემპინგური ღონისძიებებისა და ადგილობრივი ბრუნვის ტენდენციების გათვალისწინებით იდენტიფიცირებულ მავთულების ნაწარმის, ჯაჭვებისა და ზამბარების ქვესექტორში, 2023 წელს იმპორტმა 32 მლნ აშშ დოლარამდე შეადგინა, რაც მნიშვნელოვნად აღემატება ადგილობრივი ინდუსტრიის ბრუნვის მაჩვენებლებს.

დიაგრამა 34. იმპორტი პროდუქტის სახეობების მიხედვით, 2023 წელი (აშშ დოლარი)



მავთულების, ჯაჭვებისა და ზამბარების ნაწარმის იმპორტის დინამიკის მიმართულებით, მნიშვნელოვანი ზრდა 2021-2022 წლებში თურქეთიდან და ჩინეთიდან განხორციელებული იმპორტის მაჩვენებლებში ვლინდება. თურქეთიდან იმპორტირებული საქონლის ღირებულება 14.4 მლნ აშშ დოლარიდან 16.2 მლნ აშშ დოლარამდე გაიზარდა, თუმცა 2023 წლისათვის ეს მაჩვენებელი 14,6 მლნ აშშ დოლარამდე შემცირდა, რის საფუძველზეც 2021-2023 წლებში ქვეყნიდან იმპორტირებული პროდუქტის საშუალო წლიური ზრდის მაჩვენებლის უმნიშვნელო 1%-იანი ზრდა დაფიქსირდა. რაც შეეხება ჩინეთიდან განხორციელებული იმპორტის ღირებულებას 2021-2023 წლების საშუალო წლიური ზრდის მაჩვენებელი 6%-ია, თუმცა 2022-2023 წლებში იმპორტის ღირებულება 1.9 მლნ აშშ დოლარით არის შემცირებული. მავთულის ნაწარმის, ჯაჭვების და ზამბარების წარმოების სექტორში მნიშვნელოვნად არის გაზრდილი რუსეთიდან და ინდოეთიდან იმპორტირებული საქონლის ღირებულება. რის საფუძველზეც ქვესექტორის მთლიან იმპორტში რუსეთის და ინდოეთის წილი, 11%-მდე გაიზარდა.

რაც შეეხება ლითონის სხვა მზა ნაკეთობების ნაწარმის იმპორტის ამ მიმართულებით 2021-2023 წლებში იმპორტის სტაბილური მატება ფიქსირდება, 23%-იანი საშუალო წლიური ზრდის მაჩვენებლით. ქვეყნების დონეზე მკვეთრად, 13 მლნ აშშ დოლარით არის გაზრდილი ჩინეთიდან იმპორტირებული საქონლის ღირებულება, ასევე მაღალი ზრდა ფიქსირდება თურქეთიდან იმპორტირებული პროდუქტის ღირებულებაში და 2021 წელს დაფიქსირებული 17,3 მლნ აშშ დოლარიდან, 2023 წლისათვის ეს მაჩვენებელი 27.3 მლნ აშშ დოლარს აღწევს. დანარჩენი ქვეყნების შემთხვევაში დაფიქსირებული დადებითი ტენდენციის მიუხედავად მათი წილები შედარებით მცირეა ქვესექტორის მთლიან იმპორტში.

ცხრილი 44. იმპორტის ზრდი/კლების ტენდენცია ექსპორტიორი ქვეყნის მიხედვით, 2021-2023 წლები (აშშ დოლარი)

ქვეყანა	2021	2022	2023	ზრდა (CAGR)
25.9 ლითონის სხვა მზა პროდუქტის წარმოება				
თურქეთი	52,101,221	62,765,643	70,057,506	16%
ჩინეთი	27,887,822	41,492,784	45,435,329	28%
რუსეთი	15,007,694	22,803,335	17,822,598	9%
უკრაინა	21,108,475	14,731,394	15,657,369	-14%
იტალია	7,451,521	8,765,274	9,272,344	12%
გერმანია	3,218,723	4,501,170	5,938,372	36%
ესპანეთი	2,042,602	3,912,685	5,265,527	61%
დანარჩენი	18,898,404	37,680,820	38,412,980	43%
მსოფლიო	147,716,461	196,653,106	207,862,025	19%
25.93 მავთულის ნაწარმის, ჯაჭვების და ზამბარების წარმოება				
თურქეთი	14,369,327	16,233,122	14,619,816	1%
ჩინეთი	4,565,209	7,002,724	5,163,146	6%
რუსეთი	756,571	743,276	3,518,346	116%
ინდოეთი	5,947	5,402,817	3,484,268	2321%
დანარჩენი	5,390,789	5,848,803	5,199,360	-2%
მსოფლიო	25,087,843	35,230,743	31,984,937	13%
25.99 ლითონის სხვა მზა ნაკეთობების წარმოება, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველის				
ჩინეთი	16,547,475	22,059,600	29,726,912	34%
თურქეთი	17,326,648	26,046,564	27,310,656	26%
იტალია	6,158,860	7,655,392	7,999,380	14%
რუსეთი	5,798,489	8,647,612	6,953,849	10%
ესპანეთი	1,604,075	3,179,216	4,411,195	66%
უკრაინა	7,932,051	4,256,906	3,656,473	-32%
გერმანია	1,548,957	2,230,891	3,446,062	49%
დანარჩენი	11,377,490	13,808,795	20,143,928	33%
მსოფლიო	68,294,045	87,884,975	103,648,455	23%

ლითონის ნაწარმის სექტორის შეფასების ბოლო ეტაპზე განსაზღვრულ პროდუქტის ჯგუფებში ძირითადი ექსპორტიორი ქვეყნების წინააღმდეგ შემოღებულ ანტიდემპინგურ ღონისძიებებს განვიხილავთ. როგორც 35-ე დიაგრამის მიხედვით იკვეთება მავთულების, ჯაჭვებისა და ზამბარების ნაწარმის სექტორში ძირითადი იმპორტიორი ქვეყნის - თურქეთის წინააღმდეგ გამოყენებულია მხოლოდ 1 ანტიდემპინგური ღონისძიება. ამასთანავე, ანტიდემპინგური ღონისძიებები, ასევე გამოყენებულია დანარჩენი ორი წამყვანი ექსპორტიორი ქვეყნის ჩინეთისა და რუსეთის წინააღმდეგ.

როგორც უკვე აღინიშნა, ჩინეთი აღნიშნული ზომების ყველაზე აქტიურ სამიზნე ქვეყანას წარმოადგენს. შესაბამისად, როგორც 25.93 ქვესექტორში ასევე 25.99 ქვესექტორში ჩინეთის წინააღმდეგ შემოღებული ზომების რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება დანარჩენი ქვეყნების მაჩვენებლებს. ლითონის სხვა მზა ნაკეთობების წარმოების მიმართულებით, ასევე გასათვალისწინებელია, რომ ძირითად ექსპორტიორ ქვეყნებში ანტიდემპინგური ღონისძიებები მხოლოდ ჩინეთის წინააღმდეგ არის გამოყენებული, რომელიც ამავდროულად იმპორტის ბაზრის ყველაზე დიდი წილის მფლობელია.

დიაგრამა 35. ძირითადი ექსპორტიორი ქვეყნების წინააღმდეგ შემოღებული ანტიდემპინგური ღონისძიებები



შეჯამების სახით, პირველ რიგში ხაზგასასმელია, რომ სექტორში ანტიდემპინგური ღონისძიებების გამოყენება დამახასიათებელია, როგორც საქართველოს მსგავსი შემოსავლების ჯგუფის ქვეყნებისათვის, ასევე ჩვენი რეგიონის ქვეყნებისათვის, რაც შესაძლოა ამ მიმართულებით საქართველოში სექტორის აქტუალობის მანიშნებელი იყოს. დამატებით, გასათვალისწინებელია, რომ მსოფლიოში გამოყენებული ანტიდემპინგური ღონისძიებების გათვალისწინებით ორი ქვესექტორის აქტუალობა გამოიკვეთა: მავთულების ნაწარმის, ჯაჭვებისა და ზამბარების; და სხვა დაჯგუფებებში გაუთვალისწინებელი ლითონის სხვა ნაკეთობების ქვესექტორები.

ასევე, ყურადსაღებია, რომ ადგილობრივი წარმოებაც სწორად აღნიშნულ ორ ქვეკლასზე არის მიმართული და 2023 წლის მონაცემებით, ყველაზე დიდი 57%-იანი წილი ბაზარზე ლითონის მზა ნაკეთობების წარმოების ქვესექტორში და 41%-იანი წილი მავთულების ნაწარმის ქვესექტორში დაფიქსირდა. 2021-2023 წლებში ადგილობრივი ინდუსტრიის განვითარების მაჩვენებლების გათვალისწინებით, ლითონის სხვა მზა ნაწარმების სექტორი ზრდის შედარებით მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა, მაშინ როდესაც შედარებით მცირეა მავთულების ნაწარმის ქვესექტორში რეგისტრირებული საწარმოების ბრუნვის საშუალო წლიური ზრდის მაჩვენებელი, რომელიც 4%-ს შეადგენს. წინამდებარე კვლევის სხვა მიმართულებებით დაფიქსირებული დემპინგური იმპორტის საფრთხის შემთხვევაში, შესაძლოა ადგილობრივი ინდუსტრიის ზიანის მანიშნებელი იყოს.

რაც შეეხება იმპორტის მაჩვენებლებს, 2021-2022 წლებში მავთულის ნაწარმის, ჯაჭვების და ზამბარების წარმოების მიმართულებით იმპორტის 10 მლნ ლარამდე ზრდის შემდეგ, 2023 წელს იმპორტის მაჩვენებლები მცირდება. მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი ექსპორტიორები ამ მიმართულებით ანტიდემპინგური ღონისძიების სამიზნე ქვეყნებს წარმოადგენენ, 2022-2023

წლებში იმპორტის კლებისა და ადგილობრივი წარმოების ზრდის ფონზე ნაკლებად აქტუალურს ხდის შესაძლო დემპინგური იმპორტის საფრთხეს ამ სექტორში. რაც შეეხება ლითონის სხვა მზა ნაკეთობების წარმოების სექტორს აქ იმპორტის ზრდის გამოკვეთილი ტენდენცია იკვეთება, განსაკუთრებით კი ჩინეთიდან, რომელიც მსოფლიოში 30 ანტიდემპინგური ღონისძიების სამიზნეა ამ მიმართულებით. აღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ ექსპორტიორი ქვეყნებისა და საერთაშორისო დონეზე არსებული ანტიდემპინგური ღონისძიებების განაწილება ამ სექტორში დემპინგური იმპორტის შესაძლებლობაზე მიგვანიშნებს, თუმცა ადგილობრივი ინდუსტრიის ზრდის მაჩვენებლები ასუსტებს დემპინგური იმპორტისა და ზიანის არსებობის საფრთხეს.

4.10. ავეჯის წარმოება

კვლევის პირველ ეტაპზე შერჩეულ სექტორებს შორის, ასევე გამოიკვეთა მსუბუქი მრეწველობის დარგის - ავეჯის წარმოების შეფასების საჭიროება. პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ NACE კლასიფიკატორის მიხედვით ავეჯის წარმოების სექტორი (სექცია 31) არ მოიცავს ქვე-ჯგუფების დონეზე სეგრეგირებას, შესაბამისად კვლევის პირველ ეტაპზე შეფასდა მთლიანი სექციის დონე. ამასთანავე, სექტორი მოიცავს ოთხი ძირითადი კლასის მიმართულებით საქმიანობას, ესენია: ავეჯის წარმოება დაწესებულებებისა და მაღაზიებისათვის (31.01); სამზარეულოს ავეჯის წარმოება (31.02); ლეიბების წარმოება(31.03) და სხვა ავეჯის წარმოება (31.04). NACE-ის კლასების დონეზე ანტიდემპინგური ღონისძიებებისა და იმპორტის მაჩვენებლების განსაზღვრის მიზნით, შევაფასეთ HS კოდების NACE-ის შესაბამის კლასებში ტრანსფორმაციის შესაძლებლობა. იმის გათვალისწინებით, რომ HS კოდების დონეზე შეუძლებელია ცალკე სამზარეულოს და ცალკე სხვა დაწესებულებების ავეჯის ნაწარმის გამიჯვნა, შეფასების პროცესში გამოვიყენეთ მხოლოდ ორ მიმართულება, პირველი მოიცავს 31.01, 31.02 და 31.04 კლასის საქმიანობის ნაწარმს, ხოლო მეორე ლეიბების წარმოებას.

სექტორისა და პროდუქტის ჯგუფების დონეზე დემპინგური იმპორტის საფრთხის შეფასების პირველი მიმართულება, ამ დარში საერთაშორისო დონეზე შემოღებული ანტიდემპინგური ღონისძიებების ანალიზს მოიცავს. დიაგრამა 36-ის მიხედვით, იკვეთება, რომ ძირითად ინიციატორ ქვეყნებში მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნები აქტიურობენ. ამ მიმართულებით ანტიდემპინგური ღონისძიებები არ არის გამოყენებული საქართველოს მსგავსი შემოსავლის მქონე ქვეყნების მიერ. ამასთანავე, ხაზგასასმელი, რომ ავეჯის ნაწარმის მიმართულებით გამოყენებული ანტიდემპინგური ღონისძიებების 76% აშშ-ს მიერ არის შემოღებული. ჯამში ამ დარგში გამოყენებულია 29 ანტიდემპინგური ღონისძიება.

დიაგრამა 36. ანტიდემპინგური ღონისძიებების რაოდენობა ინიციატორი ქვეყნისა და მსოფლიო ბანკის შემოსავლებით მიხედვით ქვეყნების კლასიფიკაციის გათვალისწინებით



45-ე ცხრილში წარმოდგენილია სამიზნე პროდუქტებისა და ქვეყნების მიხედვით ანტიდემპინგური ღონისძიებების განაწილება. ცხრილის 45-ის მიხედვით იკვეთება რომ 29

ანტიდემპინგური ღონისძიებიდან 10 გამოყენებულია ლეიბების მიმართულებით, დანარჩენი 19 ღონისძიება კი ძირითად მოიცავს თაროებს, კარადებს, სავარძლებსა და საუთაო დაფებს. რაც შეეხება სამიზნე ქვეყნებს, ყველაზე აქტიურად ანტიდემპინგური ღონისძიებები ჩინეთის წინააღმდეგ არის გამოყენებული, როგორც ავეჯის ასევე ლეიბების მიმართულებით, ქვეყნის წინააღმდეგ გამოყენებულია 16 ანტიდემპინგური ღონისძიება. ამ სექტორში ანტიდემპინგური ღონისძიებები ძირითადად მიმართულია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებზე. საქართველოს მეზობელ ქვეყნებს შორის სამიზნე ქვეყნებში მხოლოდ თურქეთია დაფიქსირებული.

ცხრილი 45. შემოღებული ანტიდემპინგური ღონისძიებების რაოდენობა პროდუქტის სახეობისა და სამიზნე ქვეყნების მიხედვით

პროდუქტის სახე	**სამიზნე ქვეყანა**	**ანტიდემპინგური ღონისძიებების რაოდენობა**
ავეჯის წარმოება	ჩინეთი	13
	ვიეტნამი	3
	ტაივანი	1
	მალაიზია	1
	ტაილანდი	1
ლეიბების წარმოება	ჩინეთი	3
	კამბოჯა	1
	ინდონეზია	1
	მალაიზია	1
	სერბეთი	1
	ტაილანდი	1
	თურქეთი	1
	ვიეტნამი	1

იმის გათვალისწინებით, რომ ანტიდემპინგური ღონისძიებების სამიზნე პროდუქტების შეფასებისას რამდენიმე მიმართულების აქტუალობა გამოიკვეთა, მნიშვნელოვანია ადგილობრივი წარმოების სექტორებშიც აღნიშნული კუთხით არსებული მწარმოებლების განვითარების დინამიკის შეფასება. პირველ რიგში, ხაზგასასმელია, რომ ავეჯს წარმოების დარგში რეგისტრირებულია 2256 ეკონომიკური სუბიექტი, მათ შორის 2 მსხვილი, 5 საშუალო, ხოლო დანარჩენი მცირე და უცნობი ზომის ეკონომიკური სუბიექტებია. საქმიანობის სახეობების მიხედვით ყველაზე მეტი საწარმო რეგისტრირებულია სხვა ავეჯის წარმოების დარგში და სექტორში რეგისტრირებული საწარმოების 70%-ს აღემატება. რაც შეეხება ლეიბების წარმოებას, ეს სექტორი შედარებით მცირეა და მხოლოდ 53 მცირე ეკონომიკური სუბიექტის საქმიანობას ფარავს. დამატებით, ხაზგასასმელია, რომ ბრუნვების მიხედვით კომპანიები წილების შეფასების საფუძველზე იკვეთება, რომ ადგილობრივი ინდუსტრია საკმაოდ დივერსიფიცირებულია.

ცხრილი 46. კომპანიების რაოდენობა საქმიანობისა და ზომის მიხედვით

NACE ქვეკლასი	საქმიანობის სახე	მსხვილი	საშუალო	მცირე	ზომა უცნობია	სულ
31	ავეჯის წარმოება				3	3
31.01.0	ავეჯის წარმოება დაწესებულებების და მაღაზიებისთვის			116	243	359
31.02.0	სამზარეულო ავეჯის წარმოება			36	160	196
31.03.0	ლეიბების წარმოება			23	33	56
31.09.0	სხვა ავეჯის წარმოება	2	5	449	1186	1642

47-ე ცხრილის მიხედვით იკვეთება, რომ სექტორში რეგისტრირებული საწარმოების ბრუნვის განვითარების დადებითი ტენდენციის მიუხედავად, შედარებით მცირეა ავეჯის ძირითად ქვეკლასში დაფიქსირებული ბრუნვის ზრდის მაჩვენებელი. 2021-2023 წლებში სხვა ავეჯის მწარმოებელი კომპანიების ბრუნვა საშუალო წლიურად 3%-ით იზრდებოდა. რაც შეეხება ლეიბების წარმოებას, აქაც დადებითი ტენდენცია გამოიკვეთა და ამ პერიოდში საშუალო წლიური ზრდის მაჩვენებელმა 11% შეადგინა. მიუხედავად ადგილობრივი ინდუსტრიის ბრუნვის ზრდის ნელი ტემპისა, წარმოდგენილი დინამიკა ნაკლებად მიანიშნებს ინდუსტრიაში არსებულ გამოწვევებზე.

ცხრილი 47. ბრუნვა საქმიანობის სახეების მიხედვით, 2021-2023 წლები (ლარი)

NACE-ის კლასი	საქმიანობის სახე	2021	2022	2023	ზრდა (CAGR)
31.09.0	სხვა ავეჯის წარმოება	239,324,494	251,330,190	254,295,683	3%
31.01.0	ავეჯის წარმოება დაწესებულებების და მაღაზიებისთვის	52,751,259	60,491,011	69,693,229	15%
31.03.0	ლეიბების წარმოება	22,067,226	24,511,829	27,430,091	11%
31.02.0	სამზარეულო ავეჯის წარმოება	7,514,190	15,064,809	13,741,256	35%

წარმოდგენილი სექტორის შეფასების ბოლო ეტაპზე მნიშვნელოვანია, იმპორტის მაჩვენებლების შეფასება, როგორც ავეჯის ფართო კატეგორიის, ასევე ლეიბების მიმართულებით. 37-ე დიაგრამაში წარმოდგენილია 2023 წელს ავეჯის წარმოების სექტორში იმპორტირებული პროდუქტი სახეობების მიხედვით. როგორც დიაგრამა 37-ის მიხედვით იკვეთება, იმპორტის ძირითად კატეგორიებს დასაჯდომი და სხვა ავეჯის იმპორტი წარმოადგენს და მთლიან იმპორტში 94%-იან წილს მოიცავს. რაც შეეხება ლეიბების პროდუქციის ჯგუფის იმპორტს, 2023 წლის მონაცემებით, საქართველოში 8,7 მლნ აშშ დოლარის ღირებულების საქონელი შემოვიდა, რაც მთლიან იმპორტში 5%-ს შეადგენდა. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ სხვა სექტორებისაგან განსხვავებით, მწარმოებლების ბრუნვისა და იმპორტის მაჩვენებლები ადგილობრივ ბაზარზე, მათ შედარებით თანაბარ გადანაწილებაზე მიუთითებს.

დიაგრამა 37. იმპორტი პროდუქტის სახეობების მიხედვით, 2023 წელი (აშშ დოლარი)



დამატებით, გასათვალისწინებელია, რომ მკვეთრად არის გაზრდილი იმპორტის ღირებულება, როგორც ზოგადი ავეჯის კატეგორიის ასევე ლეიბების კლასში. 48-ე ცხრილში წარმოდგენილია 2021-2023 წლის, იმ ქვეყნების იმპორტის მაჩვენებლები, რომლებსაც 2023 წლის მონაცემებით ბაზრის 3%-ს მაინც იკავებდნენ. ცხრილი 48-ის მიხედვით, ვლინდება რომ 2021 წლიდან 2023 წლამდე, ყველაზე დიდი ექსპორტიორი ქვეყნიდან, თურქეთიდან იმპორტის ზრდა 30 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა, მაშინ როდესაც, ადგილობრივი ინდუსტრიის ბრუნვის მაჩვენებლები დაახლოებით 14.5 მლნ აშშ დოლარით არის გაზრდილი.

ლეიბების იმპორტის მიმართულებით მკვეთრი ზრდა ავსტრიიდან და აშშ-დან ფიქსირდება რის საფუძველზეც მათი წილები ლეიბების მთლიან იმპორტში 14%-მდე გაიზარდა. მიუხედავად ამისა, ყველაზე დიდი ექსპორტიორ ქვეყნებს თურქეთი და ჩინეთი წარმოადგენენ. მათ მიერ იმპორტირებული პროდუქტის ღირებულებამ 2.5 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა და ჯამური იმპორტში მათი წილი 60%-ზე აღემატება.

ცხრილი 48. იმპორტის ზრდი/კლების ტენდენცია ექსპორტიორი ქვეყნის მიხედვით, 2021-2023 წლები (აშშ დოლარი)

ქვეყანა	2021	2022	2023	ზრდა (CAGR)
ავეჯი წარმოება				
თურქეთი	30,712,470	49,098,130	61,550,434	42%
ჩინეთი	14,093,142	19,718,398	26,652,427	38%
იტალია	8,915,295	11,056,905	16,519,501	36%
ბულგარეთი	3,361,410	5,382,963	6,752,767	42%
უკრაინა	6,378,451	4,092,310	4,884,202	-12%
გერმანია	1,455,805	3,459,675	3,924,566	64%
დანარჩენი	26,182,295	29,640,380	34,808,509	15%
მსოფლიო	91,098,867	122,448,762	155,092,404	30%
ლეიბების წარმოება				
თურქეთი	1,980,514	2,881,934	3,638,781	36%
ჩინეთი	829,704	1,100,508	1,709,412	44%
ავსტრია	18,525	252,342	648,448	492%
აშშ	34,036	25,500	614,961	325%
ბულგარეთი	265,873	545,544	556,684	45%

სომხეთი	170,526	300,647	277,658	28%
გერმანია	57,632	57,011	269,412	116%
იტალია	152,988	153,198	227,658	22%
დანარჩენი	576,945	609,609	765,925	15%
მსოფლიო	4,086,743	5,926,292	8,708,939	46%

იმის გათვალისწინებით, რომ იმპორტის კუთხით ბაზარი ნაკლებად არის დივერსიფიცირებული, საინტერესოა ჩინეთისა და თურქეთის წინააღმდეგ შემოღებული ანტიდემპინგური ღონისძიებების შეფასება. დიაგრამა 38-ში წარმოდგენილია ავეჯის წარმოებისა და ლეიბების წარმოების სექტორში საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორების წინააღმდეგ შემოღებული ანტიდემპინგური ღონისძიებების რაოდენობა. როგორც ვხედავთ, ავეჯის წარმოების სექტორში ყველაზე დიდი ექსპორტიორი ქვეყნის წინააღმდეგ ამ სექტორში არ არის შემოღებული ანტიდემპინგური ღონისძიებები. ამასთანავე, ყველაზე აქტიურად წარმოდგენილი ღონისძიებები, როგორც ლეიბების, ასევე ავეჯის ნაწარმში, ჩინეთის წინააღმდეგ არის გამოყენებული. 2023 წლის მაჩვენებლებით, თურქეთთან შედარებით ჩინეთიდან განხორციელებული იმპორტი ნაკლებად მნიშვნელოვანია, თუმცა სამომავლოდ გასათვალისწინებელია ჩინეთიდან განხორციელებული იმპორტის დინამიკის შემდგომი შეფასება.

დიაგრამა 38. 2023 წლის მონაცემებით ძირითადი ექსპორტიორი ქვეყნების წინააღმდეგ შემოღებული ანტიდემპინგური ღონისძიებები



ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ავეჯის წარმოების სექტორში განვითარებული ტენდენციები არ მიგვანიშნებს დემპინგური იმპორტის საფრთხესა და ზიანზე. ავეჯის წარმოების სექტორში იდენტიფიცირებული ორივე ქვესექტორის ტენდენციები ადგილობრივი ბაზრის დადებით განვითარებაზე მიუთითებს. ამასთანავე, მზარდი იმპორტის მიუხედავად, ამ სფეროში ანტიდემპინგური ღონისძიებების ყველაზე აქტიური სამიზნე ქვეყნიდან განხორციელებული იმპორტი ამ ეტაპზე ზიანის მიყენების კუთხით ნაკლებად მნიშვნელოვანია.

5. კვლევის მიგნებები

კვლევაში პირველ ეტაპზე სააგენტომ შერჩევის სამი კრიტერიუმის საფუძველზე შესაძლო დემპინგური იმპორტისა და ზიანის კუთხით შესაფასებელი სექტორების ჩამონათვალი შეიმუშავა. ეკონომიკური საქმიანობის სახეების (NACE Rev. 2) კლასიფიკაციის ϰგუფების დონეზე ანტიდემპინგური ღონისძიებების რაოდენობის, 2021-2023 წლებში ადგილობრივი ინდუსტრიის ბრუნვის საშუალო მოცულობისა და იმპორტის ზრდის ტენდენციის გამოყენებით შევარჩიეთ 10 წამყვანი სექტორი, რომლებიც შემდგომ კვლევის მეორე ეტაპის კრიტერიუმების შესაბამისად შეფასდა. კვლევის მეორე ეტაპზე გამოყენებული კრიტერიუმების მიხედვით სექტორების მიმოხილვა წარმოდგენილია დანართი 1-ში მოცემულ მრავალფაქტორიანი შეფასების შედეგად სექტორების განაწილების ცხრილში.

კვლევის მეორე ეტაპზე შერჩეული კრიტერიუმებით განხორციელებული ანალიზის შედეგად გამოიკვეთა სექტორების მნიშვნელოვანი მახასიათებლები, რომლებიც შესაძლო დემპინგური იმპორტისა და მისგან გამომდინარე ზიანის მიმართულებით არსებული საფრთხეების შეფასების საფუძველს ქმნის.

- **ფოლადის წარმოება**

ფოლადის წარმოების სექტორი ანტიდემპინგური ღონისძიებების ყველაზე ხშირი სამიზნე ქვესექტორია და ამ მიმართულებით შემოღებულია 525 ანტიდემპინგური ღონისძიება. ამასთანავე, საქართველოში ძირითადი ექსპორტიორები, რუსეთი და ჩინეთი საერთაშორისო დონეზე გამოყენებული ღონისძიებების აქტიური სამიზნეები არიან. 2021-2023 წლებში იმპორტის საშუალო წლიური 10%-იანი ზრდა, ხოლო ადგილობრივი წარმოების 13%-იანი კლება ფიქსირდება, რაც შესაძლო დემპინგური იმპორტისა და ზიანის მიმართ სექტორის მოწყვლადობის მაღალ მაჩვენებელზე მიუთითებს.

- **პლასტმასის ფილების, ფურცლების, მილების და პროფილების წარმოება**

ქვესექტორში ოპერირებს 4 საშუალო და 39 მცირე ეკონომიკური სუბიექტი. ბრუნვის მაჩვენებლები სექტორის მნიშვნელობაზე მიუთითებს, თუმცა 2021-2023 წლებში კლების ტენდენცია ფიქსირდება. რაც შეეხება ანტიდემპინგური ღონისძიებების სამიზნე ქვეყნების მიხედვით ექსპორტიორების შეფასებას, ორი წამყვანი ქვეყნის წინააღმდეგ ფიქსირდება ანტიდემპინგური ღონისძიების გამოყენების შემთხვევები, მათ შორის არიან თურქეთი და ჩინეთი. იმპორტი კონცენტრირებულია თურქეთიდან შემოტანილ პროდუქტზე, რაც დემპინგური იმპორტის შემთხვევაში ქვესექტორს უფრო მოწყვლადს ხდის ზიანის მიმართ.

- **შპონის ფურცლების და ხის პანელების წარმოება**

ქვესექტორი მნიშვნელოვანია ბრუნვის მოცულობის გათვალისწინებით. ასევე, 2021-2023 წლებში ბრუნვის მაჩვენებლების კლების ტენდენცია დაფიქსირდა. ძირითადი ექსპორტიორი ქვეყნების წინააღმდეგ შემოღებულია 14 ანტიდემპინგური ღონისძიება, მათ შორის არიან რუსეთი, ჩინეთი და ბელორუსი. ზოგადად ხაზგასასმელია, რომ 2021-2023 წლებში რუსეთიდან იმპორტის ღირებულების ზრდის საფუძველზე, ქვეყნის წილი მთლიან იმპორტში 12%-დან 23%-მდე გაიზარდა. აღნიშნული ფაქტორები შესაძლო დემპინგური იმპორტისა და ზიანის მიმართ სექტორის მოწყვლადობაზე მიგვანიშნებს.

- **მავთულის ნაწარმის, ϰაჭვების და ზამბარების წარმოება**

სექტორში ანტიდემპინგური ღონისძიებების გამოყენება დამახასიათებელია, როგორც საქართველოს მსგავსი შემოსავლების ϰგუფის ქვეყნებისათვის, ასევე ჩვენი რეგიონის ქვეყნებისათვის. ამასთანავე, ძირითადი ექსპორტიორები ამ მიმართულებით ანტიდემპინგური ღონისძიების სამიზნე ქვეყნებს წარმოადგენენ, ხოლო ადგილობრივი ინდუსტრიის ბრუნვის ზრდის მაჩვენებლები სექტორის საშუალო მაჩვენებლებთან შედარებით მცირეა. ექსპორტიორი

ქვეყნებისა და საერთაშორისო დონეზე არსებული ანტიდემპინგური ღონისძიებების განაწილება ამ სექტორში დემპინგური იმპორტის შესაძლებლობაზე მიგვანიშნებს, თუმცა ადგილობრივი ინდუსტრიის ზრდის მაჩვენებლები შესაძლო დემპინგური იმპორტისა და ზიანის მიმართ სექტორის მოწყვლადობის საშუალო მაჩვენებელზე მიუთითებს.

- **ფურცლოვანი მინის დაყალიბება და დამუშავება**

ყველაზე აქტიურად ქვესექტორში ანტიდემპინგურ ზომებს საშუალოზე მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნები იყენებენ. ასევე, ჩინეთი, რომელიც ანტიდემპინგური ღონისძიებების ერთ-ერთ მთავარ სამიზნეს წარმოადგენს, საქართველოში ძირითადი ექსპორტიორია და ქვესექტორში იმპორტის ბაზრის 18%-ს შეადგენს. გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნულ ქვესექტორში ადგილობრივი ინდუსტრიის ბრუნვის დადებითი დინამიკის მიუხედავად, 2022-2023 წლებში ძალიან მცირე ზრდა არის დაფიქსირებული. შესაბამისად, შესაძლო დემპინგური იმპორტისა და ზიანის მიმართ ქვესექტორის მოწყვლადობა საშუალო დონეზეა.

- **სხვა არაორგანული ქიმიკატების წარმოება (იზოტოპების წარმოება)**

სექტორში ოპერირებს 4 საშუალო და 3 მცირე ზომის საწარმო, რომელთა ბრუნვის მაჩვენებლები კლებადია. მზარდია იზოტოპების იმპორტის მაჩვენებლები და ძირითადი ექსპორტიორი ქვეყანაა იაპონია, რომლის წინააღმდეგაც არაორგანული ქიმიკატების სექტორში შემოღებულია 2 ანტიდემპინგური ღონისძიება. მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტულად იზოტოპების მიმართულებით ანტიდემპინგური ღონისძიებების გამოყენება არ ფიქსირდება, ზოგადად პროდუქტის ჯგუფის დონეზე არსებული გამოცდილება და ზემოთ ხსენებული სხვა ფაქტორები, შესაძლო დემპინგური იმპორტისა და ზიანის მიმართ პროდუქტის ჯგუფის მოწყვლადობის საშუალო დონეზე მიგვანიშნებს.

- **ავეჯის წარმოება**

სექტორში რეგისტრირებულია 2256 ეკონომიკური სუბიექტი, რომელთაგან მხოლოდ ორი არის მსხვილი ზომის საწარმო. ანტიდემპინგური ღონისძიებების ყველაზე აქტიური სამიზნე ქვეყნიდან, ჩინეთიდან იმპორტის ზრდის მიუხედავად, ადგილობრივი ინდუსტრიის ბრუნვის დადებითი ტენდენციის გათვალისწინებით, ამ ეტაპზე შესაძლო დემპინგური იმპორტისა და ზიანის კუთხით არსებული საფრთხეები დაბალ დონეზეა.

- **შინაური ფრინველის ხორცის გადამუშავება და დაკონსერვება**

აღნიშნულ ქვესექტორში ანტიდემპინგური ღონისძიებების შემოღება დამახასიათებელია შემოსავლების მიხედვით საქართველოს მსგავსი ქვეყნებისათვის, ასევე ამ მიმართულებით წამყვანი ექსპორტიორი ქვეყანა - ბრაზილია საერთაშორისო დონეზე ანტიდემპინგური ღონისძიებების სამიზნეა. თუმცა, ადგილობრივი წარმოების დადებითი ტენდენცია, მეტნაკლებად დივერსიფიცირებული იმპორტის ბაზარი და ჩინეთის წილის მკვეთრი ზრდა, რომელიც ამ მიმართულებით არ არის ანტიდემპინგური ღონისძიებების სამიზნე, დემპინგური იმპორტისა და ზიანის მიმართ სექტორის დაბალ მოწყვლადობაზე მიგვანიშნებს.

- **კარტოფილის გადამუშავება და დაკონსერვება**

ქვესექტორში ოპერირებს 1 საშუალო და 4 მცირე ეკონომიკური სუბიექტი და ბრუნვის მაჩვენებლები სხვა მიმართულებებთან შედარებით დაბალია. ექსპორტიორი ქვეყნების თვალსაზრისით ბაზარი მეტნაკლებად დივერსიფიცირებულია. ამასთანავე, იმპორტის ჯამური ღირებულება მკვეთრად აღემატება ადგილობრივი წარმოების ბრუნვის მაჩვენებლებს, შესაბამისად სექტორი იმპორტზეა დამოკიდებული. მიუხედავად იმისა, რომ ორი ყველაზე სწრაფად მზარდი ექსპორტიორი ქვეყნის წინააღმდეგ აქტიურად არის ანტიდემპინგური ღონისძიებები გამოყენებული, ზემოთ ხსენებული ფაქტორების გათვალისწინებით, წარმოდგენილი სექტორი ნაკლებად აქტუალურია შესაძლო დემპინგური იმპორტისა და ზიანის კუთხით.

- **კერამიკული საფარების და ფილების წარმოება**

ქვესექტორში ადგილობრივი წარმოების მაჩვენებლები ძალიან დაბალია და ეს სექტორი ძირითადად იმპორტზე არის დამოკიდებული. შესაბამისად, დემპინგური იმპორტის საფრთხე ამ მიმართულებით ადგილობრივი ინდუსტრიისათვის ნაკლებად აქტუალურია.

49-ე ცხრილში წარმოდგენილია შერჩეული სექტორების ანალიზის შედეგად გამოვლენილი მიგნებები, რომლის საფუძველზეც განვსაზღვრეთ ადგილობრივი წარმოების ის ქვესექტორები, რომლებიც შესაძლოა მოწყვლადი იყოს დემპინგური იმპორტისა და ზიანის მიმართ. შერჩეული სექტორების უმრავლესობა წარმოდგენილია NACE-ის ჯგუფის დონეზე, ხოლო იდენტიფიცირებული ქვესექტორების უმრავლესობა NACE-ის კლასის დონეზე. შეფასებული სექტორები განაწილდა დემპინგური იმპორტისა და ზიანის მიმართ მაღალი, საშუალო და დაბალი მოწყვლადობის კატეგორიებში, მათ შორის დაბალი მოწყვლადობა ნიშნავს, რომ შეფასების საფუძველზე ქვესექტორში არ გამოვლინდა დემპინგური იმპორტისა და ზიანის საფრთხე; საშუალო/საშუალოზე მაღალი მოწყვლადობა - შეფასება შესაძლო დემპინგური იმპორტისა და ზიანის მიმართ ქვესექტორის მოწყვლადობის მანიშნებელია; მაღალი მოწყვლადობა - შეფასების საფუძველზე შესაძლო დემპინგური იმპორტისა და ზიანის მიმართ ქვესექტორის მოწყვლადობა გამოვლინდა.

ცხრილი 49. შეფასებული სექტორების გადანაწილება მოწყვლადობის კატეგორიების მიხედვით

შერჩეული სექტორი	იდენტიფიცირებული პროდუქტის ჯგუფები	მოწყვლადობის კატეგორია
24.1 - თუჯის, ფოლადის და ფეროშენადნობების წარმოება	ფოლადის წარმოება[5]	მაღალი
22.2 - პლასტმასის ნაწარმის წარმოება	22.21 - პლასტმასის ფილების, ფურცლების, მილების და პროფილების წარმოება [6]	საშუალოზე მაღალი
16.2 - პროდუქციის წარმოება ხის, კორპის, ჩალის და წნული მასალებისგან	16.21 - შპონის ფურცლების და ხის პანელების წარმოება[7]	საშუალოზე მაღალი
25.9 -ლითონის სხვა მზა პროდუქტების წარმოება	25.93 - მავთულის ნაწარმის, ჯაჭვების და ზამბარების წარმოება	საშუალო
23.1- მინის და მინის ნაწარმის წარმოება	23.12 - ფურცლოვანი მინის დაყალიბება და დამუშავება	საშუალო
20.13 - სხვა არაორგანული ძირითადი ქიმიკატების წარმოება	იზოტოპები	საშუალო
31 - ავეჯის წარმოება	ავეჯის წარმოება	დაბალი
10.1 - ხორცის გადამუშავება, დაკონსერვება და ხორცის პროდუქტების წარმოება	10.12 - შინაური ფრინველი ხორცის გადამუშავება და დაკონსერვება	დაბალი
10.3 - ხილის და ბოსტნეულის გადამუშავება და დაკონსერვება	10.31 - კარტოფილის გადამუშავება და დაკონსერვება	დაბალი
23.3 - სამშენებლო მასალების წარმოება თიხისგან	23.31 - კერამიკული საფარების და ფილების წარმოება	დაბალი

[5] სააგენტოში მიმდინარეობს ანტიდემპინგური შესწავლა (N04/489) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე რუსეთიდან და ირანიდან დაბალნახშირბადოვანი ფოლადისგან წარმოებული არმატურისა და გლინულის სავარაუდო დემპინგურ იმპორტთან დაკავშირებით;

[6] სააგენტო პლასტმასის წარმოების მიმართულებით ადგილობრივი ინდუსტრიის სექტორული მონიტორინგის განხორციელებას გეგმავს;

[7] სააგენტო ხის, კორპის, ჩალის და წნული მასალებისგან პროდუქციის წარმოების მიმართულებით ადგილობრივი ინდუსტრიის სექტორული მონიტორინგის განხორციელებას გეგმავს.

გამოყენებული ლიტერატურა

- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). *სტატისტიკური ბიზნეს რეგისტრი.* https://br.geostat.ge/register_geo/
- Bown, C. P. (2006). *The WTO and antidumping in developing countries.* SSRN. http://dx.doi.org/10.2139/ssrn.920850
- Hakobyan, S., & Lederman , D. (2016). *Factor Endowments, Technology, Capital Mobility and the Sources of Comparative Advantage in Manufacturing.* World Bank Group, Policy Research Working Paper 7777. https://openknowledge.worldbank.org/handle/10986/24856
- Tabakis, C., & Zanardi, M. (2017). *Antidumping echoing*. Economic Inquiry, *55*(2), 655–681. https://ideas.repec.org/a/bla/ecinqu/v55y2017i2p655-681.html
- World Bank. (2024). *World Bank country classifications by income level for 2024-2025*. World Bank Open Data. https://blogs.worldbank.org/en/opendata/world-bank-country-classifications-by-income-level-for-2024-2025
- World Trade Organization (WTO). *Trade remedies: Anti-dumping measures*. WTO Trade Remedies. https://trade-remedies.wto.org/en/antidumping/measures
- United Nations Statistics Division (UNSD). *Economic classifications*. https://unstats.un.org/unsd/classifications/econ
- United Nations Comtrade Database. *International trade statistics*. https://comtrade.un.org/

დანართი 1. სექტორების განაწილება მრავალფაქტორიანი შეფასების საფუძველზე

შერჩეული სექტორი	იდენტიფიცირებული ქვესექტორი	ანტიდემპინგური ღონისძიებების განზომილება	ადგილობრივი ბრუნვის განზომილება	იმპორტის დინამიკის განზომილება	სექტორის კატეგორია და შეფასება
10.1 - ხორცის გადამუშავება, დაკონსერვება და ხორცის პროდუქტების წარმოება	10.12 - შინაური ფრინველის ხორცის გადამუშავება და დაკონსერვება	ძირითადი ინიციატორები საშუალოზე მაღალი შემოსავლის მქონე ჯგუფის ქვეყნები 47 ანტიდემპინგურ ღონისძიება ქათმის ხორცის პროდუქციაზე 6 ანტიდემპინგური ღონისძიება ქვესექტორში საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორის ბრაზილიის წინააღმდეგ	2021-2023 წლებში ბრუნვის საშუალო წლიური ზრდის მაჩვენებელი 49% საჭიროა NACE-ის 01.47 მეფრინველეობის ქვეჯგუფში რეგისტრირებული ეკონომიკური სუბიექტების გათვალისწინება	2021-2023 წლებში იმპორტის საშუალო წლიური ზრდის მაჩვენებელი 21% ძირითადი ექსპორტიორები - ბრაზილია, ჩინეთი და თურქეთი 2021-2023 წლებში ჩინეთიდან იმპორტის ღირებულება მნიშვნელოვნად 13.6 მლნ დოლარით გაიზარდა	**დაბალი** **შეფასების საფუძველზე არ გამოვლინდა დემპინგური იმპორტისა და ზიანის მიმართ სექტორის მოწყვლადობა** ადგილობრივი ინდუსტრია მზარდია, ხოლო ყველაზე სწრაფად მზარდი ექსპორტიორი ქვეყნის წინააღმდეგ არ ფიქსირდება ანტიდემპინგური ღონისძიებების გამოყენება
10.3 - ხილის და ბოსტნეულის გადამუშავება და დაკონსერვება	10.31 - კარტოფილის გადამუშავება და დაკონსერვება	ძირითადი ინიციატორები საშუალოზე მაღალი შემოსავლის მქონე ჯგუფის ქვეყნები და მაღალი შემოსავლის მქონე ჯგუფის ქვეყნები 33 ანტიდემპინგური ღონისძიება კარტოფილის	ქვესექტორში ოპერირებს 1 საშუალო და 4 მცირე ზომის საწარმო 2021-2023 წლებში ბრუნვის საშუალო წლიური ზრდის მაჩვენებელი 7% ქვესექტორი დამოკიდებულია	2021-2023 წლებში იმპორტის საშუალო წლიური ზრდის მაჩვენებელი 58% ქვეყნების მიხედვით იმპორტი დივერსიფიცირებულია. ძირითადი ექსპორტიორები - პოლონეთი, ნიდერლანდები,	**დაბალი** **შეფასების საფუძველზე არ გამოვლინდა დემპინგური იმპორტისა და ზიანის მიმართ სექტორის მოწყვლადობა** ს ადგილობრივი ინდუსტრიის ბრუნვის შედარებით დაბალი მაჩვენებლების გათვალისწინებით,

		გადამუშავებულ პროდუქციაზე 24 ანტიდემპინგური ღონისძიება ქვესექტორში საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორების ნიდერლანდებისა და ბელგიის წინააღმდეგ	იმპორტზე ადგილობრივი მწარმოებლების ბრუნვის შედარებით დაბალი მაჩვენებლების გათვალისწინებით	რუსეთი, უკრაინა, ბელგია და თურქეთი 2021-2023 წლებში იმპორტის ღირებულება ყველაზე მეტად ნიდერლანდებიდან, პოლონეთიდან და ბელგიიდან გაიზარდა	ქვესექტორი იმპორტზეა დამოკიდებული
16.2 - პროდუქციის წარმოება ხის, კორპის, ჩალის და წნული მასალებისგან	16.21 - შპონის ფურცლების და ხის პანელების წარმოება	ძირითადი ინიციატორები საშუალოზე დაბალი შემოსავლის მქონე ჯგუფის ქვეყნები 27 ანტიდემპინგური ღონისძიება შპონის ფურცლებისა და ხის პანელების პროდუქტზე 3 ანტიდემპინგური ღონისძიება ქვე-სექტორში საქართველოს ერთ-ერთი ძირითადი სავაჭრო პარტნიორის რუსეთის წინააღმდეგ	ქვესექტორში ოპერირებს 1 მსხვილი, 1 საშუალო და 24 მცირე ზომის საწარმო 2021-2023 წლებში ბრუნვის საშუალო წლიური კლების მაჩვენებელი 3%	2021-2023 წლებში იმპორტის საშუალო წლიური ზრდის მაჩვენებელი 14% იმპორტის ძირითადი ნაწილი მოდის თურქეთის (52%) და რუსეთის (23%) პროდუქციაზე. 2021-2023 წლებში იმპორტში რუსეთის წილი 12%-დან 23%-მდეა გაზრდილი	**საშუალოზე მაღალი** **შეფასების საფუძველზე შესაძლო დემპინგური იმპორტისა და ზიანის მიმართ ქვესექტორის მოწყვლადობა გამოვლინდა** ადგილობრივი ინდუსტრიის ბრუნვა შემცირებულია იმპორტი კონცენტრირებულია ორ ქვეყანაზე, ამასთანავე ანტიდემპინგური ზომების სამიზნე ქვეყნის რუსეთის წილი იმპორტში მნიშვნელოვნად არის გაზრდილი
20.13 - სხვა არაორგანული ძირითადი ქიმიკატების წარმოება	იზოტოპები	ძირითადი ინიციატორები საშუალოზე დაბალი შემოსავლის მქონე ჯგუფის ქვეყნები	სექტორში ოპერირებს 3 მცირე და 4 საშუალო საწარმო	2021-2023 წლებში სექტორში იმპორტის საშუალო წლიური ზრდის მაჩვენებელი 44%	**საშუალო** **შეფასება შესაძლო დემპინგური იმპორტისა და ზიანის მიმართ**

		ანტიდემპინგური ღონისძიებები არ არის გამოყენებული შერჩეული პროდუქტის ჯგუფის წინააღმდეგ 6 ანტიდემპინგური ღონისძიება პროდუქტის ჯგუფში საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორის იაპონიის (2) და რუსეთის (4) წინააღმდეგ	2021-2023 წლებში ბრუნვის საშუალო წლიური კლების მაჩვენებელი 2%	იზოტოპების იმპორტი 2,200 აშშ დოლარიდან 3.1 მლნ აშშ დოლარამდე გაიზარდა იზოტოპების ძირითადი ექსპორტიორია იაპონია (ბაზრის წილი 88%)	**ქვესექტორის მოწყვლადობის მანიშნებელია** ადგილობრივი ინდუსტრიის ბრუნვა შემცირებულია იმპორტი მნიშვნელოვნად არის გაზრდილი შედარებით ფართო სექტორში ანტიდემპინგური ღონისძიებების სამიზნე ქვეყნიდან - იაპონიიდან
22.2 - პლასტმასის ნაწარმის წარმოება	22.21 - პლასტმასის ფილების, ფურცლების, მილების და პროფილების წარმოება	ძირითადი ინიციატორები საშუალოზე მაღალი შემოსავლის მქონე ჯგუფის ქვეყნები 71 ანტიდემპინგური ღონისძიება პლასტმასის ფილების, ფურცლების, მილების და პროფილების წარმოების სექტორში 27 ანტიდემპინგური ღონისძიება პროდუქტის ჯგუფში	ქვე სექტორში ოპერირებს 4 საშუალო და 39 მცირე ეკონომიკური სუბიექტი 2021-2023 წლებში ბრუნვის საშუალო წლიური კლების მაჩვენებელი 1%	2021-2023 წლებში იმპორტის საშუალო წლიური ზრდის მაჩვენებელი 9% ძირითადი ექსპორტიორი თურქეთი (ბაზრის წილი 57%), ჩინეთი (9%) და რუსეთი (6%) 2021-2023 წლებში იმპორტის ღირებულება ყველაზე მეტად თურქეთიდან და ჩინეთიდან გაიზარდა, ხოლო რუსეთიდან შემცირდა	**საშუალოზე მაღალი** **შეფასების საფუძველზე შესაძლო დემპინგური იმპორტისა და ზიანის მიმართ ქვესექტორის მოწყვლადობა გამოვლინდა** ადგილობრივი ინდუსტრიის ბრუნვა შემცირებულია იმპორტის ბაზარი დამოკიდებულია თურქეთიდან იმპორტზე, რომლის წინააღმდეგაც ამ მიმართულებით გამოყენებულია ანტიდემპინგური

		საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორის თურქეთის (2) და ჩინეთის (25) წინააღმდეგ			ღონისძიებები, ასევე მზარდია ანტიდემპინგური ღონისძიებების ძირითადი სამიზნე ქვეყნიდან იმპორტის ღირებულება
23.1- მინის და მინის ნაწარმის წარმოება	23.12 - ფურცლოვანი მინის დაყალიბება და დამუშავება	ძირითადი ინიციატორები საშუალოზე მაღალი შემოსავლის მქონე ჯგუფის ქვეყნები 39 ანტიდემპინგური ღონისძიება ფურცლოვანი მინის დამუშავების ქვესექტორში 24 ანტიდემპინგური ღონისძიება ერთ-ერთი სავაჭრო პარტნიორის ჩინეთის წინააღმდეგ	ქვესექტორში ოპერირებს 1 საშუალო და 77 მცირე ზომის ეკონომიკური სუბიექტი 2021-2023 წლებში ბრუნვის საშუალო წლიური ზრდის მაჩვენებელი 10%, თუმცა 2022-2023 წლებში ზრდის მაჩვენებელი 1%-მდეა	2021-2023 წლებში იმპორტის საშუალო წლიური ზრდის მაჩვენებელი 44% ძირითადი ექსპორტიორი ქვეყნები თურქეთი (ბაზრის წილი 50%) და ჩინეთი (ბაზრის წილი 18%)	**საშუალო** **შეფასება შესაძლო დემპინგური იმპორტისა და ზიანის მიმართ ქვესექტორის მოწყვლადობის მანიშნებელია** იმპორტი კონცენტრირებულია თურქეთზე, თუმცა ასევე მზარდი ექსპორტიორის ჩინეთის წინააღმდეგ აქტიურად არის გამოყენებული ანტიდემპინგური ღონისძიებები
23.3 - სამშენებლო მასალების წარმოება თიხისგან	23.31 - კერამიკული საფარების და ფილების წარმოება	ძირითადი ინიციატორები მაღალი შემოსავლის მქონე ჯგუფის ქვეყნები 32 ანტიდემპინგური ღონისძიება კერამიკული საფარების და ფილების წარმოების ქვესექტორში	ქვესექტორში ოპერირებს 24 მცირე ზომის ეკონომიკური სუბიექტი 2021-2023 წლებში ბრუნვის საშუალო წლიური ზრდის მაჩვენებელი 31% ქვესექტორი დამოკიდებულია	2021-2023 წლებში იმპორტის საშუალო წლიური ზრდის მაჩვენებელი 23% ძირითადი ექსპორტიორი ქვეყნები ირანი (ბაზრის წილი 34%), ესპანეთი ბაზრის წილი 31%) და თურქეთი (ბაზრის წილი 15%)	**დაბალი** **შეფასების საფუძველზე არ გამოვლინდა ქვესექტორის მოწყვლადობა** ადგილობრივი ინდუსტრიის ბრუნვის შედარებით დაბალი მაჩვენებლების გათვალისწინებით, ქვესექტორი იმპორტზეა დამოკიდებული

		1 ანტიდემპინგური ღონისძიება ერთ-ერთი სავაჭრო პარტნიორის თურქეთის წინააღმდეგ	იმპორტზე ადგილობრივი მწარმოებლების ბრუნვის შედარებით დაბალი მაჩვენებლების გათვალისწინებით		
24.1 - თუჯის, ფოლადის და ფეროშენადნობების წარმოება	ფოლადის წარმოება	ძირითადი ინიციატორები მაღალი შემოსავლის და საშუალოზე მაღალი შემოსავლის მქონე ჯგუფის ქვეყნები 493 ანტიდემპინგური ღონისძიება ფოლადის წარმოების სექტორში 150 ანტიდემპინგური ღონისძიება სამი წამყვანი სავაჭრო პარტნიორის წინააღმდეგ	სექტორში ოპერირებს 8 მსხვილი, 8 საშუალო და 35 მცირე და უცნობი ზომის ეკონომიკური სუბიექტი, მათ შორის ფოლადის წარმოების სექტორში ოპერირებს 3 მსხვილი საწარმო 2021-2023 წლებში ბრუნვის საშუალო წლიური კლების მაჩვენებელი 13%	2021-2023 წლებში სექტორში იმპორტის საშუალო წლიური ზრდის მაჩვენებელი 10% ძირითადი ექსპორტიორები რუსეთი (ბაზრის წილი 26%), ირანი (ბაზრის წილი 23%), ჩინეთი (ბაზრის წილი 17%), თურქეთი (ბაზრის წილი 16%) და აზერბაიჯანი (ბაზრის წილი 10%) 2021-2023 წლებში იმპორტი მნიშვნელოვნად არის გაზრდილი რუსეთიდან (საბაზრო წილის 10%-დან 26%-მდე ზრდა) და ირანიდან (საბაზრო წილის 11%-დან 23%-მდე ზრდა)	**მაღალი** **შეფასების საფუძველზე შესაძლო დემპინგური იმპორტისა და ზიანის მიმართ ქვესექტორის მოწყვლადობა გამოვლინდა** ადგილობრივი ინდუსტრიის ბრუნვა შემცირებულია იმპორტის ბაზარი შედარებით დივერსიფიცირებულია, თუმცა ძირითადი ექსპორტიორი ქვეყნების წინააღმდეგ აქტიურად არის გამოყენებული ანტიდემპინგური ღონისძიებები
25.9 -ლითონის სხვა მზა პროდუქტების წარმოება	25.93 - მავთულის ნაწარმის, ჯაჭვების და ზამბარების წარმოება	ძირითადი ინიციატორები მაღალი შემოსავლის და საშუალოზე	ქვესექტორში ოპერირებს 1 საშუალო და 51	2021-2023 წლებში იმპორტის საშუალო წლიური ზრდის მაჩვენებელი 13%	**საშუალო** **შეფასება შესაძლო დემპინგური იმპორტისა და**

		მაღალი შემოსავლის მქონე ჯგუფის ქვეყნები 60 ანტიდემპინგური ღონისძიება მავთულის ნაწარმის, ჯაჭვების და ზამბარების წარმოების სექტორში 37 ანტიდემპინგური ღონისძიება ძირითადი სავაჭრო პარტნიორების წინააღმდეგ	მცირე და უცნობი ზომის საწარმო 2021-2023 წლებში ბრუნვის საშუალო წლიური ზრდის მაჩვენებელი 4%	ძირითადი ექსპორტიორები თურქეთი (ბაზრის წილი 46%), ჩინეთი (ბაზრის წილი 16%), რუსეთი (ბაზრის წილი 11%) და ინდოეთი (ბაზრის წილი 11%) მნიშვნელოვნად არის გაზრდილი იმპორტი რუსეთიდან (საბაზრო წილის 3%-დან 11%-მდე ზრდა)და ინდოეთიდან (საბაზრო წილის 0%-დან 11%-მდე ზრდა)	**ზიანის მიმართ ქვესექტორის მოწყვლადობის მანიშნებელია** ქვესექტორის ბრუნვის ზრდა სექტორის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით მცირეა ძირითადი ექსპორტიორი ქვეყნების წინააღმდეგ ფიქსირდება ანტიდემპინგური ღონისძიებების გამოყენების შემთხვევები
31 - ავეჯის წარმოება	ავეჯის წარმოება	ძირითადი ინიციატორები მაღალი შემოსავლის მქონე ჯგუფის ქვეყნები 19 ანტიდემპინგური ღონისძიება ავეჯის წარმოების სექტორში 13 ანტიდემპინგური ღონისძიება ერთ-ერთი ძირითადი სავაჭრო პარტნიორის ჩინეთი წინააღმდეგ	ქვესექტორში ოპერირებს 2 მსხვილი, 5 საშუალო და 2198 მცირე და უცნობი ზომის საწარმო 2021-2023 წლებში ბრუნვის საშუალო წლიური ზრდის მაჩვენებელი 6%	2021-2023 წლებში იმპორტის საშუალო წლიური ზრდის მაჩვენებელი 30% თურქეთი (ბაზრის წილი 40%), ჩინეთი (ბაზრის წილი 17%) და იტალია (ბაზრის წილი 11%) იმპორტი სტაბილურად მზარდია ყველა ძირითადი ექსპორტიორი ქვეყნიდან	**დაბალი** **შეფასების საფუძველზე არ გამოვლინდა ქვესექტორის მოწყვლადობა** ინიციატორები მხოლოდ მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნები არიან ადგილობრივი ინდუსტრიის ბრუნვა სტაბილურად მზარდია